



საქართველო

© მანძისბოგობა საკვობისბოგობა



დანიელ ჰენაკვი



რომანივით საკითხავი

ფრანკლინ რისტს, რომანების დიდ თაყვანისმცემელს და რომანტიკულ მკითხველს. ეძღვნება მამაჩემისა და ფრანკ ვლეგის ხსოვნას. უმორჩილესად გთხოვთ, ეს წიგნი პედაგოგიური ტანჯვა-წამების იარაღად არ გამოიყენოთ.

დანიელ პენაკი

„კითხვა“ ვერ ჰგუობს ბრძანებით კილოს. ამით ის „სიყვარულსა“ და „ოცნებას“ ჰგავს...

ცდა, რა თქმა უნდა, შეიძლება. აბა, ვნახოთ: „გიყვარდე!“ „იოცნებე!“ „იკითხე!“ „იკითხე-მეთქი, გეუბნები! გიბრძანებ, იკითხო!“

- ადი ოთახში და წაიკითხე!

შედეგი?

ნული!

თვალები ელულება და გადაშლილ წიგნზე ყვინთვას იწყებს. მისი გულისყური ღია ფანჯრიდან შორს, ოცნებების სამყაროსკენ გაფრინდა. მაგრამ ეს ფრთხილი ძილია. მისი ოთახის კარს შევალვით და რას ვხედავთ? ზის ბავშვი საწერ მაგიდასთან და წიგნს ჩაჰკირკიტებს. დედა ენაცვალოს! თანაც, რაც უნდა ფეხაკრეფით ავიდეთ, მაინც გაიგებს.

- როგორ მოგწონს წიგნი?

არ მომწონსო, არ შეიძლება თქვას. ეს დანაშაულია, მისი მაღალადმატებული შეურაცხყოფაა. წიგნი წმინდაა. როგორ შეიძლება არ მოსწონდეს მისი კითხვა? ამიტომ გპასუხობთ, რომ აღწერები ცოტა არ იყოს გაჭიანურებულია.

ნანახით ფრიად კმაყოფილნი, ტელევიზორს ვუბრუნდებით. არ არის გამორიცხული, რომ წიგნზე გამოთქმული მოსაზრება ოჯახის წევრებს შორის განსჯის საბაბიც გახდეს.

- თქვა, აღწერები ძალიან გაჭიანურებულიაო. მისიც მესმის. ჩვენ აუდიო-ვიზუალურ ხანაში ვცხოვრობთ. ხიხ საუკუნის მწერალს კი, გინდა-არგინდა, ყველაფერი უნდა აღეწერა...

- კი, მაგრამ ნახევარ გვერდს თუ გადაახტი, რაღა გამოვა?!

ტყუილად ირჯებით, საყვარლებო. მას ისევ სძინავს.

უწიგნურობა, ალბათ, ასეთი სადარდებელი არ იქნებოდა, ჩვენ რომ ისეთ თაობას, ეპოქას, წრეს ან ოჯახს ვეკუთვნოდეთ, სადაც კითხვას უშლიდნენ.

- შეწყვიტე კითხვა! ნუ ამოიღამე თვალები! - წადი, შვილო, ითამაშე. ნახე, რა მშვენიერი ამინდია! - ჩააქრე! გვიანია!

მოკლედ, კითხვის დრო არასდროს იყო. დღისით სულ კარგი ამინდი იყო და გარეთ უნდა გასულიყავი, ღამე კი სულ ბნელოდა და უნდა დაგეძინა.

ყურადღება მიაქციეთ, რომ ამ დროს კითხვა-არკითხვა უკვე ნაუღლები იყო ბრძანებით კილოში. რას იზამ, წარსულს ვერ შეცვლი. კითხვა მავნებლობად ითვლებოდა. ამიტომაც იყო, რომ ახალი რომანის აღმოჩენას ოჯახისადმი დაუმორჩილებლობის ხიბლიც ემატებოდა. ხომ იცით, ორმაგად აკრძალული ხილი ორმაგად გემრიელია! ო, რა დაუვიწყარი იყო გადასაფარებლის ქვეშ ფარნის შუქზე კითხვაში გატარებული საათები! როგორ მიიჩქაროდა ანა კარენინა თავისი

ვრონსკისკენ შუალამისას! მათ უყვარდათ ერთმანეთი და ეს უკვე მშვენიერი იყო, მაგრამ კითხვის აკრძალვამ მათი სიყვარული სასწაულად აქცია! მათ უყვარდათ ერთმანეთი დედ-მამის აკრძალვის მიუხედავად, შუა გზაში გაწყვეტილი მათემატიკის დავალების მიუხედავად, დასამთავრებელი ფრანგულის სავარჯიშოს მიუხედავად, დასალაგებელი ოთახის მიუხედავად, სადილისა და დესერტის მიუხედავად. მათ ერთმანეთი აირჩიეს ფეხბურთის მატჩისა და სოკოების შეგროვების ნაცვლად და სხვა ყველაფერს ამჯობინეს. ღმერთო მაღალო, ეს ხომ ნამდვილი სიყვარულია!

აფსუს, რა მალე დამთავრდა ეს რომანი.

გულწრფელად გეუბნებით, ერთი წამითაც არ გვიფიქრია მისთვის კითხვის დაძალება. პირველ რიგში, მის სიამოვნებაზე ვფიქრობდით. მისი ბავშვობის პირველ წლებში გულაჩვილებულნი შევცქეროდით, როგორ იდგამდა ეს თოთო სიცოცხლე ფეხს. და ამის შემყურე, ჩვენი მოწოდებაც შევიცანით. ჩვენ მისთვის მთხრობელი გავხდით! პატარამ ენა რომ ამოიდგა, ნაირნაირ ამბებს ვუყვებოდით. ღმერთმანი, არც გვეგონა, ამდენი თუ შეგვეძლო! მისი აღფრთოვანება შთაგვაგონებდა, მისი ბედნიერება ძალას გვმატებდა. ჩვენ მისთვის ახალ გმირებს ვძერწავდით, ახალ-ახალ ამბებს ვთხზავდით, ხაფანგებს ვაგებდით. ჩვენ მისთვის, როგორც მოხუცმა ტოლკიენმა თავისი შვილიშვილებისთვის, ახალი სამყარო გამოვიგონეთ. დღისა და ღამის გასაყარზე მის მთხრობელად ვიქეციით!

სრულიადაც რომ არ გვექონოდა ეს ნიჭი, სხვისგან გაგონილი ამბები რომ მოგვეთხრო, ცუდადაც რომ მოგვეყოლა, ჩვენი სიტყვებით გვეჯახებოდა, საკუთარი სახელები შეგვშლოდა, მოვლენები აგვრეოდა, ერთი ზღაპრით დაგვეწყო და მეორეთი დაგვებოლოებინა, ამას არანაირი მნიშვნელობა არ ექნებოდა. უფრო მეტიც, სულ რომ არაფერი მოგვეყოლა და უბრალოდ მისთვის ხმამაღლა წაგვეკითხა, მაინც მისი ერთადერთი მთხრობელი გავხდებოდით. ჩვენი მეშვეობით ის ყოველ საღამოს, ძილის წინ, სამყაროს შეცნობას დაიწყებდა. შემდეგ კი პიჟამაში გამოწყობილი ოცნებებს მიეცემოდა და ღამის ზეწარში გაეხვეოდა. ჩვენ გავხდით მისი წიგნი.

გახსოვთ, რა საოცარი დამოკიდებულება, რა საოცარი სიახლოვე იყო მაშინ ჩვენ შორის?!

როგორ გვიყვარდა ხანდახან მისი ცოტათი შეშინება, რომ მერე გემრიელად გულში ჩაგვეკრა და დაგვემშვიდებინა! თვითონ? როგორ გამოგვიტყდებოდა ხოლმე, რომ ეშინოდა. ისე აცახცახდებოდა, გეგონებოდა, თავად გადახდენოდა ეს ყველაფერი. ნამდვილი მკითხველი იყო, ერთი სიტყვით. ასეთი წყვილი ვიყავით მაშინ: ის, მკითხველი - ჭკუის კოლოფი! - და ჩვენ, წიგნი - მისი თანამზრახველი.

ერთი სიტყვით, წიგნი შევაყვარეთ მაშინ, როცა ჯერ კითხვაც კი არ იცოდა. ჩვენ მას ფანტაზიების უკიდევანო სამყარო გადავუშალეთ, მოგზაურობის ბედნიერებას ვაზიარეთ (თანაც ადგილიდან ფეხის მოუცვლელად), ყველგან ყოფნის შესაძლებლობით აღვჭურვეთ, დროის ჩარჩოებისაგან გავათავისუფლეთ, ზღაპრულ განმარტოებაში ჩავძირეთ, მხოლოდ მკითხველებით დასახლებულ ზღაპრულ სიმყუდროვეში. ის ამბები, რომლებსაც ვუკითხავდით, სავსე იყო ძმებით, დებით, მშობლებით, ორმაგი იდეალებით, მფარველი ანგელოზების მთელი ესკადრილით, დევებთან მეზრძოლი მზრუნველი მეგობრების მთელი კოჰორტით, ოღონდ ისეთ დევებთან, რომლებიც ასევე პოულობდნენ მის მთრთოლარე გულში თავშესაფარს. ის ორივეს ანგელოზი იყო. ის მკითხველი იყო! მის გარეშე ზღაპრის გმირების სამყარო ვერ იარსებებდა. მათ გარეშე კი ის მხოლოდ შავ-თეთრი ცხოვრების ამარა დარჩებოდა. ასე აღმოაჩინა მან კითხვის პარადოქსული თვისება. რაშიც ჩვენ არარეალობა დავინახეთ, მან აზრი იპოვა.

ამ მოგზაურობებზე დუმილს ამჯობინებდა. დილაობით უკვე სხვა თემებზე ვლაპარაკობდით. სიმართლე გითხრათ, დიდად არც ვეძიებოდით, რა და როგორ გაიგო. როგორც იტყვიან, თავისი სამყარო ჰქონდა და მასში თავისთვის ფაციფუცობდა. პირადი ურთიერთობა ჰქონდა ფიფქიასთან და შვიდ ჯუჯასთან, განსაკუთრებით კი იმასთან, რომელიც ფიფქიას სიყვარულის მოპოვებას ცდილობდა. აი, კითხვის დიდი სიამოვნება და დიდი საიდუმლოება! თანაც - დუმილი წიგნის დახურვის შემდეგ!

დიახ, წიგნი შევაცვარეთ, კითხვის სურვილი შთავუნერგეთ. ისე, რომ - გახსოვთ? გახსოვთ?! - ერთი სული ჰქონდა, როდის ისწავლიდა კითხვას!

აფსუს, რა პედაგოგები ვიყავით, სანამ ნამდვილი პედაგოგიური თავისტკივილი გაგვიჩნდებოდა!

და აი, ბავშვი ზის გამოკეტილი თავის ოთახში. ცხვირწინ წიგნი უდევს, რომელსაც არ კითხულობს. ფიქრებით სულ სხვაგანაა. მასა და წიგნს შორის რაღაც ბინდის მსგავსი ფარდა ჩამოიშალა, რომლის იქითაც სტრიქონები მონისლულად ჩანს. იგი ფანჯრის წინ ზის, მის ზურგს უკან კი მიხურული კარია. 48-ე გვერდი. ეჰ, ვინ იცის, რა წვალებით მიაღწია ამ 48-ე გვერდს. წიგნში კი ზუსტად ოთხას ორმოცდაექვსი გვერდია. ანუ თითქმის ხუთასი. 500 გვერდი! როგორია?! დიალოგები რომ იყოს, კიდევ რა უჭირს. კი, ელოდე, მოგართმევენ დიალოგებს! ვიწრო არეებს შორის მოქცეული სივრცე წვრილი ნაწერით გადაშავებულა. აბზაცები ერთიმეორეზეა მიწყობილი. აქა-იქ სამადლოდ თითო-ოროლა დიალოგია მიმობნეული. ტირე ოაზისივით მოჩანს. გაგახაროს ღმერთმა! ძლივს არ დაელაპარაკა ერთი კაცი მეორეს! მაგრამ რად გინდა, ის მეორე პასუხს არ სცემს. ამას ერთი უწყვეტი, თორმეტგვერდიანი ტექსტი მოჰყვება. თორმეტი შავი გვერდი! გული შეიძლება შეგიღონდეს! ნაღდად შეგიღონდება! გაატრავს რა! წადი შენი... იგინება კიდევ. ვწუხვარ, მაგრამ, როგორც ხედავთ, იგინება. არ გამიტრავა ამ დედააფეთქებულმა წიგნმა ცხოვრება! წაკითხული ორმოცდარვა გვერდის შინაარსი რომ ახსოვდეს, კიდევ რა უჭირს. ვერც ბედავს, საკუთარ თავს ის კითხვა დაუსვას, რომელსაც მოგვიანებით აუცილებლად დაუსვამენ. ამასობაში ზამთრის გრძელი ღამეც ჩამოწვა. ქვემოდან საინფორმაციო გამოშვების ხმა გაისმა. ვახშამდე ნახევარი საათი დარჩა. რამენაირად ნახევარი საათიც უნდა გაქაჩოს. რამისიქა ეს უპატრონო წიგნი! ადვილად არ დაგნებდება! მგონი, დაწვითაც არ დაიწვება. ცეცხლიც კი ვერ შეაღწევს ამ ფურცლებში. ვიხრჩვები, ჟანგბადი არ მყოფნის! - აი, რას წერს წიგნის არეებზე. შენიშვნა კი, იცოცხლე, ბევრია! წიგნიც, იცოცხლე, იმხელაა! სქელი, დაწნეხილი, ბომბივით მძიმე. ამისგან შეიძლება დაშავდე კაცი, რაღაც იტკინო! ერთი გამაგებინა, რა განსხვავებაა ორმოცდამერვე და ას ორმოცდამერვე გვერდებს შორის? ბუნების აღწერა ყველგან ერთნაირია. ხედავს, როგორ მოძრაობს მასწავლებლის ტუჩები, როცა ის წიგნის სათაურს წარმოთქვამს. ამას მოსწავლეების ერთხმად დასმული შეკითხვა მოსდევს:

- რამდენი გვერდია?

- სამასი თუ ოთხასი...

(მატყუარა...)

- როდისთვის?

დასახული ვადა უკმაყოფილო გუგუნს იწვევს:

- თხუთმეტ დღეში? ოთხასი გვერდი (სხვათა შორის, ხუთასია!) თხუთმეტ დღეში უნდა წავიკითხოთ? არ არსებობს, მასწ.

მასწ.-მა პასუხის გაცემა საჭიროდ არ ჩათვალა.

წიგნი მის საწვალეებლად მოგონილი, აუტანლად მძიმე ტვირთია. დაუსრულებელი შავი ნაწერია და მეტი არაფერი. მოწყენილობის განსახიერებაა. აი, ეს გახლავთ წიგნი. „წიგნი“. ასევე მოიხსენიებს თავის საკოლო თემებში: წიგნი, წიგნის, წიგნები.

„თავის წიგნში „აზრები“ პასკალი გვეუბნება, რომ...“

მასწავლებელი ამაოდ უსვამს ამას წითელ ხაზს, ამბობს, რომ ეს სწორი არ არის. სიტყვა „წიგნი“ თავისთავად ყველაფერს გამოხატავს. უნდა დავაკონკრეტოთ, რა არის ეს წიგნი: რომანი? ესე? მოთხრობების კრებული? ლექსების ციკლი? ლექსიკონიც წიგნია, სატელეფონო ცნობარიც, მარკების ალბომიც და საბუღალტრო დავთარიც.

არაფერი გამოდის. სიტყვა „წიგნი“ არ ეშვება და თავის ახალ თემას იგი ისევ ასე იწყებს: „თავის წიგნში „მადამ ბოვარი“ ფლობერის გვეუბნება...“

ეს იმიტომ, რომ იმწამს ის მარტოსულია, მისთვის ყველა წიგნი უბრალოდ წიგნია და მეტი არაფერი. და ყველა წიგნი ისეთივე მძიმეა, როგორც ენციკლოპედიის სქელყდიანი ტომები, ბავშვობაში სკამზე რომ უწყობდნენ, რათა მაგიდას მისწვდომოდა.

ეს სიმძიმე კი მას ძირს სცემს. აი, მტკიცედ გადაწყვიტა, რომ უნდა წაიკითხოს. მორჩა, წყალი აღარ გაუვა. რა გახდა, ბოლოს და ბოლოს?! მაგიდას მსუბუქად მიუჯდა. რამდენიმე გვერდი რის ვაივაგლახით წაიკითხა. მერე კი - ისევ ის ნაცნობი, ტკივილიანი სიმძიმე, რომელსაც წიგნის სიმძიმე, ჯავრის და გულისტკივილის სიმძიმე, წარუმატებლად დასრულებული მცდელობის სიმძიმე ჰქვია.

დამძიმებული ქუთუთოები კაპიტულაციას მოასწავებს.

48-ე გვერდის რიფმა მისი სიმტკიცის გემს ჩაიღურის წყალი დააღვეინა. წიგნი მას ფსკერისკენ ექაჩება და ისინი ერთად იძირებიან ძილის მორევში.

ამასობაში ქვემოთ, ტელევიზორის წინ, მიდის შეხმატკბილებული საუბარი თემაზე: „ტელევიზია საზოგადოებას რყვნის“. ამ მოსაზრების მომხრეთა რიცხვი თვალსა და ხელს შუა მატულობს.

- რა უაზრობაა! რა უხამსობაა! ამ გადაცემებში ხომ ძალადობის მეტი არაფერია! გაუგონარია! ტელევიზორი ვერ ჩაგვირთავს, რომ...

- იაპონური მულტიპლიკაციური ფილმები გინახავთ?

- გადაცემები აქ არაფერ შუაშია. მთლიანად ტელევიზია ნერგავს ამას. ტელემყურებლების ეს პასიურობა... ეს შემგუებლობა...

- მართალი ხართ. ჩავრთავთ, დავსხდებით და... - აქეთ-იქით ვრთავთ...

- ყველაფერს ერთდროულად ვუყურებთ...

- იმიტომ, რომ რეკლამას ავცდეთ.

— გეგონოთ! ეგეც გათვლილი აქვთ. სინქრონულად მუშაობენ. ერთი რეკლამიდან გადართავ და მეორე არხზეც რეკლამა დაგხვდება.

- ხშირად იგივე რეკლამა!

წამიერი სიჩუმე: „ერთსულოვნების კონცხია“, უფროსების შეჯერებული აზრით და სადი გონებითა გაცისკროვნებული.

მერე ვიღაც ნახევრად ჩურჩულით ამბობს:

— კითხვა!.. კითხვა სულ სხვა რამეა! კითხვა - ეს უკვე შემოქმედებაა!

- რა ზუსტად თქვით! შემოქმედებაა! მართალი ხართ.

- ტელევიზია და, თუ დაფიქრდებით, კინემატოგრაფიაც კი... ყველაფერს გამზადებულს

გაწვდის, არაფერია სააზროვნო, ყველაფერი დაღეჭილია: კადრები, ხმა, დეკორაცია, მუსიკა. ყველაფერი, რომ ზუსტად ჩასწვდე რეჟისორის ჩანაფიქრს.

- მაგალითად, კარის ჭრიალი იმის ნიშანია, რომ რაღაც მოხდება და წინასწარ უნდა შეგეშინდეს.

- კითხვის დროს შენი წარმოსახვა მუშაობს. ამიტომაც კითხვა მუდმივი შემოქმედების აქტი.

ისევ სიჩუმე ჩამოწვა (ამჯერად „მუდმივ შემოქმედებს“ შორის თანხმობის ნიშნად).

მერე:

- ამას წინათ შემაშფოთებელი სტატისტიკა ვნახე: საშუალოდ რამდენ საათს ატარებს ბავშვი ტელევიზორის წინ და როგორ შეფარდებაშია იგი სკოლაში ჩატარებული ფრანგულის გაკვეთილების საათებთან.

- რაღაც სასწაული იქნება!

- ერთი ექვსთან თუ შვიდთან. თანაც ამაში არ შედის კინოში გატარებული დრო. ბავშვი (ჩვენს შვილებზე არ ვლაპარაკობ) საშუალოდ დღეში ორ საათს ატარებს ტელევიზორთან, შაბათ-კვირას კი - რვა-ათ საათს. ესეც შენი ოცდათექვსმეტი საათი კვირაში. ფრანგულის გაკვეთილები კი კვირაში სულ ხუთი საათი აქვთ.

- ფაქტია, რომ სკოლა ვერ არის მოწოდების სიმალლეზე.

კვლავ სიჩუმე.

უკიდევანოდ ღრმა სიჩუმე.

ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია წიგნთან მისი გაუცხოების უამრავი მიზეზი დავასახელოთ.

ეჰ, მერამდენედ ვიმეორებთ ამ ყველაფერს.

თუნდაც იმას, რომ მხოლოდ ტელევიზია არ არის ამაში დამნაშავე.

რომ ახლანდელ ბავშვებს ჩვენი თაობის წიგნისმოყვარული ახალგაზრდებისგან ათწლეულები ყოფს, მაგრამ განსხვავება იმხელაა, გეგონება, საუკუნეები გავიდაო.

რომ ჩვენ საკუთარ შვილებთან ქვეცნობიერად უფრო ახლოს ვართ, ვიდრე ჩვენი მშობლები იყვნენ ჩვენთან, მაგრამ ცნობიერად მშობლებთან უფრო ახლოს დავრჩით. თუ რაღაც ამდაგვარი...

(აქ მეცნიერული კამათი იწყება, რომელიც „ქვეცნობიერისა“ და „ცნობიერის“ ზუსტ მნიშვნელობას არკვევს. და აი, ასპარეზზე კიდევ ერთი სიტყვა გამოდის).

- შეიძლება ითქვას, რომ გულით უფრო ახლოს ვართ.

- გონებით?

- გონებით კი არა, გულით.

- ანუ გულით უფრო ჩვენს შვილებთან ვართ ახლოს, გონებით კი - მშობლებთან, არა?

- ეს „სოციალური მოვლენაა“. იმ პროცესის შედეგია, რომელსაც შეიძლება ასეთი ახსნა-განმარტება მოვუძებნოთ: ჩვენი შვილები, საკუთარი მშობლების გარდა, ამ ეპოქის შვილებიც არიან, ჩვენ კი მხოლოდ ჩვენი მშობლების შვილები ვიყავით.

-...?

- გარწმუნებთ! ახალგაზრდობაში საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არ ვიყავით. კომერციული და კულტურული თვალსაზრისით, ეს უფროსებზე მორგებული საზოგადოება იყო. ერთნაირად გვაცმევდნენ, ყველაფერი საერთო და საზიარო გვქონდა, მასკულტურა, უმცროსი ძმები უფროსის ტანსაცმელში იზრდებოდნენ, ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე მაგიდას ვუსხდებოდით და ერთსა და იმავე საჭმელს შევექცეოდით, კვირაობით ერთსა და იმავე ადგილას ვსეირნობდით. ტელევიზორი ოჯახს ერთადერთი არხის საყურებლად კრებდა (რომელიც, სხვათა შორის, ბევრად სჯობდა დღევანდელ მრავალს). რაც შეეხება კითხვას, ჩვენს მშობლებს მხოლოდ იმაზე უნდა ეზრუნათ, რომ აკრძალული წიგნი ისე მაღლა შეედოთ, ვერ

მივწვდომოდით.

- წინა თაობებში კი, მაგალითად, ჩვენი ბებიების თაობაში, გოგონებს საერთოდ უკრძალავდნენ კითხვას.

- გკეთანხმებით! განსაკუთრებით რომანების. „წარმოსახვაა, გიჟური ფანტაზიები“, გათხოვებაში შეუშლის ხელსო...

- დღეს კი ახალგაზრდები მთლიანად იმ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან, რომელიც მათ აცმევს, ართობს, აჭმევს, ანათლებს. დრო, რომლის შედეგიცაა მაკდონალდსი, ჯინსი და ამდაგვარი რამეები. ჩვენ სადამოებზე დავდიოდით, ისინი ღამის კლუბებში დადიან, ჩვენ წიგნებს ვკითხულობდით, ისინი ერთმანეთში კასეტებს ცვლიან. ჩვენ „ბიტლების“ მუსიკის ფონზე ვსაუბრობდით, ისინი კი, ყურებში უოქმენგარჭობილნი, გარე სამყაროს გამოთიშულები დაბორიალობენ. კიდევ ერთი საოცარი მოვლენის მოწმენი გავხდით. მთელი უბნები, ქალაქის უშველებელი ტერიტორიები ამ უქნარა ახალგაზრდების საბირჟაო ადგილებადაა ქცეული.

მაგალითად, ბობური.

ბობური...

ბარბაროსული ბობური...

ბობური მოფუთფუთე კომმარად გადაიქცა. ბობური-ბირჟაობა-ნარკოტიკი-ძალადობა... ბობური და მეტროს დაფჩენილი პირი... „ცენტრალური ბაზრის“ ხვრელი, აი, რა გახდა ბობური!

- საიდან შეიყარნენ ეს წერა-კითხვის უცოდინართა ურდოები მაინცდამაინც აქ, საფრანგეთის ამ ყველაზე დიდი ბიბლიოთეკის წინ! პარადოქსია პირდაპირ!

ისევ სიჩუმე. „ანგელოზმა ჩაიფრინა“, ალბათ, პარადოქსების მფარველმა ანგელოზმა.
- თქვენი შვილი დადის იქ?

- იშვიათად, საბედნიეროდ, მეთხუთმეტე ოლქში ვცხოვრობთ.

სიჩუმე...

სიჩუმე...

- ერთი სიტყვით, აღარ კითხულობენ.

- არა.
- თანაც ძალიან დაკავებული არიან.
- უდავოდ.

და თუ ტელევიზიის ან ობივატელობის (ამ სიტყვის ფართო გაგებით) ბრალი არ არის, მაშინ ყველაფერი ელექტრონული დამპყრობლის გამო ხდება. აა, თქვენ ფიქრობთ, რომ დამაზომბირებელი თამაშები აქ არაფერ შუაშია? მაშინ დამნაშავეები სკოლაში ეძებეთ: სასწავლო პროცესში, რომელიც კითხვაზე ორიენტირებული არ არის, აბდაუბდა პროგრამებში, არაკომპეტენტურ მასწავლებლებში, სკოლის შენობის სიძველეში, ბიბლიოთეკების ნაკლებობაში.

აბა, კიდევ რაში?

ა, ჰო, კულტურის სამინისტროს ბიუჯეტში... გროშებია! და იმ მცირეოდენ სახსრებში, რომელიც ამ უწყებაში „წიგნისთვისაა“ გამოყოფილი.

რანაირად იკითხოს ამ პირობებში ჩემმა ბიყმა, ჩემმა გოგომ, ჩვენმა შვილებმა და საერთოდ, ახალგაზრდობამ?

- სხვათა შორის, ფრანგები სულ უფრო და უფრო ნაკლებად კითხულობენ...
- სამწუხაროდ.

აი, ასე ვყრით და ვკერავთ. დაუძლეველ ამოცანებს ლაპარაკით ვძლევთ, ბურუსით მოცულ საკითხებს ღალადით ვფენთ ნათელს. ჩვენი დუმილიც კი ბევრს მეტყველებს. არც ცოდნა გვაკლია და არც სიფრთხილე. ამ დროის ანკესზე არ წამოვეგებით! ჩვენს სიტყვებში მთელი ამქვეყნიური ჭეშმარიტებაა, ყველაფერ დანარჩენს კი ჩვენი მდუმარება იტევს.

კეთილგონიერი ვართ. უფრო მეტიც, დაუოკებელი ლტოლვა გვაქვს კეთილგონიერებისკენ.

კეთილი, მაგრამ რატომ ვხდებით ასეთი სევდიანები მსგავსი საუბრების მერე? რატომაა ასეთი დაცარიელებული ჩვენი სახლი შუალამისას, სტუმრების წასვლის შემდეგ? მხოლოდ იმიტომ, რომ გასარეცხი ჭურჭლის გორა გველოდება? ნუთუ? აქედან რამდენიმე კილომეტრში კი ჩვენგან წასული თანამოსაუბრენი შუქნიშნის წითელ შუქზე გაჩერებულ მანქანაში იმავე მდუმარებით მოცულნი სხედან.

კეთილგონიერებით თრობა დასრულდა და ნაბახუსევი დაიწყო. გეგონება, ნარკოზი გავიდა და ნელ-ნელა ცნობიერება ბრუნდებაო. ყველაზე უცნაური და მტკივნეული ამ გაღვიძებაში კი ის არის, რომ წელანდელ ლაპარაკში საკუთარ თავს ვერ ვცნობთ. ეს ჩვენ არ ვიყავით. შეიძლება, ყველაფერი სხვა იყო: არგუმენტები, მოსაზრებები. გეთანხმებით! ოღონდ ჩვენ - არა! გამოდის, რომ კიდევ ერთი სადამო შევწირეთ კეთილგონიერებით თრობას.

აი, ასე, გკენაცვალე... გგონია, რომ სახლში ბრუნდები, სინამდვილეში კი საკუთარ თავს უბრუნდები.

ის, რაც ახლახან მაგიდასთან ვილაპარაკეთ, სრულიად ეწინააღმდეგება იმას, რასაც გულში ვფიქრობდით. ჩვენ კითხვის აუცილებლობაზე გამოვედით სიტყვით, სინამდვილეში კი გულის სიღრმეში მას თანავუგრძნობდით, ვინც ზემოთ, თავის ოთახში, გამოკეტილი იჯდა და არ კითხულობდა. ჩვენ ჩამოვთვალეთ ყველა ის მიზეზი, რის გამოც დღეს ახალგაზრდას კითხვა აღარ უყვარს, სინამდვილეში კი მხოლოდ გვინდოდა, როგორმე ის წიგნი-კედელი გაგვერღვია, რომელმაც მასთან დაგვაშორა. წიგნზე ვლაპარაკობდით და მასზე ვფიქრობდით.

მასზე, რომლის იმდღევანდელმა საქციელმაც დარდი მხოლოდ გაგვიათკეცა: ჯერ იყო და სტუმრებთან ბოლო მომენტში ჩამოვიდა, არც „გამარჯობა“ უთქვამს, არც „უკაცრავად“, სკამზე გარდატეხის ასაკის მთელი სიმძიმით დაეხეთქა, საუბარში მონაწილეობის მიღებით თავი არ შეუწუხებია, ბოლოს დესერტსაც არ დალოდებია, ისე წამოიზღაზნა:

- ბოდიშს გიხდით. უნდა წავიდე. წიგნი მაქვს წასაკითხი!

სიახლოვე დაიკარგა...

ღამეებს თეთრად ვათენებთ. ვიხსენებთ მის ბავშვობას. ყოველ საღამოს, ძილის წინ, მის სასთუმალთან ჩამოვსხდებოდით და წიგნს ვუკითხავდით. ეს აუცილებელი რიტუალი იყო. რაღაცით ლოცვას ჰგავდა. შვებით ამოსუნთქვას ჰგავდა მთელი დღის ალიაქოთის მერე. მონატრებულ შეხვედრას ჰგავდა იძულებითი განშორების მერე. კითხვის დაწყებამდე რამდენიმე წამით ადრე სიჩუმე ჩამოწვებოდა ხოლმე. ჩვენი ხმაც ბოლოს და ბოლოს საკუთარ ჟღერადობას იბრუნებდა. ეპიზოდების ლიტურგია გვახსენდება. ზღაპრებს, რომლებსაც ყოველ საღამოს ვუკითხავდით, ლოცვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე უანგარო, ყველაზე უდავო და მხოლოდ ადამიანებისთვის დამახასიათებელი თვისება ჰქონდა: მიტევება. აღსარებას არ ვამბობდით და არც ჩვენს წილ მარადისობას ვითხოვდით. ეს ჩვენთვის ზიარება იყო, წაკითხულით ცოდვების მიტევება, იმ ერთადერთ ჭეშმარიტ სამოთხეში დაბრუნება, რომელსაც სიახლოვე ჰქვია. სწორედ მაშინ, ჩვენდა უნებურად, აღმოვაჩინეთ ზღაპრების და, ზოგადად, ხელოვნების მთავარი დანიშნულება: სული მოითქვა ცხოვრებასთან გამართულ ორთაბრძოლაში. სიყვარულიც იქ სულ სხვაგვარი იყო...

და რაც მთავარია, სამაგიეროდ არაფერს ვითხოვდით.

12

სრულიად არაფერს. ამ ყველაფერს უსასყიდლოდ, საჩუქრად იღებდა. ეს იყო წამი, რომლის სადარიც არ მოიძებნებოდა. ეს ძილისპირული ზღაპრები მას მთელი დღის ტვირთისგან ათავისუფლებდა. მსუბუქი და უდარდელი ხდებოდა. მიფრინავდა. ქარდაქარ მიფარფატებდა. და ეს ქარი ჩვენი ხმა იყო.

ამ მოგზაურობისთვის საზღაურს არ ვთხოვდით. არც ერთ კაპიკს, არავითარ კომპენსაციას. ეს არც პრიზი იყო და არც ჯილდო (ჯილდოს ნუ გამახსენებ! ასი პირი ტყავი უნდა გაგძვრეს, რომ ჯილდოს ღირსი გახდე). აქ ყველაფერი უსასყიდლოდ ხდებოდა. უსასყიდლოდ, რამეთუ ეს არის ხელოვნების ერთადერთი საზღაური.

13

მაშ სად გაქრა ეს სიახლოვე? და რატომ აღიმართა სალ კლდესავით ჩვენ შორის წიგნი? ჩვენ ხომ ყველანაირად ვცდილობთ მის გაგებას (ანუ საკუთარი თავის ნუგეშისცემას) და ყველაფერში ამ საუკუნეს და ტელევიზორს ვადანაშაულებთ, რომლის გამორთვაც ხშირად ჩვენ

თვითონვე გვავიწყდებოდა. ვითომ ტელევიზორის ბრალია?

თუ მეტისმეტად „ვიზუალური“ მეოცე საუკუნის? ან უაღრესად აღწერილობითი მეცხრამეტის? მაშინ რატომ არა ზედმეტად რაციონალური მეთვრამეტის, ზღვარგადასულად კლასიკური მეჩვიდმეტის, მოჭარბებულად რენესანსული მეთექვსმეტის, უკიდურესად რუსი პუშკინის ან დიდი ხნის მკვდარი სოფოკლესი? გეგონება, ადამიანსა და წიგნს შორის დაშორიშორებას აუცილებლად საუკუნეები სჭირდებოდა.

რამდენიმე წელიც საკმარისია.

რამდენიმე კვირა.

პატარა უთანხმოება.

მას ჩვენი აღწერები მოსაწყენი არ ეჩვენებოდა, როცა მის სასთუმალთან ვისხედით და ვუყვებოდით წითელქუდას კაბაზე, მისი კალათის შიგთავსზე, ულრან ტყეზე, ბებიას უცნაურად გაბანჯგვლულ ყურებზე, იმაზე, რომ სახელური უნდა ჩამოეწია და კარი გაიღებოდა.

მას შემდეგ საუკუნეებს არ გაუვლია. უბრალოდ, გვგონია, რომ ეს დრო, რომელსაც

ცხოვრებას ვეძახით, უსასრულო მარადისობად გადაიქცა. ამის მიზეზი კი გახდა ურყევი პრინციპი: „უნდა იკითხო!“

აქაც, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ცხოვრებაში, სიამოვნებამ ნელ-ნელა იკლო. ერთი წელი მის სასთუმალთან ჯდომა და ზღაპრების მოყოლა! კაი. ორი! - ჯანდაბას! სამი - უკვე მეტისმეტია. ასე ყოველ საღამოს თითო ზღაპარი და კი გამოვიდა ათას ოთხმოცდათხუთმეტი ზღაპარი. 1095 - შთამბეჭდავი ციფრია, არა? თქვენ იტყვით, რომ კითხვას დიდი-დიდი თხუთმეტი წუთი სჭირდებოდა. ამას კიდევ ერთი ამდენივე მიამატეთ იმის მოსაფიქრებლად, ამჯერად რა წავუკითხოთ? რა მოვუყვით?

ჩვენ ვიცით, რა ტანჯვით მოდის შთაგონება.

თავიდან თვითონ გვეხმარებოდა. მრავალფეროვნებას არ დაეძებდა. ერთსა და იმავე ზღაპარს ითხოვდა.

- ისევ ცეროდენა გინდა?! გაგიჟდება კაცი! დედას ბაჭიავ, ცეროდენას გარდა უამრავი რამ არის, მაგალითად...

ცეროდენა და მეტი არაფერი!

ეჰ, ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ მალე სანატრელი გაგვიხდებოდა ეს დრო, როცა მის ზღაპრულ ტყეში მხოლოდ ცეროდენები ცხოვრობდნენ, რომ ცოტა ხანში ვიტყოდით: ჩემი ბრალია, რატომ მივაჩვიე მრავალფეროვნებას და არჩევანს? იმიტომ, რომ ცოტა ხანში პირიქით დაიწყო.

- ეგ აღარ მინდა, ეგ ხომ უკვე მომიყვები!

ვერ ვიტყვით, რომ საკითხავის არჩევაზე ღამეებს ვათენებდით, მაგრამ თავსატეხად მაინც გვექცა. მორჩა, გადაწყდა, ამ შაბათს წიგნების მაღაზიაში მივდივართ და საბავშვო ლიტერატურას ვარჩევთ. არა, ამ შაბათს არ გამოვა, იქით შაბათს - უსიკვდილოდ. რასაც ის სულმოუთქმელად ელოდა, ჩვენთვის უბრალოდ ყოველდღიური საოჯახო საქმიანობა იყო, უმნიშვნელო, წვრილმანი საქმე, რომელსაც სხვა მსხვილი საქმეებიც ემატებოდა. მოკლედ წვრილმანი იყო თუ არა, ერთი რამ კი ფაქტია: მისთვის ზღაპრის წაკითხვა სიამოვნება აღარ იყო, ეს უკვე ვალდებულება გახდა. აი, მაშინ უნდა მივმხვდარიყავით, მაშინ უნდა აგვეტეხა განგაში. ჩვენ კი ყურადღება არ მივაქციეთ.

ხანდახან პროტესტს ვაცხადებდით. -- რატომ მე და არა შენ? ბოდიში, მაგრამ ამ საღამოს ზღაპარს შენ მოუყვები!

- ხომ იცი, რომ მაგისტრის ფანტაზია არ მყოფნის...

შესაძლებლობას არ ვუშვებდით, რომ ეს საქმე ვინმესთვის გადაგვებარებინა. ახალი მთხრობელები მივუჩინეთ: ბიძაშვილ-მამიდაშვილები, ძიძები, დეიდები, მამიდები. მათ მოყოლის ენთუზიაზმი ჯერ არ განელეობოდათ, თუმცა კრიტიკული მსმენელის რეპლიკები ხშირად იმედგაცრუებულს ტოვებდათ.

- არა, ბებიას ეს არ უპასუხნია!..

ხშირად ვემშაკობდით კიდევ. უნდა ვადიაროთ, რომ არაერთხელ გვიცდია მისთვის ფასდაუდებელ თემაზე ვაჭრობა.

- გაჩერდი, თორემ იცოდე, ამაღამ ზღაპარს არ გაღირსებ!

ამ მუქარას იშვიათად ვასრულებდით. დაყვირებას ან დესერტის გარეშე დატოვებას დიდად არ განიცდიდა, ზღაპრის გარეშე დაძინება კი მისთვის მთელი დღის

ჩამწარებას ნიშნავდა. თანაც ერთად ვერ იქნებოდით. ეს კი ორივესთვის მეტად სასტიკი სასჯელი იქნებოდა.

ერთი-ორჯერ დავემუქრეთ. ერთი-ორჯერ! მეტჯერ არა! რას იზამ, დაღლილობა თავისას შვრება. ხანდახან სული წაგვძლევს, რომ ეს ნახევარი საათი სხვა რამისთვის გამოვიყენოთ, საქმე წინ წავიგდოთ, დავისვენოთ ან უბრალოდ ჩუმად ვისხდეთ... ჩვენ თვითონ წავიკითხოთ, ბოლოს და ბოლოს.

მოკლედ, მთხრობელი, რომელიც ჩვენში ცხოვრობდა, გადაიქანცა. მას ერთი სული ჰქონდა, როდის გადასცემდა ესტაფეტას ვინმე სხვას.

სკოლამ სულზე მოგვისწრო.

ბავშვის მომავალზე ზრუნვა მას გადავაბარეთ. კითხვა, წერა, თვლა...

თავიდან დიდი ენთუზიაზმით დაიწყო.

აღმოჩნდა, რომ ამ ჯოხებისგან, რგოლებისგან, კაუჭებისა და გადაბმული ხიდებისგან ასოები გამოდიოდა. მაგარი იყო! რამდენიმე ასო ერთად უკვე მარცვალი იყო, რამდენიმე მარცვალი კი - სიტყვა. ზოგი სიტყვა კიდევ ისეთი ნაცნობი იყო, გაგიჟებოდი.

მაგალითად, სიტყვა „დედა“. დე-და. ერთი კაუჭი, ორი ხიდი, ერთი რგოლი, ერთი კაუჭი, მერე ისევ კაუჭი, ხიდი, რგოლი და ამოყირავებული კაუჭი. გამოვიდა: დედა. სასწაული თუ გინახავს!

ახლა მოდით, მისი სკოლაში გატარებული დღე წარმოვიდგინოთ. დილაუთენია ადგა. სახლიდან დედის ხელს ჩაჭიდებული გამოვიდა. გარეთ შემოდგომის წვიმა ცრის (დიახ, შემოდგომის წვიმა ცრის და თანაც ბურუსია. გარემოს დრამატიზაციისთვის სიტყვებს ნუ დავინახებთ!). სკოლისკენ მიიჩქარის, ახალგაღვიძებული ჯერ კიდევ ლოგინის სითბოს გრძნობს, პირში კი ცხელი შოკოლადის გემო დარჩენია, დედის ხელს, მაგრად ჩასჭიდებია და მიტუსტუსებს. დედის ერთი ნაბიჯი მის ორს უდრის. ზურგჩანთა ზურგზე ეხათქუნება. აი სკოლის შესასვლელიც გამოჩნდა. ნაჩქარევი კოცნა და ის უკვე სკოლის მოცემენტებულ ეზოში მიაბოტებს. ზემოდან კი მოქუფრული წაბლის ხეები დასცქერიან. ჯერ კედელთან იტუზება, მერე კი მოსწავლეების დინებას მიჰყვება. ბოლოს ყველანი პაწაწინა მაგიდებთან გაშემებულები სხედან. ისეთი სიჩუმეა, ბუზის გაფრენას გაიგებ. მთელი ტანით ცდილობს, კალამი დაიმორჩილოს, დაბალჭერიან დერეფანში, სტრიქონი რომ ჰქვია, ერთმანეთის მიყოლებით აწყობს ასოებს დამაბული, თითებგაყინული. პატარა ხიდი, ჯოხი, კაუჭი, რგოლი და ისევ პატარა ხიდი... დედა კი ახლა ისე შორსაა. ის სულ მარტოა. ეს ის მარტოობაა, ძალისხმევა რომ ჰქვია. ირგვლივ კი სხვა მისნაირი მარტოხელა დამაბული პატარა ადამიანები სხედან. და აი, პირველი ასოების რიგი: ჯერ ასო „ა“ გამოწერა, მერე - „მ“, მერე - „ქ“ (ხუმრობაა ამ მოკაუჭებული ძელის მიბმა შუა ასოზე? მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ? წინ „ყ“ ელოდება. ძელი იქით იყოს და ახლა ბაფთა გაუხდა შესაბამელი! მაგრამ ბაფთაცაა და ბაფთაც! „ტ“ ასოს გამოყვანისას კინაღამ მაჯა ამოიგდო...). ნაბიჯ-ნაბიჯ ყველა სირთულე და დაბრკოლება გადალახა. ასოები ჯერ მარცვლებად დაჯგუფდნენ... „დე“-ს რიგს „მა“-ს რიგი მოჰყვა. ახლა მარცვლებს კიდევ ასოები

დაემატა და...

მოკლედ, ერთ მშვენიერ დღეს, უფრო სწორად კი ნაშუადღევს, როცა ყურებში ჯერ კიდევ არ

განელებოდა სკოლის სასადილოს ზუზუნის, საკუთარი ხელით თავის წინ თეთრ ფურცელზე სიტყვა გააჩინა: დედა.

რა თქმა უნდა, ეს სიტყვა უკვე რამდენჯერმე ჰქონდა ნანახი დაფაზე, მაგრამ ასე, საკუთარი ხელით თუ გამოიყვანდა, ვერასდროს წარმოიდგენდა...

ჯერ გაოცებული ხმით დამარცვლით ჩუმად წარმოთქვა: „დე-და“. და უცებ იყვირა: - დედა!

ეს იყო ყველაზე დიდი გამარჯვების, მიზნის მიღწევის ყვირილი. ადამიანის მთვარეზე პირველად ფეხის დადგმას ჰგავდა. რაღაც ხაზების აბდაუბდა უცებ ყველაზე საყვარელ სიტყვად გადაიქცა! წარმოიდგინეთ, ხიდი, კაუჭი, რგოლი და... დედა! მან დაწერა, მან გააჩინა ეს სიტყვა. თანაც ეს ხომ უბრალოდ მარცვლების ნაკრები არ არის, ეს არ არის უბრალოდ სიტყვა, ცნება, ეს ზოგადად „დედაც“ კი არ არის, ეს მისი დედაა! საოცარი გარდასახვაა, ეს ოთხი ასო მისთვის უფრო ბევრისმთქმელია, ვიდრე ნებისმიერი ფოტო. ეს უბრალო და აზრსმოკლებული ხიდები და რგოლები სამუდამოდ გადაიქცნენ იმ სიახლოვედ, იმ სითბოდ, იმ ხმად, იმ სუნად, იმ კალთად, რომელიც ასე ახლობელი იყო მისთვის და რომელიც ასე შორეული იყო აქ, ამ ოთხ კედელს შუა, ამ დალიანდაგებულ ფურცელზე...

ფილოსოფიური ქვა! არც მეტი და არც ნაკლები.

მან იმწამს ფილოსოფიური ქვა აღმოაჩინა.

ასეთი აღმოჩენა, ასეთი თავბრუდამხვევი ემოცია უკვალოდ არ ჩაივლის. კითხვა თავისთავად ნეტარებაა, როგორ შეძლებულიც უნდა ჰქონდეს ადამიანს წიგნი. ეს ალქიმიკოსის აღმოჩენას ჰგავს, რომლისგან მიღებული სიამოვნებაც ვერასდროს შეედრება ვერც ტელევიზორში და ვერც ყოველდღიურ ცხოვრებაში ნანახისგან მოგვრილს.

თუ, მიუხედავად ამისა, კითხვის სიამოვნება დაკარგულია (როგორც ჩვენ ვამბობთ ხოლმე, ჩემს შვილს, ახალგაზრდა თაობას კითხვა არ უყვარსო), ის სადღაც აქვე უნდა ვეძებოთ.

კი არ დაიკარგა, გზა აებნა.

და ძალიან ადვილად მოიძებნება.

უბრალოდ, უნდა ვიცოდეთ, სად ვეძებოთ. ამისთვის კი რამდენიმე მიზეზი უნდა გავიხსენოთ, რომლებსაც არავითარი საერთო არ აქვს ახალგაზრდებზე თანამედროვეობის

ზეგავლენასთან. ეს მიზეზები მხოლოდ ჩვენშია... ჩვენში, რომლებიც ვამტკიცებთ, რომ „კითხვა გვიყვარს“ და პრეტენზია გვაქვს, რომ შეგვიძლია, სხვასაც შევაყვაროთ იგი.

აღფრთოვანების მწვერვალზე მყოფი სკოლიდან ამაყი, შეიძლება ითქვას, ბედნიერიც კი ბრუნდება. მეღნის ლაქებით ისე ამაყობს, როგორც ორდენებით. ოთხფერიანი ბურთულიანი კალმით დახაზულ თითებს სამკაულივით გვაჩვენებს.

ამ ბედნიერებამ სკოლაში წასვლით გამოწვეული ტანჯვა-წამებაც კი გადაწონა:

დაუსრულებელი სასწავლო დღე, ზედმეტად მკაცრი მასწავლებლები, ზედახორა სკოლის სასადილოში, პირველი სიყვარულისგან გამოწვეული ტკივილი...

ის ხსნის ჩანთას და იქიდან თავისი გმირობის დასტური ამოაქვს, საკრალურ სიტყვებს კიდევ ერთხელ წარმოთქვამს (დედა“, „მამა“ ან ნებისმიერი სხვა სიტყვა: „შოკოლადი“, „კატა ან თუნდაც თავისი სახელი...).

ქუჩაში დაულალავად იმეორებს სარეკლამო სლოგანებს: „reno“, „samariteni“, „volviki“, „kamargi“, სიტყვები თითქოს ციდან ცვივა, მათი ფერადი მარცვლები პირში ფეთქდება. ვერც ერთი სარეცხი საშუალება ვერ გადაურჩება მის დამარცვლას:

- „თოვ-ლი-ვით-თეთ-რი-ა“. დე, რას ნიშნავს „თოვლივითეთრია?“

მაშ ასე, მთავარი შეკითხვის დრო დადგა!

ასეთმა შემართებამ დაგვაბრმავა? გვეგონა, რომ ასოების გამოწერით მინიჭებული სიამოვნება უკვე წიგნის კითხვის დაუოკებელ ჟინს ნიშნავდა? რომ კითხვის სიყვარულს თავისით ისწავლიდა, როგორც სიარულს ან ლაპარაკს, კიდევ ერთ, მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელ უნარს? არ ვიცი, რა ვიფიქრეთ, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: სწორედ მაშინ დავამთავრეთ საღამოობით მისთვის წიგნის კითხვა.

სკოლამ უკვე ასწავლა კითხვა, კითხვა შეაყვარა, მის ცხოვრებაში გარდამტეხი მომენტი დადგა, მან დამოუკიდებელი ცხოვრების პირველი ნაბიჯები გადადგა. ასე ვუთხარით მაშინ საკუთარ თავს, უფრო სწორად, გავიფიქრეთ. ისე, სიმართლე უნდა ითქვას, ბევრიც არ გვიფიქრია, იმდენად ჩვეულებრივი რამ გვეგონა. ასე ვთქვათ, ბუნებრივი ეტაპი ადამიანის ევოლუციის მუდმივ პროცესში.

ის უკვე „დიდი“ იყო. მას ასოების ლაბირინთში დამოუკიდებლად გადაადგილება შეეძლო... და ჩვენც ბოლოს და ბოლოს დავიბრუნეთ ის ნანატრი თხუთმეტი წუთი.

დიდად არც გვეწინააღმდეგებოდა თავისი ახლახან შეძენილი სიამაყის გრძნობის გამო. შეძვრებოდა ხოლმე ლოგინში, მუხლებზე „ბაბარს“ გადამლიდა და შუბლზე დამაბულობისგან ნაოჭი უჩნდებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბავშვი კითხულობდა.

ამ პანტომიმით ფრიად ნასიამოვნები მისი ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვდიოდით. საკუთარ თავს არ ვუტყდებოდით, რომ ის, რასაც ახლა ბავშვი აკეთებდა, კითხვა არ იყო, ეს კითხვის ჩვენება იყო, რათა ჩვენ წინაშე თავი გამოეჩინა, ჩვენი გული მოეგო და საკუთარ თავში დაურწმუნებლობა დაეძლია.

არა, უყურადღებო მშობლები არ გავმხდარვართ, ბავშვი სკოლის ამარა არ დაგვიტოვებია. პირიქით, ძალიან გულდასმით ვადევნებდით თვალყურს მის განათლებას. მასწავლებლების თვალში ჩვენ ძალიან ყურადღებიანი, გულისხმიერი მშობლები ვიყავით, რომლებიც კრებას არასდროს აკლდებიან და „მუდამ მზად არიან დიალოგისთვის“.

დაწყებით კლასებში ვეჯექით და დავალების გაკეთებაში ვეხმარებოდით. როცა კითხვისგან

დაღლის პირველ ნიშნებს ავლენდა, ძალას ვატანდით: უნდა წაეკითხა ყოველდღიურად, ხმამაღლა და შინაარსის სრული გააზრებით.

ადვილი საქმეა?! ყოველი მარცვალი ტკივილით იბადება.

ასობისგან სიტყვის შედგენას იმდენი ძალისხმევა სჭირდება, რომ უკვე მისი მნიშვნელობა გავიწყდება.

წინადადების შინაარსი კი სიტყვების მარტივ მამრავლებად იშლება.

თავიდან!

ისევ თავიდან!

არ მთავრდება.

– აბა ბოლო წაკითხული წინადადება გაიმეორე! აბა რა გაიგე?

ეს, როგორც წესი, დღის ყველაზე ცუდ დროს ემთხვევა: ან ის მოვიდა ახლახან სკოლიდან, ან ჩვენ ვართ ახალი შემოსული სახლში, ან ის არის დაღლილი, ან ჩვენ ძლივს ვდგავართ ფეხზე.

- არ გამოგდის, იმიტომ რომ არ ცდილობ!

ამას მოჰყვება გაღიზიანება, ყვირილი, პროტესტის ნიშნად კარის გაჯახუნება. ხანდახან კი, თითქოს რაღაც შეგვიჩნდაო, ჩვენც გავჯიუტდებით:

- ასე ხომ? ყველაფერს თავიდან დაიწყებ! პირველი სიტყვიდან!

და ისიც ყველაფერს თავიდან იწყებს. სიტყვებს ძლივს გამოთქვამს, ნიკაპი უკანკალებს.

- არ მინდა ახლა ეს ცირკი! ნორმალურად წაიკითხე!

ეს ცირკი არ იყო. ის იტანჯებოდა. ეს ნამდვილი ტანჯვა იყო, რომლის მთავარი მიზეზი ისევ და ისევ ჩვენ ვიყავით. რაღაც შეიცვალა, ჩვენ უკვე აღარ ვიყავით მისი შესაძლებლობებით აღფრთოვანებული, ჩვენ უკვე ვწუხდით, ვნერვიულობდით. მას ჩვენი გაბრაზება და ყვირილი კი არ სწყინდა, ის ჩვენს წუხილს გრძნობდა და ეს ადარდებდა.

ჩვენ კი ნამდვილად შევშფოთდით. იმდენად, რომ თანატოლებთან მისი შედარება დავიწყეთ. ჩვენს მეგობრებს ვეკითხებოდით, რომელთა შვილები... უიმე, რას ამბობ, ძალიან

კარგად სწავლობენ, ხელიდან ვერ ვგლეჯთ წიგნებს, კი, კი, ნამდვილად...

სმენის პრობლემა ხომ არ აქვს? ან დისლექსია ხომ არ სჭირს? სკოლის მიმართ ხომ არ აქვს პროტესტი? გონებრივად ჩამორჩენილი ხომ არ არის?

ექიმი არ დაგვიტოვებია: აუდიოგრამა ნორმალურია, ლოგოპედეები პრობლემას ვერ ხედავენ, ფსიქოლოგები საექვოს ვერაფერს ამჩნევენ.

კი, მაგრამ აბა რა ჯანდაბაა? სიზარმაცე? უბრალოდ სიზარმაცე?!

მას უბრალოდ შემეცნების თავისებური ტემპი აქვს, რომელიც სრულიადაც არ არის აუცილებელი, სხვის ტემპს ემთხვეოდეს. ყველა ერთნაირად როდი ცხოვრობს... ერთნაირად როდი კითხულობს! ამ პროცესს თავისი აჩქარება-შენელების ფაზები, თავისი გაუმადლობის პერიოდები ახასიათებს, რომელსაც გააზრების ხანგრძლივი პაუზები მოჰყვება ხოლმე, თავისი წინსვლის დაუოკებელი წყურვილი და იმედგაცრუების შიში.

მაგრამ ჩვენ, „პედაგოგები“, ხომ მევახშეები ვართ, რომლებმაც გადავადება არ ვიცით. ცოდნის მფლობელებმა ჩვენი ცოდნა გავასესხეთ. ვალს კი დაბრუნება უნდა, თანაც დროზე! თუ არადა ეჭვი შეგვეპარება... უკვე საკუთარ თავში.

თუ ვთვლით, რომ ჩვენს შვილებს და ზოგადად ახალგაზრდებს კითხვა არ უყვართ (სიტყვა „სიყვარული“ ამ შემთხვევაში ძალიან ზუსტადაა შერჩეული, რადგან აქ სწორედ სიყვარული მოიკოჭლებს), მაშინ ამაში ნურც ტელევიზორს დავადანაშაულებთ, ნურც თანამედროვეობას და ნურც სკოლას. ან სანამ მათკენ გავიშვებთ თითს, საკუთარ თავს ვკითხოთ: „რა დავმართეთ იმ იდეალურ მკითხველს, ჩვენი შვილი რომ იყო მაშინ, როცა მისთვის ერთდროულად მთხრობელიც ვიყავით და წიგნიც?“

ღმერთო ჩემო, ჩვენ ხომ ვუღალატეთ მას!

ჩვენ, მკითხველი, წიგნი და მსმენელი, ხომ ყოველ საღამოს ჰარმონიულ სამებად ვირწყებოდით. მერე კი!.. მერე უცბად ხელიდან გამოვეცალეთ და წიგნთან მარტოდმარტო დავტოვეთ.

ადრე ჩვენი ხმა მას ფრთებს ასხამდა, ზმანებებში იტაცებდა, ახლა კი ერთმანეთში ჩახლართული, აფუთფუთებული ასოები თავბრუს ახვევს და ოცნების მცდელობასაც კი უკლავს.

ჩვენ მას აღმაფრენას ვპირდებოდით, წარუმატებელმა მცდელობამ კი იგი ძირს დაანარცხა და გაანადგურა.

უკიდევანო მოგზაურობის შესაძლებლობით ვაიმედებდით, ის კი საკუთარ ოთახში, კლასში, წიგნში, სტრიქონში, სიტყვაში ჩაკეტილი დავტოვეთ.

გამაგებინეთ, სად დაიკარგნენ ეს ზღაპრული გმირები: დები, ძმები, მეფეები, დედოფლები და რაინდები, რომლებიც ბოროტ ძალებს ებრძოდნენ და რომლებსაც ყოველთვის შეეძლოთ (მისდა საბედნიეროდ!) მისი დასახმარებლად მოხმობა. არ მითხრათ, რომ მათ რამე საერთო აქვთ ამ ჩამწკრივებულ შავ ჭიანჭველებთან, ასოებს რომ ეძახიან! განა შესაძლებელია, რომ ეს საოცნებო გმირები ისე დალეულიყვნენ და დაქუცმაცებულიყვნენ, რომ ამ... ამ... დაბეყდილ ნიშნებად გადაქცეულიყვნენ? რა? გინდათ მითხრათ, რომ ეს ნივთი ოდესღაც წიგნი იყო? წიგნი? ასეთი გარდასახვა ხომ დაუჯერებელია! ისევ ჯადოქრობაა, ოღონდ პირიქით! მას და მის გმირებს ამ მუნჯი წიგნის სიმძიმის ქვეშ სული ეხუთებათ.

არანაკლები გარდასახვა იყო დედიკოს და მამიკოს უეცარი გააფთრება, რომ არაფერი ვთქვათ მის მასწავლებელზე, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს შელეოდა იმ ოცნებას, რომელსაც აქამდე ასე ელოლიავენოდა.

- აბა რა დაემართა უფლისწულს? მიდი, თქვი, გელოდები!

და ამას კითხულობენ მშობლები, რომლებსაც ადრე არასდროს უცდიათ გაერკვიათ, სწორად

გაიგო თუ არა მათმა შვილმა, რომ მძინარე მზეთუნახავმა თითისტარის შერჭობის გამო დაიძინა, ხოლო ფიფქიამ - იმიტომ, რომ ვაშლი ჩაკბიჩა (ისე, სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და თავიდან ვერც გაიგო, იმდენად საოცარი სიტყვებით და ემოციებით იყო გაჯერებული ეს მომწუსხველი ამბები. სულგანაბული ელოდებოდა თავის საყვარელ აბზაცს, რომელსაც სიტყვასიტყვით ზეპირად იმეორებდა. ამას სხვა, ცოტა უფრო ბუნდოვანი აბზაცები მოჰყვებოდა, სადაც იხლართებოდა ამბები, იკვრებოდა კვანძები, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი გაიგო, ყველაფერი... მათ შორის

ისიც, რომ მზეთუნახავს თითისტარის შერჭობის გამო ეძინა, ხოლო ფიფქიას - მოწამლული ვაშლის ჩაკბეჩის გამო...).

- გეკითხები, რა დაემართა უფლისწულს, როცა მამამ სასახლიდან გააგდო?

არ ვეშვებით, ჩვენი უნდა გავიტანოთ. როგორ შეიძლება, ბავშვს ამ თხუთმეტი სტრიქონიდან აზრი ვერ გამოეტანა! კაცო, მთები გადადგი-მეთქი, ხომ არ ვთხოვ! თხუთმეტი სტრიქონი რა არის, ის ვერ გაიგოს?!

მისი მთხრობელი ვიყავით და მისი ბულალტერი გავხდით.

- ასე ხომ? მაშინ გამოემშვიდობე ტელევიზორს!

კი, კი, ასე იყო...

ტელევიზორის ყურება ჯილდოს რანგში ავიყვანეთ, წიგნის კითხვას კი ხარკის გადახდის მნიშვნელობა მივანიჭეთ. ეს, სხვათა შორის, ჩვენ მოვიფიქრეთ, სხვამ კი არა...

„კითხვა ის მათრახია, რომელსაც ბავშვს ხშირად გადაუჭერენ ხოლმე. ჩვენი აზრით, მას ხომ კითხვის მეტი არაფერი ევალება. (...) გასაგებია, რომ ბავშვი ნაკლებად ფიქრობს თავისი წამების იარაღის დახვეწაზე, მაგრამ თუ შევეცდებით, კითხვა სიამოვნებად გადავუქციოთ, მაშინ ბავშვიც სიამოვნებით მიეცემა მას.“

რას არ გამოვიგონებთ ხოლმე, რომ წერა-კითხვა შევასწავლოთ: მერხებიო, ბარათებიო, ლამისაა ბავშვის ოთახი ტიპოგრაფიის სახელოსნოდ გადავაქციოთ. რა სისულელეა! მთავარი კი ყოველთვის გვავიწყდება, ის ერთადერთი, რაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ხერხზე უფრო ეფექტურია - სურვილი! სურვილი უნდა გავუღვიძოთ, შემდეგ კი... შეგვიძლია დავივიწყოთ მერხები და ბარათები. მერე უკვე ყველგან და ყოველთვის წაიკითხავს.

ინტერესი - აი მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც ნამდვილად შორს წაგვიყვანს.

(..)

კიდევ ერთ მნიშვნელოვან აქსიომას დავამატებდი: როგორც წესი, ყველაზე სწრაფად იმას ვაღწევთ, რის მიღწევასაც სრულიადაც არ ვჩქარობთ“.

კარგი, კარგი, გეთანხმებით. რუსოს ამ თავში ხმის უფლება არ უნდა ჰქონდეს. რუსოს, რომელმაც თავისი შვილები ოჯახურ აყალმაყალს გადააყოლა (ეს რამ მათქმევინა!)

ეს სიტყვები კიდევ ერთხელ შეგვახსენებს: უფროსების აჩემება „კითხვის ცოდნასთან“ დაკავშირებით არახალია ისევე, როგორც სულელური პედაგოგიური აღმოჩენები, რომლებიც მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება: ბავშვს როგორმე კითხვის სურვილი მოუკლან.

და თანაც (ნახეთ ახლა, როგორ ახითხითდება პარადოქსის ანგელოზი!) ხანდახან ხდება ხოლმე, რომ ცუდ მამას კარგი პედაგოგიური მეთოდები აქვს, ხოლო კარგ პედაგოგს - აუტანელი. რას იზამთ, ასეც ხდება ხოლმე!

და თუ რუსო თქვენთვის მიუღებელია, მაშინ ვალერის მივმართოთ (პოლს), რომელსაც არასდროს არანაირი კავშირი არ ჰქონია მზრუნველობამოკლებული ბავშვების თავშესაფართან. აი, სწორედ ვალერიმ, როცა სენ-დენის „საპატიო ლეგიონის“ სკოლის მოსწავლე გოგონებს განათლების მნიშვნელობისადმი მიძღვნილ ლექციას უკითხავდა, თავისი სიტყვა სიყვარულით, წიგნის სიყვარულით დაიწყო:

„ქალიშვილებო, ლიტერატურა ლექსიკითა და სინტაქსით როდი გვხიბლავს. მოდით, გავიხსენეთ, როგორ ვიწყებდით კითხვას. ეს მოხდა ყველაზე სათუთ ასაკში, როცა ძილის წინ იავნანის ნაცვლად უკვე ზღაპრები გვესმოდა, სახეზე ღიმილი გვეფინებოდა და ტკბილად

ვიძინებდით. ბავშვი ხომ ზღაპრებს დედის რძესავით ეწაფება, სულ უფრო და უფრო მეტი უნდა, მუდამ სასწაულის გამეორებას ითხოვს. ის ყველაზე მომთხროვნი და საუკეთესო მსმენელია. ღმერთმა იცის, რამდენი დრო მაქვს დახარჯული შვილების

ჯადოქრებით, ურჩხულებით, მეკობრეებითა და ფერიებით მომარაგებაში, ისინი კი სიქაგამძვრალ მამას დაულაღავად მიმეორებდნენ: „კიდევ მინდა! კიდევ!“

„ის ყველაზე მომთხოვნი და საუკეთესო მსმენელია“.

ასეთად დარჩებოდა, უფროსებს საკუთარი კომპეტენტურობის მტკიცებაში მისი ენთუზიაზმი რომ არ ჩაეკლათ, ტექსტების უაზრო გაზუთხვის ნაცვლად მისი შემეცნების სურვილი რომ წახეხალისებინათ, გვერდში რომ დასდგომოდნენ. კი არ უნდა დაესაჯათ, მისთვის დრო უნდა დაეთმოთ (ჩვენ კი თვალი სულ გამპრომაზე გვეჭირა), აწმყო გაენათებინათ და ბნელი მომავლით დამუქრებას შეშვებოდნენ. ყველაფერი ძველებურად დარჩებოდა, სიამოვნება ტანჯვად რომ არ გადაექციათ, კითხვის ბედნიერება იქამდე რომ შეენარჩუნებინათ, სანამ ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ჩვევად და აუცილებლობად არ გადაიქცეოდა. ჩვენ შეგვეძლო, ისინი კულტურასა და განათლებასთან უანგაროდ გვეზიარებინა და მერე თავადაც მიგველო სიამოვნება ამ უანგარო, კეთილშობილური საქციელისაგან.

23

თუმცა ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია, სიამოვნება არ გამქრალა, ის აქვია. ნუ დაკარგავთ დროს. დაღამდება თუ არა, შეაღეთ მისი საძინებლის კარი, ჩამოჯექით მის სასთუმალთან და დაიწყეთ კითხვა...

მისი საყვარელი წიგნების ხმამაღლა,

უანგაროდ

კითხვა.

რაც ამას მოჰყვება, ნამდვილად აღწერის ღირსია! გისმენთ და საკუთარ ყურებს არ უჯერებს! ნათქვამია, შიშს დიდი თვალები აქვსო და ისიც ფართოდ გახელილი თვალებით, ნიკაპამდე საბანაწეული დაძაბული ელოდება საბედისწერო კითხვას:

– აბა რა გაიგე წაკითხულიდან?

მაგრამ არ ვეკითხებით. არაფერს არ ვეკითხებით. უბრალოდ ვკითხულობთ, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. ნელ-ნელა ეშვება, დუნდება. ისიც და ჩვენც. სახეზე ჩვეულებრივი მეოცნებე გამომეტყველება უბრუნდება, ისეთი, როგორც ადრე ჰქონდა ხოლმე. ჩვენ კი, როგორც იქნა, ჩვეული ხმა გვიბრუნდება. მადლობა ღმერთს!

მან ამ საღამოს ისე ინერვიულა, რომ გამორიცხული არ არის, მალევე დაეძინოს. საყვარელი! შვებით ამოისუნთქა და დაეძინა!

მომდევნო საღამოს ისევ ერთად ვართ და ალბათ, იმავე ზღაპარს ვუკითხავთ. ვფიქრობ, იმავეს მოგთხოვთ, რათა დარწმუნდეს, რომ გუშინდელი საღამო არ დასიზმრებია. იმავე კითხვებს დაგისვამთ, რათა კიდევ ერთხელ განიცადოს იმავე პასუხების მოსმენის ბედნიერება. ყველაფერი ძველებურადაა. ესე იგი ისევ ერთად ვართ. მშვიდდება. ძველებურად სუნთქავს და ძველებურად ამბობს:

- კიდევ მინდა!

ეს „კიდევ, კიდევ“ სხვა არაფერია, თუ არა ურთიერთსიყვარულის ხელახლა დამტკიცება, ეს ნიშნავს, რომ მე და შენ ისე ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, რომ ერთი და იმავე ზღაპრის კითხვაც კი არ გვბეზრდება. თავიდან წაკითხვა გამეორებას კი არ ნიშნავს... ეს უსასრულო სიყვარულის კიდევ ერთი დადასტურებაა.

მაშ ასე, ვკითხულობთ და ვკითხულობთ.

დღე დასასრულს უახლოვდება. ჩვენ ერთად ვართ აქ, ამ ოთახში, ფიქრებმა და წარმოსახვამ კი უკვე სხვაგან გაგვიტაცა. კვლავ ვეზიარეთ სამების წმინდა საიდუმლოებას: იგი, წიგნი და ჩვენ (როგორი თანამიმდევრობითაც გინდათ, ისე ჩამოთვალეთ, ბედნიერება ხომ სწორედ ის არის, რომ თანამიმდევრობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს!).

და ასე გრძელდება იქამდე, სანამ იგი მკითხველის უდიდეს სიამოვნებას არ განიცდის: ამ წიგნს მოეშვება და ახალს მოითხოვს.

განა რამდენი საღამო დავხარჯეთ ამ საოცნებო სამყაროს კარის ხელახლა შეღებაში? ერთი-ორი? კარგი, ცოტა მეტი! სამაგიეროდ, მისი გულის კარი კვლავ გაიღო წიგნისთვის.

ამასობაში სკოლაში სასწავლო პროცესი გრძელდება. კითხვის დროს ძველებურად ლულლულებს, მაგრამ აღარ ვფეთდებით. როგორც კი დროის მოგებაზე ფიქრს შევეშვით, დრომ ჩვენს სასარგებლოდ დაიწყო მუშაობა.

წინსვლა, ეს ნანატრი წინსვლა თავს მოულოდნელ ადგილას და მოულოდნელ დროს იჩენს.

ერთ მშვენიერ საღამოს კითხვის დროს სტრიქონი გამოგვჩეხა და ისიც არ დააყოვნებს:

- გამოგრჩა, დე!
- რა?
- გასცდი. სტრიქონი გამოგრჩა!
- არა, არაფერი არ...
- მომეცი!

ის წიგნს ხელიდან გამოგვტაცებს და გამარჯვებული იერით თითს პირდაპირ გამოტოვებულ ადგილას ადებს. მერე არც აცხელებს, არც აცივებს და ხმამაღლა წაიკითხავს.

ეს პირველი სასიკეთო ნიშანია, რომელსაც სხვებიც მოჰყვება. მაგალითად, კითხვის დროს ხშირად გაგვაჩერებს და გვკითხავს: – როგორ იწერება?

- რა?
- პრეისტორიული.
- პ-რ-ე-ი-ს-ტ...
- მანახე რა?

მაგრამ თავი არ მოვიტყუოთ, ეს მოულოდნელი ცნობისმოყვარეობა მხოლოდ მასში ახლად გაღვიძებული ალქიმიკოსის გატაცებით აიხსნება. ნურც ის დაგვაფიქვდება, რომ ძილის წინ კითხვის სიამოვნების გახანგრძლივება უნდა.

(ჩვენც გავუხანგრძლივებთ, აბა რას ვიზამთ!..)

მერე ერთ დღესაც გამოაცხადებს:

- მოდი ერთად წავიკითხოთ!

ნიკაპს მხარზე ჩამოგვადებს და სტრიქონებს თვალს მიადევნებს.

ან იტყვის:

- მე დავიწყებ!

და იწყება იერიში პირველ აბზაცზე!..

დაიღალა, ძლივს სუნთქავს, პატარა საქმე ხომ არ არის ხმამაღლა კითხვა! მაგრამ არ ნერვიულობს, უკვე სიმშვიდე და თავდაჯერება მოიპოვა და უკვე შიშის გარეშე კითხულობს. ცოტა ხანში უკეთესად გამოუვა.

- დღეს მე წავიკითხავ!

რა თქმა უნდა, იმავე აბზაცს კითხულობს. გამეორება ცოდნის დედააო, ხომ გაგიგიათ. მერე თავის „საყვარელ ადგილს“ წაიკითხავს და ცოტა ხანში - მთელ

ზღაპარს. ეს ზღაპარი მან თითქმის ზეპირად იცის, უფრო ცნობს ტექსტს, ვიდრე კითხულობს, მაგრამ ეს ისე უხარია, რომ წიგნს ვერ წყდება. შორს აღარ არის ის დღე, როცა მის ხელში „ფისუნია-კატას“ ვიხილავთ, ან ვნახავთ, დელფინსა და მარინეტთან ერთად როგორ ეცნობა ფერმის მცხოვრებლებს.

აგერ ახლა არ იყო, სიტყვა „დედა“ რომ წაიკითხა და სიხარულისგან კინალამ რომ გაგიჟდა?! დღეს კი უკვე სიტყვების ნიაღვრისგან ტექსტის მოზრდილ მონაკვეთებს აწყობს. ის გმირი გახდა, რომელსაც მწერალმა თავისი ზღაპრების პერსონაჟების გათავისუფლება დაავალა ასოებისგან დაბანდული ქსელისგან, რათა მათ, თავის მხრივ, ყოვლისშემძლე გმირი ცხოვრების ჭირ-ვარამისგან ეხსნათ.

ესეც ასე! ეს საქმეც მოვაგვარეთ!

თუ გინდათ, რომ სრულად ასიამოვნოთ, ჩათვლიმეთ, ვითომ ჩაგეძინათ, სანამ ის გიკითხავდათ.

24

„ვერასდროს აუხსნით ბიჭუნას, რატომ უნდა შეწყვიტოს კითხვა ყველაზე საინტერესო ადგილას და დაიძინოს!“

ეს კაფკამ თქვა, პატარა ფრანცმა, რომლის მამასაც ნამდვილად ერჩივნა, რომ მის შვილს ღამეები კითხვის ნაცვლად ანგარიშში გაეტარებინა.

II - უნდა ვიკითხოთ(დოგმა) - 25

იმ მოზარდის პრობლემა კი, ზემოთ თავის ოთახში რომ გამოკეტილა, პრობლემად რჩება. ისე მასაც არ აწყენდა წიგნებთან შერიგება!

მამ ასე, სახლში ჩამიჩუმი არ ისმის, მშობლებს სძინავთ, ტელევიზორი გამორთულია, ის კი ზის თავის ოთახში 48-ე გვერდის პირისპირ.

ეს წიგნი ხვალისთვის აქვს დასამთავრებელი და დასაბრუნებელი. ხვალისთვის...

გონებაში ითვლის:

446-48=398

სამას ოთხმოცდათვრამეტი გვერდი - ერთ ღამეში!

რა ქნას! საქმეს შეუდგა. ძალს ის არის და ძალს წიგნი. გვერდს გვერდი მიჰყვება. წიგნის სიტყვები უოქმენის ყურსაცვამებს შორის დახტიან. ვერაფერი სიამოვნებაა! სიტყვებს თითქოს ტყვიის ფეხები გამოუბამთ და ქანცგაწყვეტილი ცხენებივით ერთიმეორის მიყოლებით მძიმედ და მდუმარედ ეცემიან. დასარტყამი ინსტრუმენტის სოლომაც კი ვერ შესძინა მათ აზრი (ისეთმა ცნობილმა შემსრულებელმაც კი, როგორც კენდალია!. ის კი არ ნებდება. გარდაცვლილი სიტყვების გორებს უკანმოუხედავად აბიჯებს და მიზნისკენ მიიწევს. სიტყვებმა აზრი განუტევეს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი ასოები. მაგრამ ეს სასაკლავო არ აშინებს. ისე კითხულობს, გეგონება, გაგანია ომში ხმაღს იქნევსო. რა ქნას, უნდა წაიკითხოს! 62-ე გვერდი, მალე 63-ზე გადავა.

კითხულობს, მაგრამ რას?

ემა ბოვარის ამბავს.

იმ ქალის ამბავს, რომელიც ბევრს კითხულობდა.

„პოლი და ვირჟინის“ წაკითხვის დღიდან ბამბუკის ქოხზე ოცნებობდა, ზანგის ბიჭ დომინგოზე და ძაღლზე, რომელსაც ფიდელი ერქმეოდა. ყველაზე მეტად კი ძვირფას მმასთან გულისამაჩუყებელ მეგობრობაზე ოცნებობდა, რომელიც მისთვის ლალივით წითელი ხილის

მოსაწყვეტად სამრეკლოსავით მაღალი ხის კენწეროზე აძვრებოდა ან ჩიტის ბუდის საჩვენებლად ფეხშიშველი მოირბენდა მასთან“.

ყველაფერს ჯობია, ტიერის ან სტეფანის დაურეკოს, რომ ხვალ დილით გაკვეთილზე შესვლის წინ თავიანთი კონსპექტები მისცენ. უცებ გადაიწერს, ისე, რომ კაციშვილი ვერაფერს გაიგებს და... საქმეც გაკეთდება! არაფერი უჭირთ, რომ დაეხმარონ!

„ცამეტი წლის რომ გახდა, მამამ ქალაქში, დედათა მონასტერში, სასწავლებლად წაიყვანა. გზად სენ-ჟერვეს ქუჩაზე ერთ-ერთ ფუნდუკში გაჩერდნენ. სადილად წვნიანის თევშები მოუტანეს, რომელზეც მადმუაზელ ლავალიერის ცხოვრების ამსახველი სცენები იყო გამოსახული. დანა-ჩანგლით დაკაწრულ თევშებზე სარწმუნოების ქება-დიდების, გრძნობათა სინატიფისა და სამეფო კარის პომპეზურობის გამომხატველი ნაწერები იკითხებოდა“.

„სადილად წვნიანის თევშები მოუტანეს“. ამ წინადადების წაკითხვისას სახეზე დაღლილი ღიმილი დამოეხატა: „მაგარია არა ცარიელი თევშების მიტანა სადილად? ლავალიერის ამბავი მიირთვით, გეთაყვა!“ მეტიჩრობს. აქაოდა ძალიან ენამახვილი ვარო! ასე ჰგონია, რომ ეს მას არ ეხება. ცდები, გენაცვალე. შენი ცინიკური რეპლიკა ბუმერანგით მოგიბრუნდა, რადგან ემასთვის თევშიც კი წიგნი იყო, შენთვის კი წიგნი მხოლოდ ცარიელი თევშია.

ამასობაში ლიცეუმში მშობლები (ასე, კურსივით გამოვყოთ, როგორც მათი ახალგაზრდობის დროინდელ ბელგიურ კომიქსებში იყო ხოლმე):

- იცით, ჩემს ბიჭს... ჩემს გოგოს... წიგნები... ფრანგულის მასწავლებელი: აღნიშნულ მოსწავლეს „კითხვა არ უყვარს“.

- ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ ადრე კითხულობდა, პირდაპირ ყლაპავდა წიგნებს, არა, ძვირფასო? ხომ ყლაპავდა?

ძვირფასი ეთანხმება: ყლაპავდა. - ტელევიზორის ყურება სასტიკად ავუკრძალეთ!

(ეს მაგრად იციან: ტელევიზორის აკრძალვა. გეგონება, რამის აკრძალვით საქმე კეთდებოდა. კიდევ ერთი „გამჭრიახი“ პედაგოგიური ხერხია!).

- გადაწყვეტილია! არავითარი ტელევიზორი სასწავლო წლის განმავლობაში. ეს არის ჩვენი პრინციპი, რომელსაც არაფრით გადავუხვევთ!

არავითარი ტელევიზორი! სამაგიეროდ, ფორტეპიანო ხუთიდან ექვსამდე, გიტარა ექვსიდან შვიდამდე, ცეკვა ოთხშაბათობით, ძიუდო, ჩოგბურთი და ფარიკაობა შაბათობით, თხილამურები პირველი ფიფქისთანავე, იალქანსპორტი ზაფხულის დადგომისთანავე, სამეთუნეო საქმიანობა წვიმიან ამინდში, მოგზაურობა ინგლისში, ტანვარჯიში, რიტმიკა...

თხუთმეტი წუთიც კი არ აქვს, რომ ამოისუნთქოს, დაისვენოს, საკუთარ თავთან მარტო დარჩეს, იოცნებოს.

ძირს ოცნება!

ძირს თავისუფალი დრო! მშვენიერი თავისუფალი დრო... ბევრი თავისუფალი დრო...

შემოქმედებითი აზროვნების თავი და თავი.

- ისე ვიზამთ, რომ ერთი წუთი თავისუფალი დრო არ ექნება. (საწყალი...)

- თავს არ ვზოგავთ, რომ მას... როგორ ვთქვა? რომ მას სრულყოფილი განვითარების საშუალება მივცეთ.

- შედეგიანი, ძვირფასო, მე ვიტყვოდი, შედეგიანი.

- ასე რომ არ იყოს, ახლა აქ არ ვიქნებოდით.

- საბედნიეროდ, მათემატიკაში ცუდი ნიშნები არ აქვს.

- მაგრამ ფრანგულში...

რა უბადრუკი, საცოდავი, პათეტიკური მცდელობაა, საკუთარ სიამაყეს გადავაბიჯოთ, ქალაქ კალეს მცხოვრებნი გავხდეთ და გამარჯვებულს მივართვათ ქალაქის გასაღები - სათხოვნელად ვეახლოთ ფრანგულის მასწავლებელს. ის კი, ფრანგულის მასწავლებელი, გვისმენდა, „რა თქმა უნდა-რა თქმა უნდას“ გაიძახოდა და თან ნელ-ნელა გულში ილუზიის პაწაწკინტელა ნაპერწკალი უჩნდებოდა, პირველად მთელი თავისი პედაგოგიური ცხოვრების განმავლობაში... მაგრამ არა:

- ვშიშობთ, ფრანგულში დაბალი მოსწრების გამო კლასში არ ჩარჩეს.

აი ასეთ ყოფაში ვართ: ის წიგნის კონსპექტებზე ჩალიჩობს, ჩვენ მისი კლასში ჩარჩენა გველანდება, ფრანგულის მასწავლებელი კი თავის შებღალულ და პატივყრილ საგანს დასტირის.

წიგნს გაუმარჯოს! წიგნს!

ნებისმიერი მასწავლებელი ძალიან მალე ხდება მოხუცი მასწავლებელი. იმიტომ კი არა, რომ ეს პროფესია სხვაზე უფრო დამღლეელია, არა... იმიტომ, რომ ამდენ მშობელს უსმენს, რომელიც ამდენი შვილის (სინამდვილეში კი საკუთარი თავის) ცხოვრების ისტორიას უყვება: გაყრის, ოჯახური პრობლემების, ბავშვების ავადმყოფობის, ხელიდან წასული ახალგაზრდების, ერთადერთ ქალიშვილთან დამაბული ურთიერთობის, განცდილი მარცხის და გაზვიადებული წარმატების. ისმენს უამრავ საკითხზე გამოთქმულ უამრავ მოსაზრებას და მათ შორის, რა თქმა უნდა, კითხვის აუცილებლობაზე. ყველა ხომ ამით ამთავრებს!

დოგმაა!

არიან ისეთები, რომლებიც არასდროს კითხულობდნენ და ძალიან რცხვენიათ ამის, ისეთები, რომლებსაც კითხვის დრო აღარ აქვთ და ამის გამო საჯაროდ და დაუღალავად სინანულს გამოთქვამენ, ისეთები, რომლებიც მხატვრულ ლიტერატურას არ კითხულობენ, სამაგიეროდ სასარგებლო წიგნებს ეტანებიან, ესეებს ეცნობიან, ტექნიკურ შრომებს ან, მაგალითად, ისტორიულ რომანებს; არიან ისეთები, რომლებიც ყველაფერს განურჩევლად კითხულობენ, ისეთები, რომლებიც წიგნებით სულდგმულობენ და მათზე ლაპარაკისას თვალები უბრწყინავთ, ისეთები, რომლებიც კლასიკის გარდა არაფერს იკარებენ, „დრო ხომ საუკეთესო მსაჯულია“, გეთაყვა! ისეთები, რომლებიც წიგნების „გადაკითხვის“ მეტს არაფერს აკეთებენ, ისეთები, რომლებმაც წაიკითხეს ამის და ამის ბოლო ეს და ეს, იმიტომ, რომ დამეთანხმებით, ახალ დროს ფეხი უნდა ავუწყოთ, გეთაყვა!..

ყველა, ყველა კითხვის აუცილებლობის სახელით ქადაგებს.

ისიც კი, რომელიც დღეს აღარ კითხულობს, იმიტომ რომ თავისი უკვე წაიკითხა, ცხოვრება „საათივით ააწყო“, ყველაფერს თავისით მიაღწია სმე არავის წინაშე ვალში არ ვარ!“, ისიც კი აღიარებს, რომ კითხვა, რომელიც დღეს აღარ სჭირდება, ცხოვრებაში ძალიან გამოადგა. „მაგრა! ლაპარაკი არ უნდა, მაგრა!“

– ოღონდ ამ ბიჭს ეს ვერ შევაგნებინე!..

დოგმაა!

ბიჭმა კი, მგონი, შეიგნო. ერთი წამითაც კი არ ეპარება ეჭვი ამ დოგმატურ ჭეშმარიტებაში. რაც უნდა იყოს, ასეთი შთაბეჭდილება რჩება მისი საშინაო დავალების წაკითხვის შემდეგ:

ნაშრომის თემა: რას ფიქრობთ იმ რჩევაზე, რომელიც გუსტავ ფლობერმა თავის მეგობარს, ლუიზა კოლეს მისცა: „იკითხეთ, რათა იცხოვროთ!“

ბიჭი ეთანხმება. ბიჭიც და ყველა მისი მეგობარიც... „ფლობერი მართალი იყო!“

ოცდათხუთმეტი ნაშრომი ერთხმად მოგვიწოდებს: უნდა ვიკითხოთ, ვიკითხოთ, რათა ვიცხოვროთ, სწორედ ამით განვსხვავდებით ცხოველებისგან, ბარბაროსებისგან, უმეცარი

ხეპრეებისგან, ბნელი ფანატიკოსებისგან, გამოყეყეხებული დიქტატორებისგან, დაუოკებელი მატერიალისტებისგან. აუცილებლად უნდა ვიკითხოთ!

- რათა გავთვითცნობიერდეთ.
- რათა სწავლაში წარმატებებს მივაღწიოთ.
- რათა ინფორმირებული ვიყოთ.
- რათა ვიცოდეთ, საიდან მოვდივართ.
- რათა ვიცოდეთ, ვინ ვართ.
- რათა ვიცოდეთ, საით მივდივართ.
- რათა უკეთ გავუგოთ სხვებს.
- რათა წარსული არ დავივიწყოთ.
- რათა აწმყოს ალლო ავულოთ.
- რათა წინამორბედთა გამოცდილება გავიზიაროთ.
- რათა წინაპართა შეცდომებზე ვისწავლოთ.
- რათა დრო მოვიგოთ.
- რათა თავი დავიცვათ.
- რათა ცხოვრების აზრს ჩავწვდეთ.
- რათა თანამედროვე ფასეულობები შევიცნოთ.
- რათა ჩვენი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილოთ. – რათა გავერთოთ.
- რათა გავნათლდეთ.
- რათა ურთიერთობების დამყარება შევძლოთ.
- რათა კრიტიკული აზროვნება გავივარჯიშოთ.

მასწავლებელიც, რა თქმა უნდა, ეთანხმება და რვეულის კიდებზე წერს: „დიახ, დიახ, კარგი, ფრიადი, ყოჩაღ! ზუსტად! საინტერესოა! ნამდვილად!“ და ძლივს იკავებს თავს, რომ არ დაიყვიროს: „კიდევ! კიდევ!“ თუმცა მშვენივრად ახსოვს, როგორ

გამალებით იწერდა დღეს დილით „ბიჭი“ სტეფანის კონსპექტებს, ისიც კარგად იცის, რომ ამ ნაწერებში გამოყენებული ციტატების უმრავლესობა პირდაპირ ლიტერატურული ლექსიკონებიდანაა გადმოხატული, თვალის ერთი შევლებით მიხვდა იმასაც, რომ შერჩეული მაგალითები (მაგალითებში თქვენს ცხოვრებისეულ გამოცდილებას დაეყრდენით) სხვისი პრაქტიკიდანაა მოყვანილი და ისიც არ დავიწყებია, როგორ უკმაყოფილოდ აგუგუნდა კლასი, როცა ეს წიგნი მისცა წასაკითხად:

- რააა? ოთხასი გვერდი თხუთმეტ დღეში? არ არსებობს, მასწ! - საკონტროლო გვაქვს მათემატიკაში! - მომავალ კვირას საკლასო წერა გვაქვს ეკოლოგიაში!

და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად იცის, რა როლს თამაშობს ტელევიზია მათიუს, ლეილას, ბრიჟიტის, ქამელის, სედრიკისა და მისი თანატოლების ცხოვრებაში, მაინც იწონებს, წითელ მელანს არ ინანებს, როცა მათიუ, ლეილა, ბრიჟიტი, ქამელი და სედრიკი ამტკიცებენ, რომ ტვ (არავითარი შემოკლებები ნაშრომებში!) წიგნის უპირველესი მტერია - და შეიძლება კინოც, თუ კარგად დავფიქრდებით - რადგან ორივე პასიურ აღქმას გულისხმობს, მაშინ, როცა კითხვა გაცნობიერებული ქმედებაა! (ყოჩაღ!)

ამ დროს მასწავლებელი კალამს გვერდზე დებს, თვალებს ჭერს აბჯენს - აი, ისე, გაკვეთილზე ოცნებებში წასულმა ბავშვებმა რომ იციან ხოლმე - და საკუთარ თავს ეკითხება (გასაგებია, რომ მხოლოდ საკუთარ თავს!): განა ზოგი ფილმი წიგნივით შთაბეჭდავი არ არის? რამდენჯერ „გადაუკითხავს“ „მონადირის ღამე“, „ამარკორდი“, „მანჰეტენი“, „ითახი ხედით“, „ბაბეტას ზეიმი“, „ფანი და ალექსანდრე“! ეს ვიზუალური გამოსახულებები თითქოს რაღაც იდუმალ ნიშნებს შეიცავდა. რა თქმა უნდა, ის ამ დარგის სპეციალისტი არ იყო, არ იცოდა კინემატოგრაფიის სინტაქსი და ვერ ერკვეოდა კინომცოდნეთა პროფესიულ ტერმინოლოგიაში, მაგრამ თვალები ეუბნებოდნენ, რომ არსებობდა სხვა სამყარო, ვიზუალური გამოსახულებების უკიდევანო სამყარო, რომელიც ყოველჯერზე ახალ-ახალ შთაბეჭდილებას ბადებდა. უფრო

მეტიც, თვალები ეუბნებოდნენ, რომ არსებობდა ტელევიზიის სამყაროც. დიახ, დიახ, ტელევიზიის. მაგალითად, მოხუცი ბაშლარის სახე გადაცემაში „კითხვა ყველასთვის“ ან იანკელევიჩი „აპოსტროფში“, ან თუნდაც გოლი, რომელიც პაპენმა გაუტანა მილანელ ბერლუსკონის...

თუმცა დროს კარგავს, ისევ ნაწერების გასწორებას უნდა მიუბრუნდეს (ეჰ, ვინ იცის, რა მარტოსულია მასწავლებელი გასასწორებელი ნაშრომების პირისპირ!. რამდენიმე ნაშრომის მერე თვალები უჭრელდება. თან ყველას ერთი და იგივე რომ უწერია! გაღიზიანებულია. რა „მამაო ჩვენოსავით“ იმეორებენ, უნდა ვიკითხოთ, უნდა ვიკითხოთო! აღარ უნდა მორჩნენ ამ დიდაქტიკურ ლიტანიობას?! აიჩემეს, რომ უნდა იკითხონ, თუმცა ყოველ წინადადებაში ეტყობათ, რომ არაფერს არ კითხულობენ.

- რატომ ბრაზდები ასე, საყვარელო? შენი მოსწავლეები იმას წერენ, რასაც მისგან ელი! - მაგალითად?

- ის, რომ უნდა იკითხოთ! ეს ხომ დოგმაა! აბა ელოდი, რომ კოცონზე წიგნების დაწვის მოწოდებებით აგივსებდნენ ნაშრომებს?

- იცი, რას ველი? რომ მოიშორებენ ამ უოქმენებს და წიგნის კითხვას დაიწყებენ. ისევ მაგათ გამოადგებათ!

- არა! ელი, რომ ჩაგაბარებენ კარგად დაწერილ ნაშრომებს იმ რომანებზე, რომელთა წაკითხვასაც ავალე, რომ ისინი ზუსტად გაიგებენ იმ ლექსებს, რომლებიც შენ შეურჩიე და რომ გამოცდაზე ჩაგიბუღებულენ იმ დილით შერჩეული ტექსტების შინაარსს, თავისი „გონივრული კომენტარითა“ და „გააზრებული დასკვნით“. არც გამომცდელის, არც შენი და არც მშობლების მიზანი არ არის, რომ ბავშვმა იკითხოს (არ ვამბობ, რომ კითხვის წინააღმდეგი ხართ). თქვენი მიზანია, ბავშვმა კარგად ისწავლოს. ეს არის და ეს! ამის იქით აღარ იყურებით, იმიტომ რომ უამრავი სხვა საფიქრალი გაქვთ. სხვათა შორის, ფლობერიც სულ სხვა რამეზე ფიქრობდა, როცა თავის ლუიზას წიგნებს უგზავნიდა. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ ლუიზას მისთვის ცოტა ხნით მაინც დაენებებინა თავი, რათა თავის ბოვარიზე მშვიდად ემუშავა. მოგეხსენება, ეშინოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ლუიზას მისგან შვილი არ გაეჩინა და ბავშვით ხელში არ მისდგომოდა. აი, რა იყო სინამდვილეში! და შენ ეს მშვენივრად იცი. ფლობერის ხელით დაწერილი სიტყვები: „იკითხეთ, რათა იცხოვროთ“ სინამდვილეში ნიშნავდა: „იკითხეთ, რათა მე მაცადოთ ცხოვრება“. აუხსენი ეს შენს მოსწავლეებს? არა? რატომ?

ის იღიმება. ხელს ხელზე ადებს და ეუბნება:

- დაიხსომე, საყვარელო, წიგნის კულტი ზეპირმეტყველებიდან მოდის. შენ კი საუკეთესო ორატორი ხარ.

„სავალდებულო დისციპლინებში სწავლის ვერანაირ სტიმულს ვერ ვპოულობდი. რაც უნდა მრავალფეროვანი და შესაქცევი ყოფილიყო სასაწავლო მასალა, ბავარიელი მასწავლებლები მაინც ახერხებდნენ, რომ თავისი აბეზარი პედანტურობით ყველაზე საინტერესო საგანიც კი შეეძულებინათ“ ...

„ის, რაც ლიტერატურაში გამეგება, სკოლის გარეთ შეძენილი ცოდნაა“ ...

„პოეტების ხმა ჩემს გონებაში იმ ადამიანების ხმებს ერწყმის, რომლებმაც მათ შემოქმედებას მაზიარეს: გერმანელი რომანტიკოსების გადაკითხვისას დღემდე მესმის მილენის წკრიალა, გრძნობამორეული ხმა. სწორედ ის გვიკითხავდა მათ ლექსებს, როცა

პატარები ვიყავით და დამოუკიდებლად კითხვა გვიჭირდა“ ...

(...)

„დიდი გულისყურით ვუსმენდით „ჯადოქრის“ მშვიდ ხმას. მას ყველაზე მეტად რუსი მწერლები უყვარდა. გვიკითხავდა ტოლსტოის „კაზაკებს“ და მისი ბოლო პერიოდის ბავშვური, პრიმიტიული დიდაქტიზმით აღსავსე იგავებს, ვუსმენდით გოგოლს და დოსტოევსკისაც კი, სახელდობრ, მის შემადრწუნებელ ფარსს, „სასაცილო ისტორიას“.

(..)

„უდავო იყო, მამის კაბინეტში გატარებულმა საღამოებმა არა მარტო ჩვენი წარმოსახვა განავითარა, არამედ ჩვენი ცნობისმოყვარეობაც. საკმარისი იყო, ერთხელ გვეგრძნო ჭეშმარიტი ლიტერატურის მომნუსხველი ძალა, რომ მუდამ მის ძიებაში ვყოფილიყავით - მეტი „სასაცილო ისტორია“ გვინდოდა, მეტი ჭკუისსასწავლებელი იგავ-არაკი, მეტი საოცარი თავგადასავალი. აი ასე დავიწყეთ ჩვენით კითხვა...“

ეს სიტყვები კლაუს მანს ეკუთვნის, თომას მანის, „ჯადოქრისა“ და მილენის, წკრიალა და გრძნობამორეული ხმის მქონე ქალბატონის, შვილს.

რა დამთრგუნველი ყოფილა ეს ერთხმად ძახილი: „უნდა ვიკითხოთ!“ რუსოს წერა-კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით გამოთქმული დაკვირვებების, კლაუს მანის ბავარიელი პედაგოგების შესახებ მოგონებების, სკოლის მასწავლებლის ახალგაზრდა ცოლის ირონიული რეპლიკებისა და მოსწავლეების მუდმივი გოდების შემხედვარეს ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს სკოლის ფუნქცია მხოლოდ კითხვის ტექნიკის შესწავლაა, მხოლოდ ტექსტის გარჩევაში დახელოვნებაა და რაც მთავარია, კითხვისგან მინიჭებული სიამოვნების აკრძალვით წიგნისკენ მიმავალი ყველა გზის ერთხელ და სამუდამოდ ჩაკეტვაა. როგორც ჩანს, ყველგან და ყოველთვის სკოლები ერთი და იმავე პრინციპით ხელმძღვანელობდნენ: სასკოლო პროგრამას არაფერი ესაქმება სიამოვნებასთან. ცოდნა მხოლოდ გაცნობიერებული და მიზანმიმართული ტანჯვა-წამებით მიიღწევა.

ამ ლოგიკის დამცველებსაც აქვთ, რა თქმა უნდა, თავიანთი არგუმენტები.

მაგალითად: სკოლა ვერ იქნება მოსწავლის დაუსაბუთებელ ნება-სურვილებსა და ახირებულ გუნება-განწყობილებებზე აწყობილი; ეს ცოდნის ტაძარია, რომელიც დიდ ძალისხმევას მოითხოვს; იქ ნასწავლი საგნები ადამიანს შეგნებას უყალიბებს და სწორედ მასწავლებლები არიან ამის სულისჩამდგმელები; პედაგოგებს ინტელექტუალური სიამოვნების გაყიდვას ვერ მოვთხოვთ, რადგან მთელი სასკოლო სისტემა - პროგრამები, ნიშნები, გამოცდები, ატესტატები - მისგან სულ სხვა რამეს ითხოვს, სახელდობრ, შრომის ბაზრის მიერ ნაკარნახევ კონკურენტუნარიანობას.

და თუ მოსწავლე შემთხვევით შეხვდება მასწავლებელს, რომელსაც თავისი უკიდეგანო ენთუზიაზმის წყალობით მათემატიკის სწავლება ხელოვნების რანგში აქვს აყვანილი და რომელსაც ისე თავდავიწყებით უყვარს თავისი საგანი, რომ სხვასაც უზომოდ აყვარებს მას, ეს უფრო შემთხვევითობას უნდა მივაწეროთ და არა კანონზომიერებას.

ეს ცოცხალი არსებების თვისებაა: შეაყვარონ ადამიანებს სიცოცხლე, თუნდაც კვადრატული განტოლების სახით, თუმცა ცოცხალი არსებები სკოლის პროგრამებში არასოდეს შეუყვანიათ.

აქ ვალდებულებებია. ცხოვრება - სადღაც სხვაგან. აქ კითხვას ასწავლიან!

კითხვის სიყვარულს...

უნდა ვიკითხოთ... უნდა ვიკითხოთ...

საინტერესოა, რა მოხდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს მასწავლებელი გადაწყვეტს, რომ კითხვის დაძალების ნაცვლად კითხვისგან მიღებული სიამოვნება გაუზიაროს მოსწავლეებს?

კითხვისგან მიღებული სიამოვნება? ეს რაღაა?

ეს შეკითხვა უდავოდ საკუთარ თავში ჩაღრმავებას მოითხოვს! და, პირველ რიგში, იმ ჭეშმარიტების აღიარებას, რომელიც ჩვენს დოგმას რადიკალურად ეწინააღმდეგება. საქმე ის არის, რომ იმ წიგნების უმრავლესობა, რომლებმაც ჩვენს პიროვნებად ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, არა რაღაცის გულისთვის წავიკითხეთ, არამედ რაღაცის ჯინაზე. ისე წავიკითხეთ (და, სხვათა შორის, ახლაც ვკითხულობთ ხოლმე), თითქოს თავს ვიცავდეთ, პროტესტს ვაცხადებდეთ, არ ვეპუებოდეთ. და თუ გაქცეულებს დავემსგავსეთ, რეალობიდან გაქცეულებს, კითხვის ფარს ამოფარებულებს, დეზერტირებს, მაშინ ისეთი დეზერტირები გვიწოდეთ, რომლებიც მხოლოდ საკუთარი თავის შექმნისთვის, ხელახლა დაბადებისთვის ირჯებიან.

ზოგჯერ კითხვა დაუმორჩილებლობის აქტია. რის მიმართ? ყოველგვარი პირობითობის მიმართ:

- სოციალური.
- პროფესიონალური. – ფსიქოლოგიური.
- ემოციური.
- კლიმატური.
- ოჯახური.
- ყოფითი.
- კოლექტიური.
- პათოლოგიური.
- ” ფულადი.
- იდეოლოგიური.
- კულტურული.
- თუნდაც ეგოისტური.

სწორად წარმართული კითხვა ყველაფრისგან დაგვიცავს, საკუთარი თავისგანაც კი.

ამ ყველაფერს კიდევ ერთი რამ ემატება: ჩვენ იმიტომ ვკითხულობთ, რომ სიკვდილს გავუწიოთ წინააღმდეგობა.

ასე, კითხვით, უწევდა წინააღმდეგობას მამის მერკანტილურ გეგმებს კაფკა, ასე კითხულობდა ფლანერი ო”კონორი დოსტოევსკის, დედამისის ცინიკური რეპლიკების მიუხედავად იდიოტი? ასეთი სახელწოდების წიგნის გამოწერას შენ მეტი ვინ მოიფიქრებდა?!“, ტიბოდე ვერდენის სანგრებში ხელიდან არ უშვებდა მონტენის წიგნებს, ასე ებრძოდა საფრანგეთის ოკუპაციას და შავ ბაზარს ანრი მონდორი თავისი

„მალარმეთი“, ასე დაუსრულებლად კითხულობდა ჟურნალისტი კაუფმანი „ომისა და მშვიდობის“ ერთსა და იმავე ტომს ბეირუთის ციხეში. ამ წინააღმდეგობაზე ლაპარაკობდა ვალერი, როცა იმ ავადმყოფის ამბავს ჰყვებოდა, რომელსაც ანესთეზიის გარეშე გაუკეთეს ოპერაცია: „ის შვებას პოულობდა, უფრო სწორად კი, ძალებს და მოთმინებას იკრებდა, როცა ტკივილის შეტევებს შორის თავის საყვარელ ლექსებს კითხულობდა“. დაბოლოს, ამას გულისხმობდა მონტესკიე თავის ცნობილ გამოხატულებაში, რომლის არასწორმა პედაგოგიურმა პერიფრაზმა ამდენი სასკოლო ნაშრომი შვა: „კითხვა ჩემთვის საუკეთესო საშუალება იყო ცხოვრების ყველაზე მწარე ეპიზოდების დასაძლევად. არ არსებობდა დარდი, რომელსაც ერთსაათიანი კითხვა არ გააქარვებდა“.

ყოველდღიურ ცხოვრებაში კი წიგნი გულისგამაწვრილებელი წვიმისგან თავშესაფარია, ჩუმი აღფრთოვანებაა მეტროს მონოტონურ ჩაქჩაქში, სამუშაო მაგიდის უჯრაში დამალული რომანია, რომელსაც მასწავლებელი უჩუმრად კითხულობს, სანამ მოსწავლეები საპასუხოდ ემზადებიან, კლასის ბოლო მერხზე მჯდომი მოსწავლის სტრიქონებს გაყოლილი თვალებია, სანამ მასწავლებელი ჩამოივლის და მის სუფთა ფურცელს ჩაიბარებს

როგორ უნდა ასწავლო სიტყვიერება, როცა კითხვა დუმილს და საკუთარ თავში ჩაღრმავებას მოითხოვს?

კითხვა ურთიერთობას უწყობს ხელს? კიდევ ერთი სულელური შეხედულება. რასაც ვკითხულობთ, იმაზე არ ვლაპარაკობთ. წაკითხული წიგნით მიღებულ სიამოვნებას, როგორც წესი, საიდუმლოდ ვინახავთ, არავის ვუზიარებთ. შეიძლება იმიტომ, რომ ეს გასარჩევ თემად არ მიგვაჩნია, ანდა იმიტომ, რომ დროს მივცეთ საშუალება, გაფილტროს და დააღაგოს აზრები, სანამ ამაზე ხმას ამოვიღებთ. ამ სიჩუმით ჩვენს პირად სამყაროს ვიცავთ. წიგნი კი წავიკითხეთ, მაგრამ ჩვენთვის ის ჯერ არ დასრულებულა. საკმარისია მასზე ერთი გაფიქრება და ის ხელახლა თავშესაფარში გვიხმობს. ის გარე სამყაროსგან გვიცავს. ისეთ სათვალთვალ პოზიციას გვთავაზობს, რომელიც გაუგებრობებისგან შექმნილ პეიზაჟს ზემოდან დაჰყურებს. ჩვენ წავიკითხეთ და ვდუმვართ. და სწორედ იმიტომაც ვდუმვართ, რომ წავიკითხეთ. განა სასიამოვნო იქნებოდა, ყველა გვერდის ბოლოს ჩასაფრებული ჩაფარივით რომ წამომხტარიყო ვინმე და ეკითხა: „აბა, მოგეწონა? რა გაიგე? მოყევი სწრაფად!“

ხანდახან კი ჩვენი მდუმარების მიზეზი მორჩილებაა. არა პროფესიონალი ლიტერატორების დიადი მდუმარება, არამედ პირადული, მარტოსული, თითქმის ტკივილამდე მისული შეგრძნება იმისა, რომ აი ამ წიგნმა და აი ამ ავტორმა ახლა, ამწამს, „ჩემი ცხოვრება თავიდან ბოლომდე შეცვალა“.

ხან კი უცებ მეხვიით დაგეცემა თავზე: როგორ მოხდა, რომ ამან, მე რომ ასე გულის სიღრმემდე შემძრა, სამყარო ვერ შეცვალა? როგორ შეიძლება, ჩვენი საუკუნე ისეთი იყოს, როგორც დღეს არის, დოსტოევსკის „ემმაკნის“ მერე? საიდან მოვიდნენ პოლ პოტი და მისნაირები, როცა უკვე არსებობდა პიოტრ ვერხოვენსკი? განა შესაძლებელია ტუსაღთა ბანაკების არსებობა ჩეხოვის „სახალინის“ მერე? ვის აუხილა თვალი კაფკას მიერ დღის შუქზე გამოტანილმა სინამდვილემ, სადაც ჩვენი ყოფის ყველა სიმახინჯე ისე მკაფიოდ და დაუნდობლად იკვეთება, როგორც კონტურები - თუთიის ფირფიტაზე. რატომ არავინ ათხოვა ყური ვალტერ ბენიამინის სიტყვებს იმ საშინელ დროში? ამიხსენით, რატომ მოხდა ისე, რომ მაშინაც კი, როცა უკვე ყველაფერი დასრულდა, კაცობრიობამ არ წაიკითხა რობერ ანტელმის „ადამიანთა მოდგმა“, თუნდაც იმიტომ, რომ სამუდამოდ გაეთავისუფლებინა ებოლიში

დარჩენილი კარლო ლევის ქრისტე?

დაუჯერებელია, რომ წიგნებმა, რომლებმაც სულით ხორცამდე შეგვძრა, დანარჩენი მსოფლიო ბოროტებისგან ვერ დაიცვა. აი, რამ დაგვამუნჯა!

ამიტომაც ვართ დადუმებულნი...

რა თქმა უნდა, ყბედი კულტურული ელიტის გარდა.

ასეთ სალონებში ადამიანებმა ხომ არ იციან, რა თემებზე ისაუბრონ, ამიტომ მათთვის ლიტერატურა გაცნობა-გამუსაიფების ჩინებული საშუალებაა. დიდი გატაცებით წაკითხული რომანი ურთიერთობის გზაზე გადადგმული სტრატეგიული ნაბიჯია! ამდენი ჩუმი ამოხვნეშა, ამდენი უანგარო თავდადება იმას ეწირება, რომ „ამ კრეტინმა ის ნაშა შეაბას?!“ „როგორ, „მოგზაურობა ღამის დასალიერში“ არ წავიკითხავთ?“

მოსაკლავია, აბა რა არის?!

შეიძლება წიგნზე საუბარი შემთხვევითი ნაცნობების შესაძენად არ გამოგადგეთ, მაგრამ ხანგრძლივი და გააზრებული ურთიერთობებისთვის კი ნამდვილად საუკეთესო საშუალებაა.

სკოლის, კრიტიკოსებისა და რეკლამის გავლენით წაკითხული წიგნებით მიღებულ შთაბეჭდილებებს თუ მეგობრის, შეყვარებულის, თანაკლასელის ან თუნდაც ოჯახის რჩევით წაკითხულს შევადარებთ (ოღონდ იმ პირობით, რომ ოჯახის წევრები მხოლოდ ჭკუის სასწავლებელ ლიტერატურას არ ჩამოგვიმწკრივებენ თაროზე), მივხვდებით, რომ ყველაზე დიდი გავლენა ჩვენზე იმ წიგნმა მოახდინა, რომელიც საყვარელი ადამიანის მითითებით წავიკითხეთ. და სწორედ საყვარელ ადამიანს ვუყვებით მასზე პირველ რიგში. შეიძლება იმიტომ, რომ ნამდვილი გრძნობაც, როგორც კითხვის სიყვარული, ძალდატანებითი ვერასდროს იქნება. სიყვარული ხომ ბოლოს და ბოლოს იმას ნიშნავს, რომ უპირატესობა ჩვენთვის უპირატესს მივანიჭოთ. ჩვენი თავისუფლების უხილავი ციტადელი სწორედ ამ რჩეული წიგნებით და მეგობრებით არის დასახლებული.

როდესაც ძვირფასი ადამიანი წასაკითხად წიგნს გვამღევს, თითოეულ სტრიქონში გაფაციცებით მას ვეძებთ, მის აზრებს, შეხედულებებს, ვცდილობთ, გავიგოთ, რატომ მოგვცა მაინცდამაინც ეს წიგნი. მასთან საერთოს ვეძებთ. მერე ტექსტი გვიტაცებს, მთლიანად მასში ვიძირებით და უკვე გვავიწყდება, ვინ და რატომ გვირჩია იგი. ამაშია ნამდვილი შედეგის ძალა. მთლიანად გვიპყრობს, ყველაფერს გვავიწყებს!

ხანდახან წლები გაივლის ხოლმე და ამა თუ იმ წიგნის ხსენებაზე თვალწინ ისევ ის ადამიანი გვიდგება, წიგნის სათაურის გაგონებაზე მისი სახე გვახსენდება. უნდა ვაღიაროთ, რომ ხანდახან მხოლოდ მეგობარი კი არ გვაგონდება, არამედ (იშვიათად, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც ხდება!) კრიტიკოსი ან პედაგოგიც კი!

მაგალითად, მე პიერ დიუმაიე მახსენდება ჩემი ბავშვობის დროინდელი გადაცემიდან „კითხვა ყველასთვის“, მისი გამოხედვა, ხმა, პაუზები და ის პატივისცემა და მოწიწება, რომლითაც იგი მკითხველს ეპყრობოდა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მკითხველი გავხდი. მახსენდება ჩემი მასწავლებელიც, რომელიც, ლიტერატურის სიყვარულით შეპყრობილი, მოთმინებით გვეპყრობოდა და, მგონი, ვუყვარდით კიდევ. რა თქმა უნდა, ვუყვარდით, რა თქმა უნდა, გვაფასებდა, თუ თავის საყვარელ წიგნებს წასაკითხად გვამღევდა!

პოეტ ჟორჟ პეროს ბიოგრაფიის ავტორი ჟან-მარი ჟიბალი პოეტის ერთ-ერთი სტუდენტის სიტყვების ციტირებას ახდენს, რომელსაც პერო რენეში ასწავლიდა:

„მისი (პეროს) გაკვეთილი სამშაბათს დილით გვექონდა ხოლმე. მოდიოდა თავისი ცისფერი ჟანგიანი მოტოციკლით, ქარისაგან აჩეხილი თმებით. მოხრილი, მეზღვაურის საწვიმარშიგამოწყობილი, პირში ჩიბუხგაჩრილი შემოვიდოდა ხოლმე და წიგნებით სავსე ჩანთას მაგიდაზე გადმოაპირქვავენდა. აი, ეს იყო ცხოვრება!“

თხუთმეტი წლის შემდეგ ეს მშვენიერი მანდილოსანი, მეტრით ძველებურად მოხიბლული, მოდიმარი სახით ყავის ფინჯანს დაჰყურებს, თითქოს ძველ მოგონებებს იხმოხსო:

- დიახ, აი, ეს იყო ცხოვრება: ნახევარი ტონა წიგნები, ჩიბუხები, თამბაქო, „ფრანს-სუარის“ ან „ეკიპის“ ნომერი, გასაღებები, ჯიბის წიგნაკები, ქვითრები, მოტოციკლის ნაწილები, ყველაფერს ერთად დაახვავებდა. მერე ამ ხარახურის გორიდან წიგნს ამოაძრობდა, შემოგვხედავდა და სახეზე ისეთი ღიმილი აუთამაშდებოდა, რომ მოუთმენლობისგან ჩვენც ავცქმუტდებოდით ხოლმე და... კითხვას იწყებდა. კითხულობდა და თან აქეთ-იქით დადიოდა. ერთი ხელი ჯიბეში ედო, მეორე კი, რომელშიც წიგნი ეჭირა, ცოტა დაჭიმული და წინ გაწვდილი ჰქონდა, თითქოს ჩვენ გვიწვდიდა, თითქოს ამ კითხვას ჩვენ გვჩუქნიდა. და მართლაც, ამაზე დიდი საჩუქარი რა უნდა ყოფილიყო! სამაგიეროდ კი არასდროს არაფერს ითხოვდა. როცა რომელიმე ჩვენგანი ყურადღებას მოადუნებდა, გაჩერდებოდა, ოცნებებში წასულს შეხედავდა და ხმადაბლა დაუსტვენდა. ეს საყვედური არ იყო, ეს ყურადღებით სმენისკენ მხიარული მოწოდება იყო. ყოველთვის გვაკონტროლებდა, ყველაზე კულმინაციურ მომენტებშიც კი წიგნის ზემოდან თვალს გამოაპარებდა და კლასს გადახედავდა. მისი მკაფიო, მჟღერი და ხავერდოვანი ხმა საკლასო ოთახში იღვრებოდა და თითქოს მთლიანად ავსებდა მას. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ამ ხმას შეეძლო ამფითეატრის, თეატრის, მარსის მოედნის ავსება ისე, რომ ერთი ბგერაც კი არ დაიკარგებოდა. იგი ინსტინქტურად გრძნობდა სივრცისა და ჩვენი ტვინების მოცულობას. მისი ხმა კარგი რეზონანსის მქონე დარბაზივით უზადოდ, ზუსტად აჟღერებდა ტექსტს, ის წიგნის განსახიერება ხდებოდა, კითხვის დროს თავად იყო ხორცშესხმული წიგნი! მისი ხმა გვეუბნებოდა, რომ ეს ყველაფერი ჩვენთვის იყო განკუთვნილი, ჩვენთვის იყო დაწერილი. ამ მოულოდნელმა აღმოჩენამ ჩვენში გადატრიალება მოახდინა. აი თურმე რა ყოფილა! ჩვენ არაერთი წელი შევწირეთ ენისა და ლიტერატურის შესწავლას ისე, რომ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. რას აკეთებდა იგი განსაკუთრებულს, სხვა მასწავლებლებისგან განსხვავებულს? არაფერს! შეიძლება ითქვას, რომ სხვა მასწავლებლები უფრო მეტს აკეთებდნენ. მაგრამ ის, მათგან განსხვავებით, წვეთოვანით კი არ გვისხამდა ანალიზით გაწყალეულ ლიტერატურას, სავსე თასით გვაწვდიდა. ყველაფერს ვიგებდით, რასაც გვიკითხავდა, ყველაფერი გვესმოდა. არ არსებობდა მის ხმაზე უფრო ნათელი ანალიზი რომანისა. ის ავტორის ინტონაციას იჭერდა, სტრიქონებს შორის დაწერილს კითხულობდა, გადაკრულ სიტყვებს ნათელს ჰფენდა. გამორიცხული იყო წიგნის არასწორად გაგება. მისი

წაკითხული „ორმაგი ცვალებადობის“ მერე უკვე წარმოუდგენელი იყო მარივოს „ღვლარქნილობაზე“ და ამდაგვარ სისულელეებზე ლაპარაკი, ან თუნდაც მისი ანატომიური თეატრის ადამიანი-თოჯინების ვარდისფერ ფერებში გამოწყობა. მისი გადმოცემის მანერას თითქოს ლაბორატორიაში შევყავდით, სადაც მისი მკაფიო დიქცია ავტორის მიერ ნათქვამისა და ნაგულისხმევის ვივისექციას ახდენდა. ზედმეტი არასდროს მოსდიოდა, მარივოს მარკიზ დე სადის წინკარად არასდროს წარმოადგენდა.

და მიუხედავად ამისა, რომანის კითხვისას მუდამ იმის შეგრძნება გვქონდა, რომ არლევინისა და სილვიას ტვინში ვიხედებოდით, თითქოს ჩვენ თვითონ ვიყავით ამ ექსპერიმენტის ლაბორანტები.

მისი გაკვეთილი კვირაში ერთ საათს გვიტარებოდა. და ეს ერთი საათი მის ჩანთას ჰგავდა, გადაბარგებისთვის გამზადებულ ჩანთას. წლის ბოლოს დაჯამების დრო მოვიდა: შექსპირი, პრუსტი, კაფკა, ვიალატი, სტრინდბერგი, კირკეგორი, მოლიერი, ბეკეტი, მარივო, ვალერი, ჰიუსმანსი, რილკე, ბატაი, გრაკი, არდლე, სერვანტესი, ლაკლო, ჩორანი, ჩეხოვი, ჰენრი ტომასი, ბიუტორი... არეულად ვთვლი და შეიძლება გამომრჩა კიდევ ვინმე. ათი წლის წინ ამის ათი პროცენტიც კი არ მქონდა გაგონილი!

ის ყველაფერს გვიკითხავდა, ყველაფერს გვიყვებოდა, იმიტომ რომ იცოდა, ამ კლასში არავინ იყო მოსიარულე ბიბლიოთეკა. ყველაფერი გარკვეული იყო. მან იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე: ახალგაზრდა, უწიგნურ ბაკალავრებთან, რომლებიც ცოდნას იმსახურებდნენ. არავითარი მჭევრმეტყველება კულტურულ მემკვიდრეობასა და ზეცით ბოძებულ წმინდა საიდუმლოებებზე. მისი წიგნები ციდან არ ცვიოდა, ის მათ მიწაზე კრეფდა და ჩვენ გვამლევდა. ყველაფერი, რასაც იქ ვკითხულობდით, ჩვენ ირგვლივ ხდებოდა, ყველაფერში ცხოვრების ხმა ისმოდა. მახსოვს ჩვენი იმედგაცრუება, როცა ლიტერატურის გიგანტებზე მიდგა საქმე. მოლიერი, ლაფონტენი... წინა მასწავლებლების გადამკიდეს, ამ კლასიკოსებით ყურები გვქონდა გამოჭედილი. რაღა უნდა ეთქვა ახალი? ერთ საათში ისინი ლიტერატურის მიუწვდომელი ოლიმპიდან ჩამოვიდნენ და საგანმანათლებლო კერპებიდან ჩვენს ახლობელ, იდუმალ ადამიანებად გადაიქცნენ. ისინი ჩვენთვის შეუცვლელნი გახდნენ. პეროს ჰქონდა გასაოცარი უნარი, გაეცოცხლებინა ავტორები. აღსდექ და მოდი! აპოლინერიდან ზოლამდე, ბრეხტიდან უაილდამდე თითქოს ყველა აქ იყო, ჩვენს კლასში, ცოცხლები, გეგონებოდა, ქუჩის მეორე მხრიდან, კაფე „მიშუდან“ გადმოირბინესო. სხვათა შორის, ამ კაფეში გაკვეთილის დასრულების შემდეგ იგი ხშირად გვიკითხავდა ხოლმე. ძმაკაცი-მასწავლებლის როლს არასდროს თამაშობდა. ეს მისი სტილი არ იყო. უბრალოდ ლექციებს კითხულობდა, რომელსაც „უწიგნურობის კურსს“ ეძახდა. მისი მსმენელისთვის კულტურა სახელმწიფო რელიგია აღარ იყო, ბარის დახლი კი ყველა კათედრაზე უფრო მაღალი ტრიბუნა ხდებოდა. ჩვენ ამ რელიგიის მიმდევრები და წიგნის მორჩილები კი არ გვინდოდა გავმხდარიყავით, უბრალოდ კითხვა გვინდოდა! კითხვა და მეტი არაფერი! როგორც კი ის ჩუმდებოდა, რენეს და კემპერის ბიბლიოთეკებს ვაცარიელებდით. და რაც უფრო მეტს ვკითხულობდით, მით უფრო უვიცები გვეგონა თავი, მით უფრო ნათლად ვხედავდით, რომ მარტოდმარტო ვიდექით ჩვენი უმეცრების ნაპირზე უკიდევანო ზღვის პირისპირ. მხოლოდ მასთან ერთად არ გვეშინოდა შეცურვის. თავით ვეშვებოდით წიგნებში, ფეხის დასველების არ გვეშინოდა.

არ ვიცი, ვინ გახდა მის მსმენელთა შორის მასწავლებელი... ალბათ, ბევრი არა და ეს სამწუხაროა, იმიტომ რომ ამასობაში მან ჩვენში ცოდნის გაზიარების სურვილი გააღვიძა. თუმცა გამოცდილების გაზიარება მასწავლებლობის გარეშე შეიძლება. პერო კი, რომელსაც, უნდა ითქვას, ფეხებზე ეკიდა პედაგოგობა, ხუმრობით იტყოდა ხოლმე: მოხეტიალე უნივერსიტეტზე

ვოცნებობო.

- ხომ არ გაგვესეირნა ცოტა... ვაიმარში გოეთე მოგვენახულებინა, მამა კირკეგორთან ერთად ღმერთისთვის შეგვეყვინა, ნევის გამზირზე „თეთრ ღამეებში“ გვეხეტიალა...“

37

„კითხვა, ლაზარეს მკვდრეთით აღდგომის მსგავსად, სიტყვების საფლავის ქვას სწევს“.

ჟორჟ პერო („ჭრილი“)

ეს მასწავლებელი ზოგად ცოდნას კი არ ახვევდა თავს, საკუთარ ცოდნას ჩუქნიდა. ის პედაგოგზე უფრო მოხეტიალე ტრუბადურს ჰგავდა, სიტყვებით ჟონგლიორობის ოსტატს, რომელიც სანტიაგო-დე-კომპოსტელის გზისპირა ფუნდუკებს ესტუმრებოდა ხოლმე და წერა-კითხვის უცოდინარ პილიგრიმებს საგმირო სიმღერებს უმღეროდა.

დასაწყისი, როგორც ცნობილია, ყველაფერს აქვს და ისიც ყოველ წელს თავის პატარა ფარას რომანის სიტყვიერ საწყისებთან იხმობდა. იგიც ტრუბადურებივით მათ მიმართავდა, ვინც კითხვა არ იცოდა. თვალებს უხელდა, წიგნებისკენ მიმავალ გზაზე, რომლებიც ადამიანების ცხოვრებაზე გადიოდა, ფარნებს უნთებდა, დაუსრულებელ, შეუცნობელ მოგზაურობაში ეპატიჟებოდა.

„ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის იყო, რომ ხმამაღლა გვიკითხავდა. ის ხედავდა, როგორ გვინდოდა გაგება. ხმამაღლა კითხვას შეუძლია წიგნამდე მიგაღწევინოს. მან მართლაც გააღვიძა ჩვენში კითხვის სურვილი“.

ხანდახან ჩვენც, რომლებსაც პრეტენზია გვაქვს, რომ ვკითხულობთ და წიგნის პროპაგანდას ვეწევით, უბრალოდ კითხვას კომენტატორობა, ინტერპრეტატორობა, ანალიტიკოსობა, კრიტიკოსობა, ბიოგრაფობა, ტექსტის გარჩევა გვირჩევნია. ამით ვითომდა წიგნის უზენაესობას ვაღიარებთ, მის წინაშე მდაბლად ვიხრით თავს, სინამდვილეში კი უბრალოდ ვამუნჯებთ მას. ჩვენი კომპეტენტურობის ტყვეობაში მყოფნი, წიგნის სათქმელს ჩვენი სათქმელით ვანაცვლებთ. იმის მაგივრად, რომ ჩვენი სახით წიგნი ღალადებდეს, წიგნს ჩვენი ჭკუის გამოსამზებელ ასპარეზად ვხდით. წიგნის ემისრობის ნაცვლად ტაძრის ნაფიც მცველებს ვემსგავსებით, რომლებიც ყველა შემომსვლელს ცხვირწინ უკეტავენ ტაძრის კარს და თან ხოტბა-დიდების ტონით იმეორებენ: უნდა ვიკითხოთ! უნდა ვიკითხოთ!

უნდა ვიკითხოთ! ამაში ახალგაზრდები მხოლოდ ალოგიკურობას ხედავენ. რანაირი არგუმენტიც უნდა მოვიყვანოთ... ალოგიკურობაა და მეტი არაფერი!

ჩვენს მოსწავლეებში იყვნენ ისეთები, რომლებიც უჩვენოდაც კითხულობდნენ და მომავალშიც გააგრძელებენ კითხვას. მათ შორის ყველაზე მოწადინებულებისთვის კი ჩვენი ახსნა-განმარტებები შუქურა გახდება, გზის გამკვლევი წიგნის სამყაროში.

იყო მეორე კატეგორია: ისინი, ვინც „არ კითხულობდა“. მათ შორის ყველაზე მიხვედრილნი ჩვენსავით დაეუფლებიან წიგნზე ლაპარაკის ხელოვნებას. აითვისებენ კომენტატორებისთვის დამახასიათებელ ჭარბსიტყვაობას (წავიკითხე ათი ხაზი, გავწელე ათ გვერდზე), შემოკლება-დაკონსპექტებას (თვალი გადავაგვლე ოთხას გვერდს, ჩავეტე ხუთ გვერდში). ინადირებენ ცნობილ გამონათქვამებზე, რომლებსაც „მოკლე შინაარსებში“ ამოკრეფენ (ეს გაყინული და დაკონსერვებული ლიტერატურული საქონელი ხომ ყველა პოპულარულ ბუკინისტურ მაღაზიაში იყიდება), გახდებიან კირკიტა ანალიტიკოსები. ეს ყველაფერი მათ ჯერ ბაკალავრის ხარისხით უზრუნველყოფს, მერე - მაძიებლის და ბოლოს - ლექტორის... წიგნის სიყვარულს კი ვერ მოუტანს.

რჩება კიდევ ერთი კატეგორია მოსწავლეებისა, რომლებიც არ კითხულობენ, იმიტომ რომ ბავშვობაშივე შეაშინეს წაკითხულიდან აზრის გამოტანის გარდაუვალი აუცილებლობით, რომლებიც საკუთარ თავს შტერებად თვლიან, რომლებიც ამბობენ, რომ წიგნები მათი საქმე არ არის, რომლებსაც ცხოვრებაში უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დაუგროვდათ და ვინ იცის, იქნებ კითხვებიც აღარ აქვთ.

წარმოვიდგინოთ, რომ გვესიზმრება: ლექტორობის მოსურნე ახალბედა მასწავლებელი ენისა და ლიტერატურის კათედრაზე გამოცდას აბარებს, კომისიის წინაშე ღია გაკვეთილს ატარებს. გაკვეთილის თემაა: „მადამ ბოვარის“ მხატვრული თავისებურებანი.

მერხთან საწყლად მოკუნტულ კანდიდატს კათედრიდან უმეტყველო, გაყინული სახით მედიდურად დაჰყურებს კომისიის ექვსი წევრი. სცენის მასშტაბურობისთვის აღვნიშნოთ, რომ ეს სორბონის დიდ აუდიტორიაში ხდება. ირგვლივ ყველაფერი საუკუნეების, ისტორიისა და ხის სუნითაა გაჯერებული, ჰაერში კი ცოდნის უსაზღვრო მდუმარება დგას.

აქა-იქ აუდიტორიის იარუსებზე მიმოფანტული პუბლიკა, რომლებიც ძირითადად კანდიდატის მშობლებისა და მეგობრებისგან შედგება, შეშინებული და დაბნეული გოგონას აჩქარებულ გულისცემას გრძნობს. ყველაფერს ქვემოდან ზევით ვუყურებთ, ყველაზე დაბლა კი ქალიშვილია, შიშისა და არცოდნისაგან დათრგუნული და კუთხეში მიმწყვდეული.

რალაცამ ყრუდ დაიჭრიალა, ვილაცამ მოგუდულად ჩაახველა. დრო უსასრულოდ იწელება. ქალიშვილი აკანკალებული ხელებით მერხზე თავის ჩანაწერებს ალაგებს და მთავარი პარტიტურის ძებნას იწყებს: „მადამ ბოვარის“ მხატვრული თავისებურებანი.

კომისიის თავმჯდომარე (რადგან სიზმარია, შევძლოსოთ ეს ხანდაზმული მამაკაცი მეწამული მანტიით, მხრებზე ყარყუმის ბეწვი მოვასხათ, თავზე მოსამართლის პარიკი დავახუროთ, რათა მისი გრანიტისებრი, დანაოჭებული სახე კიდევ უფრო ქურუხი გამოჩნდეს), მოკლედ, თავმჯდომარე თავისი კოლეგისკენ იხრება, ყურთან პარიკს უწევს და რალაცას ჩასჩურჩულებს. ეს უკანასკნელი (უფრო ახალგაზრდაა, მის ვარდისფერ სახეზე მეცნიერული სიმწიფე იკითხება, ისეთსავე მანტიასა და პარიკშია გამოწყობილი) თანხმობის ნიშნად დინჯად უქნევს თავს. იგი ნათქვამს გვერდით მჯდომს გადასცემს, თავმჯდომარე კი მარცხნივ მჯდომისკენ იხრება. ეს მოძრაობა აქეთ-იქით ტალღასავით ვრცელდება.

მამ ასე: „მადამ ბოვარის“ მხატვრული თავისებურებანი. გოგონა ისე დაიბნა თავის ჩანაწერებში, ისე აერია აზრები, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ წამოდგნენ კომისიის წევრები, როგორ ჩამოვიდნენ კათედრიდან და მის ირგვლივ განლაგდნენ. ფიქრებში გართულმა გოგონამ თავი ასწია და მაშინლა შენიშნა, რომ ალყაში იყო. წესით, უნდა შეშინებოდა, უარესად აღელვებულიყო, მაგრამ არა, მას მხოლოდ იმის ეშინოდა, რომ არ იცოდა. ერთი კი გაიფიქრა, ნეტავ აქ რას ჩამომისხდნენო და ისევ თავის ჩანაწერებში ქექვა განაგრძო. „მადამ ბოვარის“ მხატვრ... გაკვეთილის გეგმას ვერ პოულობს. სად ჯანდაბაშია?! რა მშვენიერი, ნათელი გეგმა ჰქონდა! რატომ ვეღარ პოულობს? რა ქნას ახლა? როგორ ჩაატაროს ღია გაკვეთილი?

- მადმუაზელ...

გოგონას არ ესმის. გაკვეთილის გეგმაზე ფიქრობს და თან დაზეპირებული ციტატების ქარიშხალი უზუზუნებს თავში.

- მადმუაზელ...

ექებს, ექებს. „მადამ ბოვარის“ მხატვრული თავისებურებანი“... ყველაფერი ნახა, ამის გარდა.

- მადმუაზელ, ძალიან გთხოვთ...

არ მითხრათ ახლა, კომისიის თავმჯდომარემ ხელი მხარზეო დაადო (როდის იყო, კომისიის თავმჯდომარეები ახალგაზრდა კანდიდატებს ხელს მხარზე ადებდნენ?). თითქოს რაღაც ბავშვური ხვენწაც კი ისმის მის ხმაში. გამომცდელები სკამებზე აცქმუტდნენ (დამავიწყდა, მეთქვა, რომ ყველა თავისი სკამით ჩამოვიდა კათედრიდან და გოგონას გარშემო შემოუსხდნენ). გაოცებულმა გოგონამ ირგვლივ მიმოიხედა.

- მადმუაზელ, ძალიან გთხოვთ, დაანებეთ თავი მხატვრულ თავისებურებებს...

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა პარიკები მოიხსნეს. ბავშვურად აჩეჩილი თმა ჰქონდათ, ფართოდ გახელილ თვალებში მოუთმენლობა ეწერათ.

- მადმუაზელ... უბრალოდ მოგვიყევით „მადამ ბოვარი“! - ანდა არა! თქვენი საყვარელი რომანი მოგვიყევით!

- ჰო! „ბალადა მიტოვებულ კაფეზე“! თქვენ ხომ ძალიან მოგწონთ კარსონ მაკ-კალერსი, მადმუაზელ, მოგვიყევით „ბალადა მიტოვებულ კაფეზე“!

- ანდა ისე მოგვიყევით „კლევის პრინცესა“, რომ მისი გადაკითხვა მოგვინდეს! გთხოვთ! - დიახ, ხელახლა წაკითხვა რომ მოგვინდეს!

- ჰო! ჰო!

- ადოლფი“ მოგვიყევით!

- „დედალოსი“ წაგვიკითხეთ, ის თავი, სადაც სათვალეზეა ლაპარაკი!

- კაფკა, რაიმე მისი „დღიურიდან“!

- სვევო! „ძენის თვითშემეცნება“!

- „სსარაგოსში ნაპოვნი ხელნაწერი“ წაგვიკითხეთ!

- რაც გინდათ!

- „ფერდიდურკე“!

- „სულელების შეთქმულება“!

- საათს ნუ უყურებთ. დრო საკმარისად გვაქვს! - გთხოვთ...

- მადმუაზელ...

- წაგვიკითხეთ რა!

- „სამი მუშკეტერი“!

- „ვაშლების დედოფალი“!

- „ქიული და ჯიმი“!

- „(ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა“! - „პრინცი მოტორდუ“!

- „ბაზილი“!

II – მიეცით წასაკითხი

ავიღოთ ჩვეულებრივი კლასი, რომელშიც დაახლოებით ოცდათხუთმეტი მოსწავლეა. ოღონდ ნუ წარმოიდგენთ ნარჩევ ახალგაზრდებს, რომლებიც ამაყად თავაწეულნი უდრეკად და შეუპოვრად მიიწევენ უმაღლესი სასწავლებლების

ზღურბლისკენ. არა, სხვები, რომლებიც ქალაქის ცენტრალური რაიონების ლიცეუმებიდან გადმოვიდნენ, იმიტომ რომ მათი ნიშნები საკმარისი არ იყო ბაკალავრის ხარისხისთვის.

წლის დასაწყისია.

ისინი აქ, ამ სკოლაში,

ამ მასწავლებლის წინაშე თავს გამორიყულად გრძნობენ.

„გამორიყული!“ არის ასეთი სიტყვა, რომელიც ნაპირზე გამოგდებულს ნიშნავს, მაშინ როცა მათი ყოფილი თანაკლასელები უკვე „თბომავალ ლიცეუმის“ გემბანზე სხედან და დიდი „კარიერის“ ღია ზღვაში ტალღებს მიაღდღვევენ. ესენი კი ნარჩენებად იქცნენ, რომლებიც სასკოლო მიქცევამ ნაპირზე დატოვა. აი რას წერენ ისინი საკუთარ თავზე ანკეტაში, რომლის შევსებაც სავალდებულოა ყოველი წლის დასაწყისში:

სახელი, გვარი, დაბადების თარიღი... სხვა ცნობები:

„ყოველთვის სუსტი ვიყავი მათემატიკაში“... უცხო ენები არასდროს მაინტერესებდა“... „მიჭირს ყურადღების მოკრება“... „წერა არ გამომდის“... „წიგნებში ძალიან ბევრი უცხო სიტყვაა“ (სიც! დიახ, სიც!)... „ფიზიკაში არაფერი გამეგება“... მართლწერაში ყოველთვის ორიანს ვიღებდი“... „ისტორია მომწონს, მაგრამ თარიღებს ვერ ვიმახსოვრებ“... „ალბათ, საკმარისად არ ვინდომებ“... „ვერ ვიგებ“... „ბევრი გავაცდინე“... „ძალიან მინდა, რომ ვხატავდე, მაგრამ ნიჭი არ მაქვს“... „ჩემთვის ეს ძალიან რთულია“... „კუდი მეხსიერება მაქვს“... „მომზადება მაკლია“... „სიტყვები არ მყოფნის“...

აი, ასეთი არასახარბიელო წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე.

ხელი აქვთ ჩაქნეული. ჯერ არ დაუწყიათ და უკვე წერტილი დაუსვეს საკუთარ მომავალს.

რა თქმა უნდა, ცოტას აჭარბებენ. ეს თავად ჟანრის მოთხოვნაა. პერსონალური ანკეტა ისევე, როგორც პირადი დღიური, სავსეა თვითკრიტიკით. რატომღაც წერის დროს

ქვეცნობიერად ვამუქებთ საკუთარ პრობლემებს, თანაც ამგვარი გადაჭარბებული თვითკრიტიკით სხვას ჩვენი კრიტიკის საფუძველს აღარ ვუტოვებთ. ეს მოსახერხებელიცაა. ამის გამოცდილება მათ სკოლიდან აქვთ. არაფერს ისეთი სულიერი სიმშვიდე არ მოაქვს, როგორც მუდმივ ორიანს მათემატიკასა და მართლწერაში: გამოსწორების შესაძლებლობის სრული გამორიცხვა მცდელობებით გამოწვეულ შფოთვის უსვამს წერტილს. ვინ იცის, იქნებ იმის აღიარებამ, რომ წიგნებში ძალიან ბევრი ახალი სიტყვაა, კითხვის აუცილებლობისგანაც კი დაიხსნას...

თუმცა ამ ახალგაზრდების მიერ დახატული ავტოპორტრეტები სულ არ ჰგავს მათ ავტორებს. ვინმე უნიჭო კინორეჟისორს ეს სტრიქონები რომ წაეკითხა, აუცილებლად ერთ ტვინგამოლაყებულ მოსწავლეს წარმოიდგენდა, დაბალი შუბლით და კვადრატული ყბებით.

არა, ისინი ისევე განსხვავებულნი არიან, როგორც ეპოქა, რომელშიც ცხოვრობენ: ეს თავგამოდებული როკერია - ბალთებით და კოვბოური ჩექმებით დაიარება, „ბერლინგტონსა“ და „შევინიონში“ ნაყიდ ტანსაცმელში მოდის თავგადაკლული მიმდევარია გამოწვეპილი, ამას რომ შეხედავ, ზედგამოჭრილი ბაიკერია (თუმცა მოტოციკლი არ ჰყავს); ზოგს გრძელი თმა აქვს, სხვას კი, პირიქით, მოკლედ შეჭრილი - ოჯახური ტრადიციების მიხედვით. ახლა გოგოები ნახეთ... აი იმას, იქ რომ ზის, დაგლეჯილი ჯინსი და მამამისის პერანგი აცვია, მუხლებამდე რომ სწვდება, ის

სიცილიელი ქვრივივით შავებში გამოწყობილა („ყველა ფეხებზე მკიდია“, მის გვერდით მჯდომი ქერა გოგო კი მოდის ჟურნალიდან გადმომხტარს ჰგავს, მოვლილ-დავარცხნილი და გამოპრანჭულია.

ყბაყურას და წითურას ასაკიდან გამოსვლა ვერ მოასწრეს, რომ პირდაპირ „მოდაზე თავგადაკლულობის“ ასაკში ამოყვეს თავი.

თანაც რამსიმალეები არიან ეს დალოცვილები! უმრავლესობა მაინც. მასწავლებლებს ზემოდან დაჰყურებენ. ბიჭები რა მხარბეჭიანები არიან, გოგოები - რა ტანადები!

მათი შემხედვარე მასწავლებელი ფიქრობს, რომ მისი თაობა ასეთი არ იყო, ასეთი ჩამოყალიბებული. ისინი უფრო... შელახულები იყვნენ, უფრო... დაფეხვილები... ომისშემდგომი დაჩიავებული თაობა, მარშალის გეგმის პროდუქტი. იგი, მასწავლებელი, ამ ასაკში მხოლოდ ფეხზე დადგომაზე, ძალების მოკრებაზე ფიქრობდა ისევე, როგორც მთელი ევროპა.

ესენი კი უკვე ამ მოკრებილი ძალების შედეგს წარმოადგენენ.

ეს ჯანმრთელი და მოდური გარეგნობა მათ რაღაცნაირ ზრდასრულ იერს აძლევს, რომელმაც შეიძლება ცოტა დაგაზნოთ კიდევ. ეს ვარცხნილობები, ეს ტანსაცმელი, უოქმენები, კალკულატორები, მათი ლექსიკა, თავდაჯერებულობა გაფიქრებინებთ, რომ ისინი უკეთ იცნობენ ამ ცხოვრებას, უკეთ არიან „მორგებულნი“ ამ რეალობას, ვიდრე თქვენ, მასწავლებელი.

კი, მაგრამ რა იციან მათ თქვენზე მეტი?

აი, სწორედ ეს არის საიდუმლო.

არაფერია იმაზე გამოუცნობი, ვიდრე მოჩვენებითი, გარეგნული სიმწიფე.

ჩვენი პედაგოგი ასეთი გამობრძმედილი და მრავლისმნახველი რომ არ იყოს, ნამდვილად იფიქრებდა, რომ აწმყო დროის თხრობით კილოში მისი ადგილი აღარაა, თავი ერთი გადამღრძვალნი და დრომოყმული მასწავლებელი ეგონებოდა... მაგრამ თავისი ოცწლიანი პედაგოგიური გამოცდილების მანძილზე მას უამრავი ასეთი ბავშვი და ახალგაზრდა უნახავს, ალბათ, სამი ათასზე მეტი, მოდასაც ბევრნაირს გაუვლია მის თვალწინ, გაუვლია და, თქვენ წარმოიდგინეთ, უკანაც კი დაბრუნებულა!

ერთადერთი, რაც არ იცვლებოდა, სასკოლო ანკეტების შინაარსი იყო. მისი წამკითხველი მაშინვე ხვდებოდა, რომ ეს გარეგნული ესთეტიკა მოჩვენებითი იყო: ზარმაცი ვარ, უჭკუო ვარ, არაფერს წარმოვადგენ, თავი ყველაფერში ვცადე და არაფერი გამომივიდა, ტყუილად ნუ დაიღლებით, ჩემგან არაფერი გამოვა, ჩემი წარსულის მქონე ადამიანს მომავალი არ აქვს...

ერთი სიტყვით, საკუთარი თავი არ მოსწონთ და ბავშვურად თვითდაჯერებულნი ყველგან გაჰყვირიან ამის შესახებ.

ორ სამყაროს შორის არიან გაჩხერილნი და ორივესთან კავშირი აქვთ დაკარგული. ჩვენ, რა თქმა უნდა, „დონე“ ვართ, - ფიქრობენ ისინი, - სკოლამ კი „დაახვიოს რა“, მაგათმა მოთხოვნებმა „გაგვიტრაკეს რა“, პატარები კი არ ვართ! სანამ გავიზრდებით, ასე უნდა „გვაპახაონ“?!

თავისუფლება უნდათ და თან თავს მიტოვებულად გრძნობენ!

და, რა თქმა უნდა, კითხვა არ უყვართ. ძალიან ბევრი ახალი სიტყვაა, ძალიან ბევრი გვერდია და, საერთოდ, ძალიან ბევრი წიგნია!

არა, კითხვა ნამდვილად არ უყვართ!

სწორედ ამაზე მიუთითებს აწეული ხელების ჯარი, როცა მასწავლებელი სვამს კითხვას:

– აბა, ვის არ უყვარს კითხვა?

არის, რა თქმა უნდა, რაღაც პროვოკაციული ამ ერთიანობაში. ხელს მხოლოდ ისინი (და მათ შორის ერთ-ერთი „სიცილიელი ქვრივია“) არ იწევენ, ვისაც მასწავლებლის ეს კითხვაც კი ფეხებზე ჰკიდია.

– კარგი, ბატონო! თქვენ თუ არ კითხულობთ, მაშინ... მე წაგიკითხავთ!

მასწავლებელი მაშინვე უყოყმანოდ ხსნის ჩანთას და იქიდან აიღო ამოდენა, სქელ, ოთხკუთხა, უსაშველოდ დიდ, პრიალაყდიან წიგნს იღებს. აი, წიგნიც ამას ჰქვია!

– აბა, მზად ხართ?

მოსწავლეები გაოცებისაგან სახტად რჩებიან. საკუთარ თვალებს და ყურებს არ უჯერებენ. რას აპირებს? ამხელა წიგნი აი აქ ახლა უნდა წაგიკითხოს?! ამას ერთი წელი არ ეყოფა! დაბნეულობა იგრძნობა... დამაბულობაც. არ არსებობს! მასწავლებელმა მთელი წელი გაკვეთილზე წიგნი უნდა გვიკითხოს?! ეს ტიპი ან მაგარი უსაქმურია, ან რაღაცაშია საქმე. ეს გაიძვერა რაღაცას გვიპირებს. მერე ახალ სიტყვებს მოგვთხოვს ან წაკითხულის შინაარსს...

ერთმანეთს გადახედეს. ზოგმა ინსტინქტურად ფურცლები და კალამი მოიმარჯვა.

– არა, არაფრის ჩაწერა არ არის საჭირო. უბრალოდ მომისმინეთ.

თუ მხოლოდ უნდა უსმინონ, მაშინ ახალი პრობლემა ჩნდება: რა უყონ საკუთარ თავს? ხელები სად წაიღონ? რა აკეთონ? როგორ დასხდნენ, თუ კალმისა და ფურცლის ალიბიც კი წაართვეს?

– მოხერხებულად დასხედით და მოეშვით...

(რა მოვეშვით? ლადაობ?..)

ბალთებიანი „როკერი“ თავს ვერ იკავებს და ეკითხება:

– მასწI.. თქვენ რა, ამხელა წიგნი კლასში ხმამაღლა უნდა წაგიკითხოთ?! - ჩემთვის ჩუმიად წავიკითხავდი, მაგრამ ვერ გაიგებ...

ჩუმი სიცილი.

ახალგაზრდა „სიცილიელი ქვრივის“ გულის მოგება განა ასე ადვილია?! ისეთ ხმაზე ჩაილაპარაკა, რომ ყველას გაეგო:

– ეგ ასაკი უკვე გავიარეთ.

გავრცელებული აზრია, განსაკუთრებით იმათ შორის, ვისაც ხმამაღლა კითხვის სიამოვნება არ გამოუცდია. სხვებმა კი იციან, რომ ამ სიამოვნებას ასაკი არ აქვს.

– თუ ათ წუთში ისევ ჩათვლი, რომ ეგ ასაკი გაიარე, ხელი ასწიე და სხვა საკითხზე გადავიდეთ, კარგი?

- რა წიგნია? - კითხულობს „ბერლინგტონი“ კითხვაში დაბერებული კაცის ტონით.

- რომანია.

- რაზეა?

- რთული სათქმელია. წაკითხვა ჯობს. კარგი! მოვრჩეთ ლაპარაკს და კითხვას შევუდგეთ. უსმენენ... ცოტა სკეპტიკურად, მაგრამ მაინც უსმენენ.

– თავი პირველი:

„მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთში ცხოვრობდა კაცი, რომელიც გენიალური და საზიზღარი ადამიანებით სავსე ეპოქაში ერთ-ერთი ყველაზე გენიალური და საზიზღარი იყო...“

CL...)

„ეს ის დრო იყო, როცა ჩვენთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის, წარმოუდგენელი სიმყრალე სუფევდა ქალაქებში. ქუჩები ყარდა ნაკელით, ეზოები - შარდით, სადარბაზოები - დაობებული ხით და ვირთხის ცურვლით, სამზარეულოები - დამპალი კომბოსტოთი და თხის ქონით. გაუნიავებელი სასტუმრო ოთახები - აქოთებული მტვრის, სამინებლები - გაზინთული ზეწრების, ნესტიანი საბნებისა და ღამის ქოთნების ცხვირში საცემი მოტკბო სუნით ყარდა. ბუხრებიდან გოგირდის სუნი გამოდიოდა, სათრიმლავეებიდან - მწვავე ტუტეების, სასაკლაოებიდან - შედედებული სისხლისა. ადამიანები ოფლისა და გაურეცხავი ტანსაცმლის სუნად ყარდნენ. პირიდან ჩამპალი კბილების სიმყრალე ამოსდიოდათ, კუჭიდან - ხახვისა. სხეულზე, თუკი აღარც ისე ახალგაზრდები იყვნენ, ძველი ყველის, აჭრილი რძისა და ჩირქოვანი სიმსივნეების სუნი ასდიოდათ. ყარდა მდინარეები, მოედნები, ეკლესიები, სიმყრალე იდგა ხიდებქვეშ და სასახლეებშიც. გლეხი ისევე ყარდა, როგორც მღვდელი, ხელოსნის შეგირდი კი ისევე, როგორც ხელოსნის ცოლი. მთელი თავადაზნაურობა ყარდა, მეფეც კი ნადირივით ყარდა და დედოფალს ზამთარ-ზაფხულ ბებერი თხის სუნი უდიოდა“.

გმადლობთ, ძვირფასო ზიუსკინდ! თქვენი წიგნი, მართალია, ნესტოებს აღიზიანებს, მაგრამ სასერიო ამბავს კი გვიყვება. მერწმუნეთ, თქვენს „სუნამოს“ ჯერ არასდროს ჰყოლია ისეთი ერთგული მკითხველი, როგორც ეს ოცდათხუთმეტი ახალგაზრდაა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ყველაზე ნაკლებად იყვნენ განწყობილი თქვენს წასაკითხად. ზუსტად ათ წუთში „სიცილიელმა ქვრივმა“ დარწმუნებით განაცხადა, რომ თქვენ მისი ტოლი იყავით. ცოტა გულისამაჩუყებელიც კი იყო, როცა იგი თავს იკავებდა, რომ თავისი სიცილით საჯარო კითხვისთვის ხელი არ შეეშალა და თქვენი ლიტერატურული ღირსება არ შეელახა. „ბერლინგტონი“ ფართოდ გახელილი თვალებით მთლად სმენად გადაქცეულიყო და თავის მეგობრებს, რომლებიც ხმამაღლა ხარხარებდნენ, „ჩუ, ბიჭო, მოკეტეო!“ ეძახდა. სადღაც ოცდამეთორმეტე გვერდზე, სადაც თქვენ ჟან-ბატისტ გრენუის, რომელიც უკვე მაძამ გაიართან იყო, სამალავში ჩასაფრებულ ტკიპას ადარებთ (ხომ გახსოვთ? „მარტოსული ტკიპა, რომელიც ხეზე ზის, ბრმა, ყრუ, მუნჯი და წლობით მხოლოდ ყნოსავს და რამდენიმე მილის იქით შეიგრძნობს ცხოველების სისხლს...“ აი, ზუსტად მანდ, სადაც ჩვენ პირველად ჩავღრმავდით ჟან-ბატისტ გრენუის სამყაროს აშმორებულ, ნესტიან სიღრმეებში, ბალთებიანმა „როკერმა“ დაიძინა; ჩამოდო თავი მკლავებზე და ფშვინვა ამოუშვა. არა, არა, არ გააღვიძოთ! რა ჯობია ძილისპირულის სმენაში ჩაძინებას. ეს ხომ წიგნის კითხვის ერთ-ერთი მთავარი სიამოვნებაა. მერხზე ჩამოყვინთული „როკერი“ პატარა და მიამიტ ბავშვს ჰგავდა. როცა ზარის ხმამ გააღვიძა, წამოხტა და იყვირა:

- ფუ, შენი! ყველაფერი გავმაზე! რაო, რა მოხდა გაიართან?

თქვენც დიდი მადლობა, ბატონებო მარკეს, კალვინო, სტივენსონ, დოსტოევსკი, საკი, ამადუ, გარი, ფანტი, დალი, რომე, ცოცხალნო და აწ გარდაცვლილნო! ცოტა ხანში ამ ოცდათხუთმეტი ჭირვეული მკითხველისგან არც ერთი აღარ ელოდებოდა შემდეგ გაკვეთილს,

რომ მასწავლებელს ამბავი გაეგრძელებინა. ეცნენ და თვითონ წაიკითხეს. მართალია! რატომ უნდა გადადო შემდეგი კვირისთვის სიამოვნება, როცა შეიძლება ის ამ საღამოსვე მიიღო?

- ვინ არის ეს ზიუსკინდი?

- ცოცხალია?

- სხვა რა აქვს დაწერილი?

- „სუნამო“ ფრანგულ ენაზეა დაწერილი? ფრანგულს ჰგავს! (გმადლობთ, გმადლობთ, ბატონო ლორტოლარი, ქალბატონო და ბატონო მთარგმნელებო, 50-იანი წლების გამოჩენილო სპეციალისტებო, გმადლობთ!)

რამდენიმე კვირაში კი...

- რა მაგარია „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკები“, მასწ! და „მარტოობის ასი წელიწადი“ რაზეა?

- აუ, ფანტი, მასწ, ფანტი! „ჩემი შტერი ძაღლი“ რა ლადაობაა, არა?

- და „ცხოვრება წინაა“ აჟარის... რა ქვია? გარი... მაგარია!

— როაღდ დალი ხო გლიჯავს! აზრზე ხარ, ნაშამ საყვარელს ცხვრის გაყინული ბარკალი ჩაარტყა თავში და დაბრიდა. მერე ადგა და ეს ბარკალი, ანუ მკვლელობის იარაღი, „ძაღლებს“ აჭამა. მაგარი წიგნია! მაგრა მევასა!

არა უშავს, არა უშავს! ლიტერატურულ გემოვნებას ჯერ დახვეწა აკლია, მაგრამ ეგ არაფერია... დრო უნდა და თავისით მოვა... დაანებეთ თავი, მთავარია, იკითხონ, იკითხონ და ყველაფერი თავისით მოვა...

- პრინციპში, მასწ, „გაორებული ვიკონტი“, „დოქტორი ჯეკილი და მისტერ ჰაიდი“ და „დორიან გრეის პორტრეტი“ დაახლოებით ერთსა და იმავეზეა: სიკეთესა და ბოროტებაზე, გაორებაზე, სინდისზე, ცდუნებაზე, საზოგადოებრივ მორალზე და ეგეთ რამეებზე, არა?

- კი, კი...

- რასკოლნიკოვზე შეიძლება ითქვას, რომ რომანტიკული პერსონაჟია?

აი, ხომ ხედავთ... უკვე მოდის.

და მაინც არავითარი საოცრება არ მომხდარა. პედაგოგის დამსახურება ამ ყველაფერში მინიმალური იყო. აღმოჩნდა, რომ კითხვის სიამოვნება არ დავიწყებიათ, უბრალოდ იგი ამდენ ხანს ძველი, ძვალსა და რბილში გამჯდარი შიშის ტყვეობაში იმყოფებოდა. ამ შიშს წაკითხული წიგნის ვერგაგების შიში ერქვა.

ნელ-ნელა იხსენებდნენ, რა იყო წიგნი და რა შეეძლო მას მოეცა. რომანი ხომ უპირველეს ყოვლისა ამბავს გვიყვება, ამიტომ იგი ისე უნდა წაიკითხო, როგორც უბრალო რომანი და ამით ამბის გაგების წყურვილი მოიკლა.

სწორედ ამ დაუოკებელმა სურვილმა მიაჯაყვა ისინი ტელევიზორს, რომელშიც დღედაღამ მულტფილმებს, სერიალებს და ტრილერებს უჩვენებენ, ამ ერთსა და იმავე გაცვეთილ სტერეოტიპებს. ამ ფანტაზიების ყოველდღიური რაციონის ამარადა იყვნენ, საბრალონი, დარჩენილნი. ამით ისე იტენიდნენ თავს, როგორც მშვიერი კაცი იყრის მუცელში ყველაფერს, რაც ხელში მოხვდება. ასეთმა კვებამ შეიძლება იმწუთას შიმშილის გრძნობა მოგიკლას, მაგრამ დიდი ხნით ვერ დაგანაყრებს. ამ ყველაფერს ერთ წამში ინელებ და მერე... ისევ

ძველებურად გშია.

„სუნამოს“ საჯარო კითხვით მათ ზიუსკინდი აღმოაჩინეს. ერთია კარგად მოთხრობილი ამბავი, უცნაური ისტორია, მაგრამ სულ სხვაა ხმა (მოგვიანებით თემებში ისინი ამ ხმას „ავტორისეულ სტილს“ დაარქმევენ). ეს არის ავტორის მიერ მოყოლილი ამბავი.

- აუ, რა დასაწყისია, მასწ: „ოთახები ყარდა... ხალხი ყარდა... მდინარეები ყარდა, მოედნები ყარდა, ეკლესიები ყარდა... მეფე ყარდა...“ გვასწავლეს, გამეორება არ შეიძლებაო! ამას კიდევ რა მაგარი გამოუვიდა, არა?

დიახ, მოყოლის ბედნიერებას სტილის მომხიბვლელი დაემატა. აი, ბოლო გვერდიც ჩავათავეთ, მაგრამ მოთხრობელის ხმა ისევ ექოდ ჩაგვესმის. მოგვიანებით აღმოაჩინეს, რომ ზიუსკინდის სტილი, თარგმანისა და მასწავლებლის ხმის ორმაგი ფილტრის მიუხედავად, სულ არ ჰგავს მარკესის („ეგრევე მიხვდები!“ ან თუნდაც კალვინოს სტილს. უცნაურია, სტერეოტიპები მთელ მსოფლიოში ერთ ენაზე მეტყველებენ, ზიუსკინდი, მარკესი და კალვინო კი საკუთარ ენაზე ლაპარაკს ახერხებენ. ისინი მხოლოდ მე მომმართავენ, მხოლოდ ჩემთვის ყვებიან, მხოლოდ ჩემთვის, „სიცილიელი ქვრივისთვის“, ჩემთვის, უმოტოციკლო „ბაიკერისთვის“, ჩემთვის, ბალთებიანი „როკერისთვის“, ჩემთვის, „ბერლინგტონისთვის“ და მეც აღარ მერევა ისინი ერთმანეთში და უკვე შემძლია ის ამოვირჩიო, რომელიც ყველაზე მეტად მომწონს.

„გაივლის წლები და დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იმ შორეულ საღამოს გაიხსენებს, მამამისმა ყინულის სანახავად რომ წაიყვანა პირველად. მაკონდო მაშინ ერთი პატარა სოფელი იყო: თიხისა და ლერწმისაგან

შეკოწიწებული ოციოდე ქოხი ჩაედგათ მდინარის პირას, რომლის გამჭვირვალე ტალღებიც თავდაუზოგავად მიექანებოდნენ პრეისტორიული კვერცხებივით უზარმაზარი ქვების თეთრსა და კრიალა სარეცელზე“.

- ზეპირად ვიცი „მარტოობის ასი წელიწადის“ დასაწყისი. აი ქვებზე რომ წერს: „პრეისტორიული კვერცხებივით უზარმაზარი ქვები“...

(გმადლობთ, ბატონო მარკეს! თქვენი წყალობით დამკვიდრდა ტრადიცია, რომელიც მთელ წელს გრძელდებოდა: რომანის პირველი ფრაზის ან საყვარელი პასაჟის ზეპირად სწავლა).

- მე კიდევ „ადოლფის“ დასაწყისზე ვგიჟდები. რიდზე რომაა, გახსოვთ? „ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ მამაჩემი თავის შვილთანაც კი ასეთი მორიდებული იქნებოდა. ის ისეთი მკაცრი იყო, რომ ვერასდროს ვბედავდი მისდამი სიყვარულის გამოვლენას. ის კი ამას თურმე ძალიან განიცდიდა და თვალცრემლიანი ამბობდა, რომ არ მიყვარდა“.

- ზუსტად მე და მამაჩემი ვართ!

ადრე, დახურული წიგნის შემხედვარე, ისინი თითქოს საკუთარ თავში იკეტებოდნენ. როგორც კი ხელში წიგნი აიღეს, ცხოვრებაშიც ისევე ლაღად და თავისუფლად გაცურეს, როგორც მის გადაშლილ გვერდებში. რა თქმა უნდა, ამ შერიგებაში დიდი როლი ითამაშა მასწავლებელმა. მან ისინი ტექსტის გაშიფვრის აუცილებლობისგან იხსნა, გარკვეული ეპიზოდების გაგებაში დაეხმარა, დეკორაციები განალაგა, პერსონაჟებს ხორცი შეასხა, თემები გამოკვეთა, დეტალებს ხაზი გაუსვა. მისი ფუნქცია ფოტოების გამჟღავნებას ჰგავდა და მან ეს როლი ბრწყინვალედ შეასრულა.

მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ მასწავლებლის ხმა უკვე ხელს უშლიდათ, რადგან მოსმენის სიხარულს უფრო ნატიფი სიამოვნება ჩაენაცვლა.

- თქვენ რომ გვიკითხავთ, მასწ, ძალიან კარგია, მაგრამ არ დაგიმაღავთ, რომ მიყვარს მერე წიგნთან მარტო დარჩენა.

ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მასწავლებლის ხმამ, ამ უსასყიდლოდ ბოძებულმა ძღვენმა, მწიგნობრობის გემო მაგრძნობინა და ამით ჩემში მიძინებული ალქიმიკოსი გააღვიძა, ის ალქიმიკოსი, რომელმაც ათიოდ წლის წინ, თავისდა გასაკვირად, აღმოაჩინა, რომ ფურცელზე დაწერილმა „დედამ“ შეიძლება ისევე გაგაბედნიეროს, როგორც ნამდვილმა.

ლიტერატურის ჭეშმარიტი ბედნიერება კი ამ უცნაურ სიახლოვეშია: მე და ავტორი... იმის შეგრძნებაში, რომ მისი მუნჯი ასოებისთვის სიცოცხლის შთაბერვა მხოლოდ ჩემს ხმას და ჩემს წარმოსახვას შეუძლია.

მასწავლებლის როლი კი ამ ყველაფერში შუამავლის როლს ჰგავს. და აი მისი ფეხაკრეფით გაპარვის დროც დადგა.

თუ გვინდა, რომ ახალგაზრდები წიგნთან შევარიგოთ, ვერგაგების აკვიატებულ შიშთან ერთად კიდევ ერთი ფობიის დაძლევაში უნდა მივხედოთ: კითხვის ხანგრძლივობის. ისინი ხომ სქელ წიგნს ისე უყურებენ, როგორც დაუსრულებელ საფრთხეს!

როდესაც მასწავლებელმა პირველად ამოიღო ჩანტიდან „სუნამო“, ბავშვებმა წიგნს ისე შეხედეს, როგორც მათ თვალწინ აღმართულ აისბერგს! (აღსანიშნავია, რომ მასწავლებელმა განგებ აარჩია გამომცემლობა „ფაიარის“ წიგნი, დიდი შრიფტით და ფართო არეებით, მოკლედ, წიგნი, რომელიც კითხვის ფობიით შეპყრობილი ამ ახალგაზრდებისთვის წამებით სიკვდილს ნიშნავდა).

მაგრამ აი, მასწავლებელმა კითხვა დაიწყო და აისბერგმაც თვალსა და ხელს შუა წკაპაწკუპით იწყო დნობა.

დრო მიფრინავდა, წუთი წუთს მიჰყვებოდა. ერთი საათიც არ გასულა და უკვე 40 გვერდი წაიკითხეს. თუ მასწავლებელი ერთ საათში 40 გვერდს კითხულობს, ანუ ათ საათში - 400 გვერდს, ფრანგული კი კვირაში ხუთი საათი აქვთ, გამოდის, რომ ტრიმესტრში 2400 გვერდს წაიკითხავენ. ესეც შენი 7200 გვერდი წელიწადში, ანუ ათასგვერდიანი შვიდი რომანი! და ეს მხოლოდ კვირაში რაღაც ხუთი საათი კითხვით!

ამ აღმოჩენამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. გამოდის, რომ კითხვას სულაც არ სჭირდება დიდი დრო. ამ საქმეს დღეში ერთი საათი რომ დავუთმო, კვირის ბოლოს 280-გვერდიანი რომანს დავამთავრებ. და თუ დღეში ორ საათზე მეტხანს წავიკითხავ, მაშინ სამ დღეში მოვრჩები. 280 გვერდი სამ დღეში! აზრზე ხარ?! ანუ 560 გვერდი - ექვს სამუშაო დღეში. და თუ წიგნი მაგარია საუ, „ქარწალებულნი“, მასწ, ხომ მართლა მაგარია?!“), შეიძლება კვირას ოთხი საათიც დაუმატო (რატომაც არა?! „როკერის“ უბანი კვირას მაინც ძილქუშშია ჩავარდნილი, „ბერლინგტონი“ კი მშობლებს აგარაკზე მიჰყავთ, სადაც მოწყენილობისა და უსაქმურობისგან აღარ იცის, რა აკეთოს), ჰოდა, ეგეც კიდევ 160 გვერდი. მთლიანად, არც მეტი და არც ნაკლები, 720 გვერდი გამოდის!

540-იც რომ იყოს, ანუ ოცდაათი - საათში, ეგეც კარგია. ზოზინით რომ იარო, ოცით საათში, კვირაში 360 მაინც გამოგივა.

- მე კვირაში 360 გვერდს ვკითხულობ, შენ?

დაითვალეთ გვერდები, ბავშვებო, დაითვალეთ... გარწმუნებთ, მწერლებიც ასე აკეთებენ. ერთი იმათი სახე განახათ, როცა მეასე გვერდს მიაღწევენ. ასე გვერდი მწერლისთვის ჰორნის კონცხია. ამ დროს იგი თავის წარმოსახვაში შამპანურს ხსნის, ჯიგას ცეკვავს, მერე მუშა

ცხენივით ერთს დაიფრუტუნებს და ასმეერთე გვერდს ეკვეთება.

დაითვალეთ, დაითვალეთ... ჯერ წაკითხული გვერდების რაოდენობით ვტკბებით, მერე კი დგება წამი, როცა ის გვაშინებს, რომ წასაკითხი ცოტა გვრჩება. 50 გვერდილდა დამრჩა! აი ნახავთ, არაფერია ამ სევდაზე ტკბილი: „ომისა და მშვიდობის“ ორი უშველებელი ტომი... და ბოლო 50 გვერდიდაა დარჩენილი.

წელავ, წელავ, მაგრამ რას იზამ...

ნატაშა პიერ ბეზუხოვს მიჰყვება ცოლად და რომანიც სრულდება.

კი, მაგრამ აქ ჩნდება კითხვა: როდის ვიკითხო? დღის რომელ მონაკვეთში გამოვძებნო ის ერთი საათი საკითხავად? როცა მეგობრებს ვხვდები? თუ როცა ტელევიზორს ვუყურებ? როცა გზაში ვარ? დავალებებს ვაკეთებ? თუ საღამოს, როცა მთელი ოჯახი ერთად ვიკრიბებით?

რთული საკითხია.

რომელიც სინამდვილეში სულაც არ არის რთული.

როცა ამბობენ, კითხვის დრო არ მაქვსო, ეს იმას ნიშნავს, რომ კითხვის სურვილი არ აქვთ. იმიტომ რომ, თუ დავფიქრდებით, არავის აქვს კითხვის დრო. არც პატარებს, არც ახალგაზრდებს, არც დიდებს. ყოველდღიური ცხოვრება კითხვას არ გულისხმობს.

– კითხვას რა ჯობია, მაგრამ სამსახური, ბავშვები, სახლი. დრო არ მრჩება...

– როგორ მშურს თქვენი, რომ კითხვის დრო გაქვთ!

აბა რატომ ხდება, რომ ქალი, რომელიც მუშაობს, საყიდლებზე დარბის, მანქანას ატარებს, სამ კაცს ხვდება, კბილის ექიმთან დადის, მომავალ კვირას სხვა ბინაში გადასვლას აპირებს, კითხვის დროს ყოველთვის პოულობს, ეს უმანკო შინაბერა კი ვერა?

კითხვის დრო მოპარული დროა (სხვათა შორის, ისევე, როგორც წერისა და სიყვარულის დრო).

კი, მაგრამ ვის ან რას ვპარავთ ამ დროს?

მოდით, ასე ვთქვათ: ცხოვრებისეულ ვალდებულებებს.

აღბათ, შემთხვევითი არ არის, რომ მეტრო, რუტინული ცხოვრებისა და ზემოთ ხსენებული ვალდებულებების ჭეშმარიტი სიმბოლო, მსოფლიოში ყველაზე დიდი სამკითხველო დარბაზია.

კითხვა ისევე, როგორც სიყვარული, დროის შეგრძნებას აკარგვინებს ადამიანს.

წარმოიდგინეთ, რომ სიყვარულს დღის განრიგში ჩასმა სჭირდებოდა! რა გამოვიდოდა? ვის დარჩებოდა სიყვარულის დრო? გინახავთ შეყვარებული ადამიანი, რომელსაც სიყვარულისთვის დრო არ რჩება?

კითხვის დრო არასდროს მქონია, მაგრამ თუ რომანმა დამაინტერესა, ვერაფერი შემიშლის ხელს მის დამთავრებაში.

კითხვას არაფერი აქვს საერთო საზოგადოებრივი ყოფის ნორმებთან, ის, სიყვარულის მსგავსად, ცხოვრების წესია, მისი განუყოფელი ნაწილია.

საქმე ის კი არ არის, მაქვს თუ არა კითხვის დრო (ამ დროს, სხვათა შორის, ვერავინ ვერ მომცემს), არამედ ის, მივანიჭო თუ არა ჩემს თავს ბედნიერება, ვიყო მკითხველი.

ამ კითხვას „როკერი“ ყოველთვის ენამოსწრებული რეპლიკით პასუხობს: - კითხვის დრო აგერ, ჯიბეში მაქვს!

მისი ჯიბიდან ამოღებული წიგნის (ჯიმ ჰარისონის „შემოდგომის ლეგენდები“, 10X18) შემხედვარე „ბერლინგტონი“ კი ღრმააზროვანი გამომეტყველებით ამატებს:

– პიჯაკს რომ ყიდულობთ, ჯიბეებს შეხედეთ. დიდი უნდა იყოს!

50

ფრანგულ ენაში ligoter „ხელ-ფეხის შეკვრა“ ქარგონულად „კითხვას“ lire ნიშნავს. დიდ წიგნს კი აგურს ეძახიან.

შეუხსენით ახალგაზრდებს ხელ-ფეხი და მძიმე აგური ჰაერივით მსუბუქ ღრუბლად გადაიქცევა.

აი მთავარი და უცვლელი პირობა წიგნთან შესარიგებლად: არაფერი მოითხოვოთ კითხვის სანაცვლოდ. სრულიად არაფერი. არ ააშენოთ მასა და წიგნს შორის წინასიტყვაობის კედელი, არ დასვათ არანაირი შეკითხვა, არ მისცეთ დავალებები, არ დაუწყოთ ახსნა-განმარტებები, შეეშვით ლიტერატურულ ფასეულობებსა და ლექსიკის თავისებურებებზე ლაპარაკს, არ არის საჭირო არც ტექსტის ანალიზი და არც ბიოგრაფიული ცნობები... საერთოდ, დაივიწყეთ „წაკითხულის შესახებ“ საუბარი.

კითხვა საჩუქარი უნდა იყოს.

კითხვა და ლოდინი.

ცნობისმოყვარეობას ძალით ვერ გავაჩენთ, ის ფრთხილად უნდა გავაღვიძოთ.

კითხვა და მხოლოდ კითხვა! და თან ნელ-ნელა გახელილი თვალების, გაცისკროვნებული სახის, ჩვენ თვალწინ გაჩენილი კითხვის მოთმინებით ლოდინი, რომელსაც მეორე და მესამეც აუცილებლად მოჰყვება.

თუ პედაგოგი, რომელიც ჩემში ცხოვრობს, იმის გამო აღშფოთდება, რომ „ნაწარმოები კონტექსტიდანაა ამოვარდნილი“, მაშინ ხსენებულ პედაგოგს უნდა განვუმარტოთ, რომ ამწამს მნიშვნელოვანია არა ნაწარმოები თავისი კონტექსტით, არამედ კლასი.

ცოდნა ამ კლასში არ მთავრდება, იგი ამ კლასიდან იწყება!

ახლა მე ვუკითხავ რომანებს აუდიტორიას, რომელიც თვლის, რომ არ უყვარს კითხვა. და სანამ ამ დამოკიდებულებას არ შევცვლი, სანამ ჩემს შუამავლის როლს ბოლომდე არ შევასრულებ, არაფერს აზრი არ აქვს, მათ ვერაფერს ვასწავლი.

მათ წიგნებთან რომ შევარიგებ, ისინი უკვე თავისი ნებით გაივლიან გზას წიგნიდან ავტორისკენ, ავტორიდან ეპოქისკენ, წაკითხული ამბიდან მის მრავლისმთქმელ სიმბოლიკამდე.

მთავარია, მზად ვიყოთ და შეკითხვების ნიაღვარს ფეხმაგრად დავხვდეთ.

- სტივენსონი ინგლისელი იყო?

- შოტლანდიელი.

- რომელ საუკუნეში ცხოვრობდა?

- მეცხრამეტეში, დედოფალ ვიქტორიას ეპოქაში.

- ეგ დედოფალი ვიქტორია, მგონი, დიდხანს მეფობდა... - 64 წელი: 1837-იდან 1901-მდე.

- 64 წელი?!

- 13 წლის გამეფებული იყო, როცა სტივენსონი დაიბადა და დედოფლის სიკვდილამდე შვიდი წლით ადრე გარდაიცვალა. წარმოიდგინე, შენ ახლა 15 წლის ხარ და ის ტახტზე ადის; როცა მისი მეფობა დასრულდება, 79 წლის იქნები! (და ეს იმ დროს, როცა საშუალო ასაკად დაახლოებით ოცდაათი წელი ითვლებოდა). თანაც ვერ ვიტყვით, რომ ის ძალიან მხიარული

დედოფალი იყო. – აი რატომ დაიბადა ჰაიდი კოშმარიდან! ამ რეპლიკას „სიცილიელი ქვრივი“ ისვრის. „ბერლინგტონი“ გაოცებული უყურებს: - შენ საიდანღა

იცვი? „ქვრივი“ იდუმალებით მოცული სახით პასუხობს: – ვიცვი! ვიცვი! და მერე ფარული ღიმილით ამატებს: - მეტსაც გეტყვი: ეს კომმარი იღბლიანი აღმოჩნდა. როცა სტივენსონმა გაიღვიძა, თავის

კაბინეტში ჩაიკეტა და ორ დღეში დაწერა თავისი წიგნის პირველი ვერსია, რომელიც ცოლმა სასწრაფოდ დააწვევინა. მისი აზრით, სტივენსონი ზედმეტად კარგად გრძნობდა თავს ჰაიდის

ტყავში: ქურდავდა, აუპატიურებდა, ყველას ყელს სჭრიდა. სქელ დედოფალს ეს არ მოეწონებოდა. და მაშინ მან ჯეკილი გამოიგონა.

მაგრამ მხოლოდ ხმამაღლა კითხვა არ არის საკმარისი. ამას მოყოლა უნდა დაემატოს, ჩვენი მთავარი განძის გაზიარება, უმეცრების ნაპირზე ძვირფასი ქვების მომიბნევა. უსმინეთ, უსმინეთ და ნახეთ, რა მშვენიერი ამბავია!

ყველაზე მეტად კითხვის სურვილი ადამიანში მაშინ იღვიძებს, როცა კარგი წიგნის მადისაღმძვრელი სუნი ეცემა.

ჟორჟ პეროტი აღფრთოვანებული სტუდენტი ამბობდა:

– ის მხოლოდ კითხვით არ შემოიფარგლებოდა. ის გვიყვებოდა! გვიყვებოდა „დონ კიხოტზე“, „მადამ ბოვარიზე“! მისი მონათხრობი უბრალოდ შინაარსის გადმოცემა კი არ იყო, არამედ კრიტიკული აზროვნების კლასიკური მაგალითი. ამ ყველაფერს მარტივად, გასაგებად გვიხსნიდა, ისე გვიყვებოდა, როგორც უბრალო ამბებს. მის მიერ დახატული სანჩო სიცოცხლით სავსე ტიკი იყო, მწუხარე სახის რაინდი კი მტანჯველი და ურყევი რწმენით შეიარაღებული აწონილი ძვლების ასხმა! ემა, რომელზეც ის გვიყვებოდა, „ძველი ბიბლიოთეკების მტვრით“ დასნებოვნებული ქარაფშუტა ქალი კი არ იყო, არამედ მფეთქავი ძარღვი, ულვეი ენერგიით დამუხტული ადამიანი. პეროს მონათხრობში ფლობერის ხმა ისმოდა, რომელიც გულში ხითხითებდა ამ დაუჯერებელ გაუგებრობაზე.

ძვირფასო ბიბლიოთეკარებო, ტაძრის მცველებო, რა ბედნიერებაა, რომ მსოფლიოს ყველა შედეგზე თქვენი გონების ცალკეულ უჯრედში საშვილიშვილოდ პოვა ადგილი (არც კი ვიცი, რა მეშველებოდა უთქვენოდ ჩემი გავერანებულ-გაპარტახებული მეხსიერებით!). საოცარია, რომ საკუთარი ხუთი თითივით იცით ყველა ის წიგნი, რომლებიც თემების მიხედვით ჩაწიკწიკებული აწყვია თაროებზე; მაგრამ ნამდვილი საოცრება ის იქნებოდა, წიგნების ლაბირინთში გზააბნეულ მკითხველებს თქვენს საყვარელ რომანებს რომ უყვებოდეთ კიდევ, მთხრობელები, ანუ ჯადოქრები, რომ გამხდარიყავით. მაშინ წიგნები თავისით ისკუპებდნენ თაროებიდან და პირდაპირ ხელში ჩაუხტებოდნენ მკითხველებს.

საყვარელი რომანის მოყოლა ხომ ძალიან ადვილია! ხანდახან სამი სიტყვაც კი საკმარისია!

ბავშვობის მოგონებები: ზაფხულია, შუადღის დასვენების დროა. ლოგინზე პირქვე გართხმულ უფროს ძმას ნიკაპი ხელისგულზე ჩამოუდვია და „ჯიბის წიგნის“ გამოცემის უშველებელ წიგნს კითხულობს. უმცროსი ძმა აბეზარი ბუზივით თავზე დასტრიალებს:

– რას კითხულობ?

უფროსი ძმა: „მუსონს“.

უმცროსი ძმა: კარგია? უფროსი ძმა: მაგარი! უმცროსი ძმა: რაზეა?

უფროსი ძმა: ერთ ტიპზე, რომელიც ჯერ ძაან ბევრ ვისკის სვამდა და მერე - ძაან ბევრ წყალს!

ეს საკმარისი გახდა იმისთვის, რომ იმ ზაფხულს ხელიდან არ გამეგდო ბატონი ლუის ბრომფილდის „მუსონი“, რომელიც ჩემს ძმას ავწაპნე: თვითონ ეს წიგნი ბოლომდე ვედარ წაიკითხა.

ეს ყველაფერი კარგი, ზიუსკინდი, სტივენსონი, მარკესი, დოსტოევსკი, ფანტი, ჩესტერ ჰაიმსი, ლაგერლეფი, კალვინო, ერთმანეთის მიყოლებით სიამოვნებით წაკითხული ყველა ეს რომანი, საკუთარი სიტყვებით გადმოცემული ყველა ეს ამბავი, ეს უსაზღვრო დღესასწაული: კითხვა კითხვისთვის... მაგრამ პროგრამას რა ვუყოთ?! ღმერთო ჩემო, პროგრამა! კვირა კვირას მიჰყვება, პროგრამა კი არც დაგვიწყია. სასწავლო წლის მთავარი საფრთხე ხომ დაუმთავრებელი პროგრამაა...

პანიკის გარეშე! ყველაფერს თავისი დრო აქვს: პროგრამა არსად გაგვექცევა.

„როკერის“ მოლოდინის მიუხედავად, მასწავლებელი არ აპირებს, მთელი წელი წიგნების კითხვაში გაატაროს. აფსუს! ასე მალე რატომ გაიღვიძა წიგნთან პირისპირ დარჩენის სურვილმა? დაწყებული არ ჰქონდა მასწავლებელს კითხვა, რომ მოსწავლეები უკვე ბიბლიოთეკაში გარბოდნენ, რათა საკუთარი თავისთვის „გაგრძელების“ სიამოვნება ეჩუქებინათ. შემდეგ გაკვეთილამდე ვინ დაიცდიდა! ორისამი ეპიზოდის მოყოლა საკმარისი იყო, რომ მთელ კლასს ერთხმად ეყვირა: „აუ, მასწ, არ მოყვეთ რა, როგორ მთავრდება!“, რათა თვითონ წაეკითხათ ის წიგნი, საიდანაც ეს ეპიზოდები იყო ამოკრეფილი.

(ამ ერთსულოვნებით პედაგოგი არ უნდა მოტყუვდეს და არ უნდა იფიქროს, რომ ჯადოსნური ჯოხის ერთი მოქნევით კითხვის მოშიში საზოგადოება კითხვაზე შეყვარებულად გადააქცია. ფაქტია, რომ წლის დასაწყისში ყველა მონდომებით კითხულობს, შიში დამლეულია, ენთუზიაზმით და კონკურენციის ჟინით შეპყრობილი კლასი წიგნს ხელიდან არ უშვებს. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ზოგი იმიტომაც კითხულობს, რომ მასწავლებელს მოაწონოს თავი. მან კი კარგად იცის, რომ არ უნდა მოეშვას, რადგან არაფერი ნელდება ისე სწრაფად, როგორც უეცრად ანთებული ცეცხლი, ამის გამოცდილება არაერთხელ ჰქონია. თუმცა მანამდე წიგნმა მთელი კლასი გააერთიანა. ამის მიზეზი კი ის ლიტერატურული კოქტეილია, ყოველ ჯერზე განსხვავებული, რომელმაც მოსწავლეები ისეთი ნდობით განმსჭვალა, რომ ერთ მთლიან ორგანიზმად აქცია, თუმცა მასში ოცდათხუთმეტივე ინდივიდუალურობა შენარჩუნებულია. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამიერიდან ყველას „ყვარება კითხვა“. არა, კითხვის სიყვარული შეიძლება ბევრმა სხვა სიამოვნებამ გადაწონოს. მაგრამ ახლა, ამ პირველ კვირებში, კითხვა - ეს ყბადაღებული „კითხვის აქტი“! - გულს აღარავის უხეთქავს, ისინი კითხულობენ და ბევრი საკმაოდ სწრაფადაც).

მაშ რა ნახეს ამ წიგნებში ისეთი, რომ ხელიდან აღარ უშვებენ? ადვილი საკითხავია?! რას ნიშნავს „ადვილი საკითხავია“? „საგა იოსტა ბერლინგზე“ ადვილი წასაკითხია? „დანაშაული და სასჯელი?“ უფრო ადვილია, ვიდრე „უცხო“ და „წითელი და შავი“? არა, აქ მთავარი ისაა, რომ ეს არასაპროგრამო წიგნებია, რაც „სიცილიელი ქვრივის“ თანაკლასელებისთვის მთავარი კრიტერიუმია. ამ ახალგაზრდებისთვის ხომ ყველაფერი, რაც განათლების სამინისტრომ მათი კულტურული განვითარებისთვის დაადგინა, „ბანძობაა“ და მეტი არაფერი. საწყალი პროგრამა!

ისე სიმართლე უნდა ითქვას, პროგრამა სულაც არაა ცუდი (რაბლე, მონტენი, ლაბრიუიერი, მონტესკიე, ვერლენი, ფლობერი, კამიუ „ბანძობაა“? ხუმრობ?!..). ეს ისევ შიში ალაპარაკებთ, ვერგაგების, არასწორად გაცემული პასუხის, გვერდზე მყოფის კრიტიკის, გაუგებარი, ჩახვეულ-ჩახუჭუჭებული კლასიკური ფრანგული ენის შიში, რომელიც სტრიქონებს ბინდავს, ფრაზების ნიაღვარში ახრჩობს აზრს.

„ბერლინგტონი“ და „ბაიკერი“ გაკვირვებას ვერ მალავენ, როცა იგებენ, რომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“, რომელიც ლამის ზეპირად იციან, მათი

ამერიკელი თანატოლების მთავარი სატანჯველი და თავისტკივილია... ერთი მიზეზით: ის საპროგრამო მასალაა, ანუ სავალდებულოდ წასაკითხი წიგნია. ასე რომ, გამორიცხული არ არის, ვინმე ტეხასელი „ბაიკერი“ ამწუთას მერხის ქვეშ ჩუმად „მადამ ბოვარის“ კითხულობდეს, თუმცა ლიტერატურის მასწავლებელი სელინჯერით უბურდავს ტვინს.

აქ (ცოტა ხნით ფრჩხილები გავხსნათ) საუბარში „სიცილიელი ქვრივი“ ერთვება:

- გამორიცხულია, მასწ! ტეხასელები წიგნებს არ კითხულობენ!

- ჰო? შენ რა იცი?

- „დალასიდან“. გინახავთ, „დალასის“ რომელიმე პერსონაჟი წიგნს კითხულობდეს? (დავხურეთ ფრჩხილები.)

ერთი სიტყვით, წიგნის სტიქიაში ლივლივით, უპასპორტოდ უცხოურ ლიტერატურულ შედეგებში მოგზაურობით (ძირითადად უცხოურ, იმიტომ რომ ყველა ამ ინგლისელს, იტალიელს, რუსს, ამერიკელს ერთი საერთო ხიბლი ჰქონდათ: ისინი პროგრამაში არ შედიოდნენ), ზოგადად კითხვასთან შერიგებით მოსწავლეები ნელ-ნელა, კონცენტრული წრეებით აუცილებლად წასაკითხ წიგნებს უახლოვდებოდნენ. უახლოვდებოდნენ და მერე პირდაპირ თავით ეშვებოდნენ, რადგან აღმოჩნდა, რომ „კლევის პრინცესა“ „ჩვეულებრივი რომანი“ იყო... (და შეიძლება სხვებზე უკეთესიც კი, რადგან იგი იმედგაცრუებულ სიყვარულზე მოგვითხრობდა, ეს კი ძალიან ნაცნობი და ახლობელი იყო ამ ახალგაზრდა თაობისათვის, რომელსაც ნაჩქარევად მივაწებეთ სამომხმარებლო საზოგადოების მიერ გამოუსწორებლად გარყვნილის იარლიყი).

ძვირფასო მადამ ლაფაიეტ,

თუ გაინტერესებთ, გაცნობებთ, რომ ვიცი ერთი „არცთუ ძალიან ნაკითხი“ და საერთოდ საკმაოდ „სუსტი“ კლასი, რომელშიც თქვენი „კლევის პრინცესა“, აგერ უკვე ერთი წელია, წაკითხული წიგნების „ჰიტ-პარადის“ სათავეშია მოქცეული.

ასე რომ, პროგრამა დაძლეული იქნება: თემის წერის ტექნიკა, ტექსტის ანალიზი (ჯერ მარტო ცხრილები რად ღირს!), ვრცელი კომენტარები, მოკლე შინაარსები, დისკუსიები - ყველაფერი სათანადოდ დამუშავდება, რათა კომპეტენტური ინსტანციები გამოცდის დღეს დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ გასართობად კი არ ვკითხულობდით, არამედ ყველაფერი კარგად გავიგეთ, ბოლომდე ჩავწვდით და სათანადოდ გავაცნობიერეთ.

და რა გავიგეთ ბოლოს და ბოლოს (ეს არის მთავარი შეკითხვა!): ტექსტი? კი, კი, რა თქმა უნდა... მაგრამ მთავარი მაინც სხვაა. გავიგეთ, რომ კითხვის შიშის დაძლევის შემდეგ წიგნის დანახვაზე ელეთმელეთი აღარ გვემართება, აღარ გვეშინია, რომ რამეს ვერ გავიგებთ, ამიტომ აზრის გაგების მცდელობა უკვე სიამოვნებად იქცა: რაც მეტია მცდელობა, მით მეტია სიამოვნება, სიამოვნება კი, თავის მხრივ, ცეცხლივით მგზნებარე მცდელობასთან განმარტობას გვპირდება.

და აი გულში ეშმაკურად გველიმება, იმიტომ რომ კიდევ ერთი რამ ვისწავლეთ: როგორ უნდა ვილაპარაკოთ. საუბრის ხელოვნებას დავეუფლეთ, რაც გამოცდებსა და კონკურსებზე ყველაზე მეტად ფასობს. რა დასამალია და სწორედ ეს იყო ამ ოპერაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი. გამოცდებზე, გასაუბრებებზე და დასაქმების სფეროში მთავარი, რაც უნდა „გავიგოთ“, არის ის, რას ელიან ჩვენგან. წიგნის კითხვის დროსაც ხომ ის უნდა „გავიგოთ“, როგორ უნდა მოვყვეთ საინტერესოდ. სწორედ ამას კითხულობს ახალგაზრდა კანდიდატი გამომცდელის სახეზე, როცა რთული ალექსანდრიული ლექსის თავისებურ ინტერპრეტაციას (ოღონდ არა ზედმეტად თამამ

ვერსიას) სთავაზობს (კმაყოფილი სახე აქვს, სწორ გზაზე ვდგავარ, მგონი, ჩათვლა გარანტირებული მაქვს“).

ლიტერატურა, როგორც საგანი, ტექსტის გაგებასთან ერთად სტრატეგიასაც გვასწავლის. ამიტომ „სუსტ მოსწავლეში“ ძალიან ხშირად იმ ბავშვს ვგულისხმობთ, რომელსაც ტაქტიკური გათვლები უჭირს. ამ საბრალოს კი, დაფეთებულს იმის გამო, რომ მოლოდინს ვერ ამართლებს, ხშირად ერთი დიდი შეცდომა მოსდის: ლიტერატურას, როგორც საგანს, ზოგადად კულტურასთან აიგივებს. სკოლისგან დაწუნებული, ის მალე საკუთარ თავს კითხვის სამყაროდან განდევნილადაც აცხადებს. ის ფიქრობს, რომ „კითხვა“ ელიტარული აქტია, გამორჩეულთა ხვედრი, ის კი, მისი აზრით, მათ არ მიეკუთვნება. და მხოლოდ იმის გამო, რომ ოდესღაც რაღაც კითხვაზე სწორად ვერ გასცა პასუხი, მთელი ცხოვრება წიგნის კითხვის სიამოვნებაზე უარს აცხადებს.

როგორც ჩანს, კიდევ რაღაც დაგვრჩა „გასაგები“.

ის დაგვრჩა „გასაგები“, რომ წიგნები იმიტომ კი არ დაიწერა, რომ ჩემმა ბიყმა, ჩემმა გოგომ, ახალგაზრდებმა მათზე ილაპარაკონ, არამედ იმიტომ, რომ წაიკითხონ, თუ რა თქმა უნდა, ამის სურვილი ექნებათ.

ჩვენი სწავლა-განათლება, კარიერა, საზოგადოებრივი ცხოვრება ცალკე საკითხია. სულ სხვა რამაა ჩვენი პირადი ურთიერთობა წიგნთან, დამოკიდებულება კითხვასთან და ზოგადად კულტურასთან. უდავოდ მისასალმებელია ბაკალავრების, ლიცენზირებული და დიპლომირებული სპეციალისტების გამოშვება, საზოგადოებაში ამაზე, რა თქმა უნდა, არის მოთხოვნილება, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია თითოეულისთვის წიგნის კარის გაღება, მის სამყაროში შებიჯება.

სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების მთელი სასწავლო პროცესი მხოლოდ ძალდატანებითი და თავსმოხვეული ანალიზისა და კომენტარებისაგან შედგება, რომლებიც მათ ისე სძულთ და აშინებთ, რომ წიგნისკენ გახედვის სურვილსაც კი უკარგავთ. მეოცე საუკუნის ბოლომ საქმე კიდევ უფრო დაამძიმა. კომენტარმა დაიპყრო ყველა სფერო. ამით ისე გავერთეთ, რომ ხშირად კომენტარების საგანიც კი გვავიწყდება. ამ გულისგამაწვრილებელ ბუტბუტს ჩვენში ყოვლად უაზრო სახელი ჰქვია: ინფორმაცია...

ახალგაზრდებთან ლიტერატურულ ძეგლებზე საუბარი, მათი მსჯელობის მოსმენა ძალიან საჭირო და სასარგებლო საქმეა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია წიგნი, რომელსაც ისინი კითხულობენ, ხოლო კითხვის პროცესში მათი უპირველესი უფლება ჩუმად ყოფნის

უფლებაა.

სასწავლო წლის დასაწყისში ჩემს მოსწავლეებს ხშირად ასეთ დავალებას ვაძლევ ხოლმე: მოდით, ამიწერეთ ბიბლიოთეკა, ოღონდ საჯარო ბიბლიოთეკა კი არა, თქვენი ოჯახის. ისინი

აღწერენ რაღაც ვეებერთელა, ურღვევ კედელს, ცოდნის თვალშეუვალ კლდეს, რომელთან მიახლოებაც კი აშინებს ადამიანს.

- ახლა მოდით მკითხველი ამიწერეთ. - ნამდვილი მკითხველი?

- იყოს ნამდვილი, თუმცა, სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, რა განსხვავებაა ნამდვილ და არანამდვილ მკითხველს შორის.

ყველაზე მოწიწებულნი აღწერენ მამა ღმერთს, წარღვნამდელ განდეგილს, რომელიც მრავალი საუკუნე იყო წიგნების გორაზე „დაყუდებული“, საიდანაც იქამდე სწოვდა აზრს, სანამ ამქვეყნად ყველაფერს სრულად არ ჩასწვდა. სხვები ღრმა აუტიზმში ჩავარდნილ ადამიანს ხატავენ, რომელმაც კითხვის მეტი არაფერი იცის და ცხოვრების ყველა კარს შუბლით ასკდება. მესამენი აღწერენ, როგორი არ არის ნამდვილი მკითხველი: ის არ არის სპორტული, არ არის ცოცხალი, მხიარული, არ უყვარს „ქეიფი“ და „ზმანი“, არ აინტერესებს მანქანა, ტელევიზორი, მუსიკა და მეგობრები... და ბოლოს არიან „სტრატეგები“, რომლებიც მასწავლებლის წინაშე ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით იწყებენ პასუხისმგებლობით აღჭურვილი მკითხველის ძერწვას: ეს არის ადამიანი, რომელსაც სრულად აქვს გაცნობიერებული, რარიგ დიდი და სასიკეთო გავლენა შეიძლება მოახდინოს წიგნებმა მის მომავალ განვითარებაზე. არიან ისეთებიც, რომლებიც აღწერის დროს ყველა ამ კატეგორიას ერთმანეთში ურევენ, მაგრამ არავინ, ვიმეორებ, არავინ არ აღწერს საკუთარ თავს ან თავისი ოჯახის წევრს, ან თუნდაც იმ ჩვეულებრივ მკითხველს, რომელსაც ყოველდღე მეტროში ვხვდებით.

მაგრამ ამას კიდევ არა უშავს. აი როცა მათ „წიგნის“ აღწერას ვთხოვ, კლასში თითქოს მფრინავი თეფში ჩნდება. ეს ამოუცნობი, გასაიდუმლოებული ობიექტია, რომლის აღწერაც კი შეუძლებელია, იმდენად მარტივია მისი ფორმა და ყოვლისმომცველი - მისი შინაარსი. ეს „უცხო სხეულია“, რომელიც ყველა შესაძლებლობასა და ყველა საფრთხეს შეიცავს, წმინდა საგანი, რომელიც რიტუალის სრული დაცვით ბიბლიოთეკების თაროებზეა დაბრძანებული, სადაც მას მზერადაბინდული თაყვანისმცემლების მთელი სექტა ეთაყვანება.

წმინდა გრაალი! კარგი.

მოდით ვცადოთ წიგნის კულტის დამსხვრევა, რომლის შექმნაშიც, უნდა ითქვას, ჩვენც

მიგვიძღვის წვლილი. დავანახვოთ მათ წიგნის ნამდვილი სახე და ის, თუ როგორ ვექცევით წიგნებს ჩვენ, ვისაც კითხვა გვიყვარს.

არაფერი ისე არ აღვიძებს ადამიანში მესაკუთრეს, როგორც წიგნი. როცა წიგნი ხელში გვივარდება, იგი ჩვენი მონა ხდება, მონა, რადგან ის ცოცხალი არსებაა, თუმცა ამ მონის გათავისუფლება არავის მოუვა აზრად, რადგან ის ქალაქისაა. ამიტომაც ვექცევით მას მონურად, რაც ერთდროულად დიდი სიყვარულისა და დიდი სიმშაგისგანაა გამოწვეული. ეჰ, როგორ გიკეცავ გვერდებს!.. (რა ტკივილისმომგვრელია ამ ჩაკეცილი გვერდების დანახვა, მაგრამ „ხომ უნდა ვიცოდე, სად გავჩერდიიიი!“), როგორ გადებ ყავის ფინჯანს ყდაზე... დამღასავით გასვამ ცხიმინი ტარტინების მზესავით მრგვალ ყვითელ შარავანდედებს... ცერა თითის ანაბეჭდსაც ვტოვებ შენს გვერდებზე (იმიტომ, რომ თუთუნს ვტენი ჩიბუხში, კითხვის დროს ხომ უნდა გავაბოლოო!... „პლეადებს“ რადიატორზე ვაშრობ, იმიტომ რომ შენს აბაზანაში ჩავარდა Lკი, საყვარელო, აბაზანა შენია, სვიფტი კი - ჩემი!“... არეებზე კომენტარებს ვჩხაპნი (მადლობა ღმერთს, რომ მათი წაკითხვა შეუძლებელია), აბზაცებს კი მარკერებით ვაჭრელებ... ის წიგნი სამუდამოდ დასახიჩრებელია, იმიტომ რომ სადღაც ჩავარდა და ერთი კვირა გადაშლილი ეგდო ყუით მაღლა... ის საწყალი კიდეც, ვითომ რომ არ დახეულიყო, რაღაც უშნო, ბრჭყვიალა გადასაკრავში ჩაუსვამთ... ამ საწოლს შეხედე, რომელზეც გადაშლილი წიგნები მკვდარი ფრთაგაშლილი ჩიტებივითაა მიმოფანტული... გამომცემლობა „ფოლიოს“ ამ წიგნების დასტამ ნეტავ ამისთანა რა დააშავა, სხვენში ნესტისა და ობის შესაქმელად რომ გავწირეთ... აღარაფერს ვამბობ, საბავშვო წიგნებზე, რომლებსაც აღარავინ კითხულობს და სოფლის სახლში არიან გადასახლებული, სადაც აღარავინ დადის... და უამრავი სხვა წიგნი, რომლებსაც გადამყიდველი-მონათვაყრები სანაპიროზე კაპიკებად ყიდიან...

მოკლედ, რას არ ითმენენ ჩვენგან ეს საწყალი წიგნები. ჩვენ კი მხოლოდ მაშინ ვლიზიანდებით, როცა სხვების ცუდ მოპყრობას ვხედავთ...

ამასწინათ ჩემი თვალით ვნახე, როგორ მოისროლა ქალმა მანქანის ფანჯრიდან სქელი წიგნი. ეს იმიტომ, რომ კომპეტენტურ კრიტიკოსებს დაუჯერა, ძვირი გადაიხადა და იმედგაცრუებული დარჩა. უდიდესი მწერლის ტონინო ბენაკვისტას ბაბუა კი უფრო შორს წავიდა: მან პლატონი დაწვა! ომის დროს სადღაც ალბანეთში ტყვედ ჩავარდნილმა ჩარჩენილი თამბაქო მოიხხრიკა ჯიბეში, აიღო „კრატისის“ ეგზემპლარი (ნეტავ იქ საიდან მოხვდა?!), ასანთი, ჩხაკ და... სოკრატესთან დიალოგი გამართა! ნაფაზებით!

ამავე ომის უფრო ტრაგიკულ მაგალითს გეტყვით: ალბერტო მორავია და ელზა მორანტი ომის დროს რამდენიმე თვეს მეცხვარის ქოხში იმალებოდნენ. თან მხოლოდ ორი წიგნი ჰქონდათ: ბიბლია და „ძმები კარამაზოვები“. და მათ წინაშე საშინელი დილემა გაჩნდა: რომელი იხმარონ ტუალეტის ქალაქად? რას იზამ, არჩევანი რთული საქმეა, მაგრამ მათ, გულდამძიმებულებმა, მაინც აირჩიეს.

რა ხოტბაც უნდა შევასხათ წიგნებს, ჯერ არ დაბადებულა ადამიანი, რომელიც პეპე კარვალოს, ესპანელი მანუელ ვასკეს მონტალბანის საყვარელ პერსონაჟს, ყოველ საღამოს

თავისი საყვარელი წიგნებისგან კოცონის აგიზგიზებას გადააფიქრებინებდა. ასეთია სიყვარულის ფასი, სიახლოვის საზღაური.

წიგნის კითხვას რომ დავასრულებთ, იგი ჩვენი ხდება. ბავშვები ასეც ამბობენ ხოლმე: „ეს ჩემი წიგნია...“, ის ჩვენი საკუთრება ხდება. ალბათ, ამიტომაც გვიჭირს ნათხოვარი წიგნის უკან დაბრუნება. არა, ვერ ვიტყვი, რომ ვიპარავთ (ქურდები ნამდვილად არ ვართ), უბრალოდ სხვის საკუთრებას დროებით სარგებლობაში ვიტოვებთ, ან უფრო

სწორად, მის ძველ პატრონს ახლით ვანაცვლებთ: ის, რაც ადრე სხვის თვალწინ იდო, ახლა ჩემს თვალს ახარებს. რა ვქნა, ძალიან მიჭირს იმ წიგნის დაბრუნება, რომლის წაკითხვამაც ამდენი სიამოვნება მომანიცა.

მე ახლა მხოლოდ იმას ვამბობდი, როგორ ვექცევით წიგნებს ჩვენ, უბრალო ადამიანები. გგონიათ, პროფესიონალები უკეთესად ექცევიან? აი რას ამბობენ და აკეთებენ ისინი: მოდი, წიგნო, კიდევებს ზუსტად ხაზის ბოლოს ჩამოგაჭრი, რომ ჩემი „ჯიბის წიგნის“ სერია უფრო მომგებიანი გახდეს (უარეუბო ტექსტი, გატენილი მოცუცქნული ასოებით); შენ კი, პატარა რომანო, საჰაერო ბუმტივით გაგბერავ, რომ მკითხველმა იფიქროს, ღირებულ ნივთს ვყიდულობო (ტექსტი სივრცეში ცურავს, ფრაზები „დაბრმავებულია“ ამდენი სინათლისგან); შენ ისეთ სარტყელს შემოგარტყამ, რომ მისი ფერიც და შრიფტიც ასი მეტრიდან გაჰყვიროდეს: „სიახლე! იჩქარეთ! წაიკითხეთ!“ ანდა სულაც „საკლებო“ სერიას გავაკეთებ: სქელ ქაღალდზე დაგბეჭდავ, მაგარ ყდაში მოგათავსებ, ზედ რამე სულელურ ილუსტრაციას დაგახატავ და „ლუქსად“ მოგნათლავ იმ მარტივი მიზეზით, რომ შენი ყდის ტყავის შემცვლელი მასალა ერთმანეთში გადახლართული მოოქროვილი ასოებით იქნება მოვარაყებული.

წიგნს, როგორც ჰიპერსამომხმარებლო პროდუქტს, ისევე კვებავენ და ელოლიავენებინ, როგორც ჰორმონებით გატენილ ქათმებს (და ბევრად უფრო ნაკლებად, ვიდრე ბირთვულ რაკეტას). სხვათა შორის, ამ სწრაფად გამოზრდილ ქათმებთან შედარება შემთხვევითი სულაც არ არის. ამავე პრინციპით იქმნება მილიონობით „ბოლო მოვლენას მისადაგებული“ წიგნი სულ რაღაც ერთ კვირაში, რადგან სწორედ ამ კვირაში დედოფალმა წერილი წაიღო ანდა

პრეზიდენტი გადადგა.

ამ თვალთ თუ შევხედავთ, წიგნი ჩვეულებრივი სამომხმარებლო პროდუქტია, ისეთივე წარმავალი, როგორიც ნებისმიერი სხვა: თუ ის „კარგად არ გაიყიდა“, გადაუშლელივე გადაიქცევა მაკულატურად.

იმასთან დაკავშირებით, როგორ ექცევიან წიგნებს უნივერსიტეტებში, საინტერესო იქნებოდა თავად ამ წიგნების ავტორების მოსაზრების მოსმენა. აი რა თქვა ფლანერი ო'კონორმა, როცა გაიგო, როგორ აწვალევენ სტუდენტებს მისი ნაწარმოების შესწავლისას:

„თუ პედაგოგების მთავარი ამოცანაა, ლიტერატურულ ნაწარმოებს ისე შეხედონ, როგორც სამეცნიერო ნაშრომს, სადაც ყველანაირი პასუხი მისაღებია, ოღონდ კი ის ბუნდოვანი იყოს, ვშიშობ, სტუდენტები ვერასდროს გაუგებენ გემოს რომანების კითხვას...“

ეს რაც შეეხებოდა წიგნებს.

ახლა მკითხველზე გადავიდეთ.

ჩვენ უკვე გავარკვიეთ, როგორ ვექცევით წიგნებს. ახლა ვნახოთ, როგორ ვკითხულობთ მათ!

ჩვენ, მკითხველები, კითხვის დროს ყველანაირი უფლებით ვსარგებლობთ, თუმცა ახალგაზრდებს მათზე ხშირად უარს ვეუბნებით. თან დავაყოლებთ ხოლმე: ასე თქვენ კითხვას ვერ ისწავლითო.

1. უფლება - არ წავიკითხოთ.
2. უფლება - გამოვტოვოთ გვერდები.
3. უფლება - ბოლომდე არ წავიკითხოთ.
4. უფლება - ხელახლა წავიკითხოთ.
5. უფლება - რაც გვინდა, ის წავიკითხოთ.
6. უფლება ბოვარიზმისა.
7. უფლება - სადაც გვინდა, იქ ვიკითხოთ.
8. უფლება - საიდანაც გვინდა, იქიდან დავიწყოთ კითხვა.
9. უფლება - ხმამაღლა ვიკითხოთ.
10. უფლება - არ ვილაპარაკოთ წაკითხულზე.

საგანგებოდ შევაჩერე არჩევანი ციფრ 10-ზე, იმიტომ რომ მრგვალი ციფრია, თანაც ყველასთვის ცნობილ 10 მცნებასთანაა დაკავშირებული. ამიტომ უპრიანი იქნებოდა, ნებადართულ ქმედებათა ჩამონათვალშიც 10 ყოფილიყო.

რადგან თუ გვინდა, რომ ჩვენმა ბიყმა, ჩვენმა გოგომ, ახალგაზრდებმა იკითხოთ, მათ ყველა ის უფლება უნდა მივანიჭოთ, რომლითაც ჩვენ თვითონ ვსარგებლობთ.

IV – ჰინ როგორ კითხულობს(ანუ მკითხველის ხელშეუვალი უფლებები) - 1 ეფლება - არ წავიკითხოთ

მოგეხსენებათ, უფლებების ნებისმიერი ღირსეული და კომპეტენტური ჩამონათვალი მთავარი უფლებით უნდა იწყებოდეს, რომელიც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი უფლებით არსარგებლობის შესაძლებლობას გულისხმობს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს არწაკითხვაა. ამის გარეშე ეს ჩამონათვალი მზაკვრულად დაგებული ხაფანგი იქნებოდა და არა უფლებების დეკლარაცია.

დავიწყოთ იმით, რომ თითოეული ჩვენგანი სარგებლობს არწაკითხვის უფლებით. საწყენად ნუ მივიღებთ, მაგრამ, როცა კარგ წიგნსა და ცუდ ფილმს შორის დგება არჩევანი, ჩვენ, რაც უნდა გვიჭირდეს ამის აღიარება, უფრო ხშირად ფილმს ვირჩევთ. იმაშიც უნდა გამოვტყდეთ, რომ რეგულარულად არ ვკითხულობთ. კითხვის აქტიურ ფაზას ხშირად მოჰყვება ხოლმე თავშეკავების ხანგრძლივი პერიოდი, როცა წიგნის დანახვაზეც კი მოუწონებლობა გვეწყება.

მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამეა.

ჩვენ ირგვლივ უამრავი ადამიანია, საკმაოდ ღირსეული და პატივსაცემი, უმაღლესი განათლებით, ზოგი მათგანი „გამოჩენილი მოღვაწეც“ კია, ჩინებული ბიბლიოთეკით სახლში, მაგრამ ისინი არ კითხულობენ ან ძალიან ცოტას კითხულობენ. ამიტომაც თავში აზრად არავის მოუვა, რომ მათ, მაგალითად, წიგნი აჩუქოს. არ კითხულობენ და წიგნი რად უნდათ! არ ვიცი, რა არის ამის მიზეზი: ამის მოთხოვნილება არ აქვთ თუ სხვა რამით არიან გატაცებული (თუმცა ამ ორს შორის დიდი განსხვავება არ არის: ისინი ისე არიან სხვა რამით გატაცებული, რომ იმის გარდა არაფერი აინტერესებთ). მოკლედ, ამ ხალხს კითხვა არ უყვარს. მაგრამ ეს მათთან ურთიერთობაში, უფრო მეტიც, სიამოვნებით ურთიერთობაში ხელს არავის უშლის (ისინი არ გვეკითხებიან, მოგვეწონა თუ არა ბოლოს წაკითხული წიგნი ან რატომ მოგვეწონა, გესლიან რეპლიკებს არ ისვრიან ჩვენს საყვარელ ავტორზე და არ გვთვლიან გონებაჩამორჩენილად, რადგან არ ვეცით და ერთ დღეში არ გადავცლაპეთ „ამისთანა“ ავტორის „იმისთანა“ რომანი, რომელიც გამომცემლობა „რადაცამ“ გამოუშვა და კრიტიკოსმა „ვილაცამ“ ქებით ცამდე აიყვანა). ისინი ჩვენნაირი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, გული შესტკივით მსოფლიო სატკივარზე, პატივს სცემენ „ადამიანის უფლებებს“ და იცავენ მათ საკუთარ სფეროში (ეს კი ცოტა არ არის), მაგრამ, აი, კითხვა არ უყვართ.

მათი საქმეა.

მოდით ვთქვათ, რომ მოსაზრება „კითხვა უფრო აადამიანურებს ადამიანს“, ზოგიერთი სამწუხარო გამოჩენისის გარდა, ზოგადად სამართლიანია. ჩეხოვის წაკითხვის შემდეგ ჩვენ მართლაც უფრო „ადამიანურები“ ვხდებით, ანუ უფრო ვუახლოვდებით ადამიანთა მოდგმას და ვმორიდებით ველურ საწყისებს.

მაგრამ არ უნდა შევცდეთ და არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ყველა, ვინც არ კითხულობს, ტყიური ან ბნელეთის მოციქულია. ამ შემთხვევაში ჩვენ კითხვას „მორალურ ვალდებულებად“ ვაქცევთ, ამას კი, თავის მხრივ, თავად წიგნების „მორალურობამდე“ მივყავართ. ეს კი დაუშვებელია, რადგან იგი მთავარ პრინციპს ეწინააღმდეგება: შემოქმედების თავისუფლებას. ამ შემთხვევაში, როგორი მკითხველიც უნდა ვიყოთ, ბნელეთის მოციქულები სწორედ ჩვენ ვხდებით. ასეთები კი, მოგეხსენებათ, უჩვენოდაც არ აკლია ქვეყნიერებას.

სხვანაირად რომ ვთქვათ, შემოქმედების თავისუფლება ვერ ეგუება კითხვის ვალდებულებას.

ბავშვისთვის განათლების მიცემა ძირითადად მისთვის კითხვისა და აზროვნების თავისუფლების სწავლებას ნიშნავს, რაც მას საშუალებას მისცემს, თავად განსაჯოს, „სჭირდება თუ არა ცხოვრებაში კითხვა“. შეიძლება, ადამიანმა წიგნი უარყოს, მაგრამ სრულიად დაუშვებელია, თვლიდეს, რომ იგი წიგნმა უარყო.

ეს საშინელი დარდია. წიგნისგან უარყოფილი ადამიანი სამუდამო სევდისა და მარტოობისთვისაა განწირული, მაშინაც კი, თუ იგი ამ წიგნების გარეშეც იოლად გადიოდა.

2 უფლება - გამოვტოვოთ გვერდები

პირველად „ომი და მშვიდობა“ რომ წავიკითხე, თორმეტი თუ ცამეტი წლის ვიყავი (უფრო ცამეტის, მაშინ მეხუთე კლასში ვიყავი და კლასელებისგან დიდად ვერაფრით გამოვირჩეოდი). ზაფხულის არდადეგები ახალი დაწყებული იყო, როცა შევნიშნე, რომ ჩემს ძმას (ის, რომელიც „მუსონს“ კითხულობდა) რაღაც უშველებელ წიგნში ჰქონდა ცხვირი ჩარგული. მისი მზერა ისეთივე შორეული იყო, როგორც იმ მოგზაურისა, რომელსაც უკვე დიდი ხანია საკუთარი მიწა-წყალი დავიწყებია.

- მაგარი რამეა?

- ძალიან!

- რაზეა?

- ერთ გოგოზე, რომელსაც ერთი ტიპი უყვარდა, ცოლად კი მესამეს გაჰყვა.

ჩემს ძმას ყოველთვის ჰქონდა მოკლედ მოყოლის ნიჭი. გამომცემლებს ის რომ დაეჭირავებინათ ანოტაციების (წიგნის ყდაზე მოთავსებული პათეტიკური ტექსტების) დასაწერად, ნამდვილად ავიცილებდით თავიდან ამ უსარგებლო სიტყვების რახარუხს.

- მათხოვებ?

- გაჩუქებ.

მე მაშინ პანსიონში ვსწავლობდი და ეს წიგნი ჩემთვის ნამდვილი საჩუქარი იყო. წარმოიდგინეთ ორი უშველებელი ტომი, რომელიც მთელი ტრიმესტრი გამილამაზებდა ცხოვრებას. ჩემი ძმა ჩემზე ხუთი წლით უფროსი იყო და ნამდვილად არ იყო შტერი (სხვათა შორის არც ახლაც). მან მშვენივრად იცოდა, რომ „ომი და მშვიდობა“ მხოლოდ სიყვარულის ისტორია არ იყო, რაც უნდა მშვენიერი ყოფილიყო იგი. ისიც კარგად მოეხსენებოდა, როგორ მიყვარდა წიგნებში აღწერილი სასიყვარულო ვნებათაღელვებები, ამბის მოყოლა კი, იცოცხლეთ, ეხერხებოდა, იცოდა, როგორ აენტო ჩემში ცნობისმოყვარეობის ცეცხლი (აი ნამდვილი პედაგოგი!). ვფიქრობ, სწორედ ამ უცნაურმა არითმეტიკამ მაიძულა, მწვანე, ვარდისფერი და ოქროსფერი სერიების წიგნები გვერდზე გადამედო, დროებით დამევიწყებინა სათავგადასავლო ჟანრი და ამ წიგნში ჩავძირულიყავი. „ერთი გოგო, რომელსაც ერთი ტიპი უყვარდა, ცოლად კი მესამეს გაჰყვა“ - არ არსებობს ადამიანი, რომელიც ამ ცდუნებას გაუძლებდა. და ნამდვილად არ დავრჩენილვარ იმედგაცრუებული. ერთი კი იყო: მას ანგარიში აერია. სინამდვილეში ნატაშა ოთხ კაცს გვიყვარდა: თავად ანდრეის, იმ არაკაც ანატოლის (თუმცა ეს რა სიყვარული იყო!), პიერ ბეზუხოვს და მე. და რადგან ჩემი შანსები ნულის ტოლი იყო, ისღა დამრჩენოდა, საკუთარი თავი სხვების როლში წარმომედგინა (რა თქმა უნდა, არა

ანატოლის. ნაძირალა!).

ამ წიგნს კიდევ ის ხიბლი ჰქონდა, რომ ვკითხულობდი ღამდამობით, ჯიბის ფარნის შუქზე, გადასაფარებელი კი თავზე კარავივით მქონდა წამოხურული და ეს ყველაფერი ხდებოდა პანსიონის საძინებელში, სადაც ორმოცდაათი ბავშვი ფშვინავდა, ხვრინავდა და ლოგინში ტრიალებდა. იქვე იყო ზედამხედველის ოთახი, საიდანაც ლამპის შუქი გამოდიოდა, მაგრამ აბა რაა სიყვარული რისკის გარეშე... ახლაც ვგრძნობ ხელებში იმ წიგნების სისქეს და სიმძიმეს. ეს იყო „ჯიბის წიგნების“ გამოცემები, ყდაზე მშვენიერი ოდრი ჰეპბერნი ეხატა, მას კი თავადური თავდაჯერებულობითა და მტაცებლური მზერით მელ ფერერი დაჰყურებდა. დაახლოებით წიგნის სამი მეოთხედი გამოვტოვე, რადგან ნატაშას განცდების მეტი არაფერი მაინტერესებდა. ყველაფრის მიუხედავად, შემეცოდა ანატოლი, როცა ფეხი მოაჭრეს; ვლანძღავდი იმ გამომტერებულ თავად ანდრეის, რომ არ დაწვა, როცა ბოროდინოს ბრძოლაში ყუმბარა ესროლეს (დაწეი, ბიჭო, აფეთქდება და მოგკლავს. რას უშვრები იმ გოგოს? ხომ იცი, როგორ უყვარხარ!“. მე მხოლოდ სიყვარული და ომი მაინტერესებდა, ამიტომ გამოვტოვე ის გვერდები, სადაც პოლიტიკასა და სტრატეგიაზე იყო ლაპარაკი... კლაუზევიცის თეორიების თავი ნამდვილად არ მქონდა. სამაგიეროდ დიდი გულისყურით ვადევნებდი თვალს პიერ ბეზუხოვისა და მისი მეუღლის ელენეს ცოლქმრულ ურთიერთობასა და იმედგაცრუებებს (სრა მოსწონთ ამ ელენესი?“ მე ის არასდროს მომწონდა...), ხოლო როცა ტოლსტოი „მუდმივი რუსეთის“ აგრარულ პრობლემებზე მსჯელობას შეუდგა, იგი საკუთარ თავთან მარტო დავტოვე.

გვერდებს ვტოვებდი, აბა რა! და, ჩემი აზრით, ყველა ბავშვი ასე უნდა მოიქცეს.

თუ ისინი ამ ხერხს მიმართავენ, შეეძლება, ნაადრევ ასაკში შეაღონ იმ საგანძურის კარი, რომელიც მათთვის ვითომცდა ჯერ ნაადრევია.

თუ მათ „მოზი დიკის“ წაკითხვა უნდათ, მაგრამ უჭირთ ვემაპებზე სანადირო ტექნიკისა და მასალების აღწერის წაკითხვა, გამოტოვონ გვერდები. კითხვა კი არ უნდა მიატოვონ, ეს აღწერები უნდა გადაფურცლონ და უდარდელად გაჰყვნენ აქაბს, როგორც ის მიჰყვება თავისი სიკვდილ-სიცოცხლის თეთრ ხაზს. თუ მათ უნდათ, გაიციონ ივან, დიმიტრი და ალიოშა კარამაზოვები და მათი გასაოცარი მამა, გადაშალონ და წაიკითხონ „ძმები კარამაზოვები“. ეს წიგნი მათთვისაა, მაშინაც კი, თუ ისინი „ბერ ზოსიმეს“ საუბრებს და დიდი ინკვიზიტორის

შესახებ ლეგენდას გამოტოვებენ.

თუ ისინი თავად არ გადაწყვეტენ, რა უნდა წაიკითხონ და რა გამოტოვონ, მაშინ მათ მაგივრად ამას სხვა გადაწყვეტს. ეს სხვა კი გონებაჩამორჩენილობის დიდ მაკრატელს აიღებს და ამოჭრის იმას, რაც, მისი აზრით, ბავშვებისთვის ზედმეტად „რთულია“, ამას კი, მერწმუნეთ, საშინელი შედეგი მოჰყვება. „მოზი დიკი“ ან „საბრალონი“ 150-გვერდიან დამახინჯებულ, დასახინჩრებულ, გამოფიტულ ამბამდე დავა, რომელიც დისტროფიკული ენით იქნება დაწერილი, რადგან ასეთი ენა ითვლება ბავშვებისთვის გასაგებად. ეს, იცით, რას ჰგავს: ახლა მე რომ „გერნიკა“ თავიდან დავხატო და ვთქვა, პიკასოს კომპოზიცია ზედმეტად რთულია თორმეტი-ცამეტი წლის ბავშვისთვის-მეთქი.

თანაც მოდით ვადიაროთ, ზრდასრულ ასაკშიც არაერთხელ გამოგვიტოვებია გვერდები. ამის

მიზეზი კი მხოლოდ ჩვენ და ჩვენ მიერ წაკითხულმა წიგნმა იცის. ხანდახან ხდება ხოლმე, რომ საკუთარ თავს ვაიძულებთ, ყველაფერი ბოლო სიტყვამდე წავიკითხოთ. მაშინ ჩვენს კრიტიკულ თვალს არაფერი გამოეპარება: აი აქ ავტორს ძალიან გაწელილად უწერია, იქ კი აშკარად დაუკრეფავში გადადის, ამ ადგილას გამეორებებში გადავარდა, იმ ადგილას კი - იდიოტიზმში. მაგრამ ეს ბოლომდე წაკითხვა ვალდებულებად არ უნდა მივიჩნიოთ, იგი კითხვით მიღებული სიამოვნების კატეგორიას განეკუთვნება.

3 უფლება - ბოლომდე არ წავიკითხოთ

ოცდათექვსმეტი ათასი მიზეზი არსებობს, რატომ არ უნდა წავიკითხოთ წიგნი ბოლომდე: შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ეს უკვე ოდესღაც წავიკითხავს, სიუჟეტი არ გვითხრობს, არ ვეთანხმებით ავტორის შეხედულებებს, წერის მანერა ზედმეტად გამაღიზიანებელია ან, პირიქით, საერთოდ არ იგრძნობა მწერლის ხელწერა, რაც უკვე საკმარისი მიზეზია რომანის შუა გზაში გასაწყვეტად. აზრი აღარ აქვს დანაჩენი 35,995 მიზეზის ჩამოთვლას, რომელთა შორის შეიძლება იყოს კბილის ტკივილი, გართულებები სამსახურში, სულიერი განცდები, რომლებიც კონცენტრაციაში გვიშლის ხელს.

წიგნი ხელიდან გვივარდება?

გაგვივარდეს.

ბოლოს და ბოლოს, რაც უნდა თქვას მონტესკიემ, შეუძლებელია ბრძანებით დავტკბეთ წიგნის კითხვით.

წიგნის დაუმთავრებლობის მიზეზებში არის ერთი, რომელზეც ყურადღების შეჩერებაა საჭირო: ესაა დამარცხების უცნაური შეგრძნება. ვშლი წიგნს, ვიწყებ კითხვას და ვგრძნობ, რომ რაღაცას ვეჯახები, რაც ჩემზე ძლიერია. ნეირონებს ვიკრებ, ტექსტს

ვერკინები, მაგრამ ამაოდ. დარწმუნებული ვარ, რაც აქ წერია, წაკითხვას იმსახურებს, მაგრამ არ გამომდის, რაღაც „უცხო სხეულს“ ვგრძნობ, რომელსაც ალღოს ვერ ვუღებ. და წიგნს თავს ვანებებ.

უფრო სწორად, ჩემს ბიბლიოთეკაში სხვა ასეთ წიგნებთან ერთად ვინახავ, რათა ერთ დღეს დავუბრუნდე. ანდრეი ბელის „პეტერბურგი“, ჯოისი თავისი „ულისეთი“, მალკოლმ ლაურის „ვულკანის ძირში“ წლები მელოდნენ თაროზე. არიან ისეთებიც, რომლებიც დღემდე მელოდებიან და ისეთებიც, რომლებიც სულ ტყუილად მელოდებიან. ეს ტრაგედია არ არის, ეს უბრალოდ ასეა. „ზრდასრულობის“ ცნება კითხვაში უცნაური რამაა. გარკვეულ ასაკამდე ზოგი წიგნის წაკითხვა გვიჭირს, მაგრამ, კარგი ღვინოსგან განსხვავებით, კარგი წიგნი არ ძველდება. ის თაროზე გველოდება, სამაგიეროდ ჩვენ ვბერდებით და როცა ვხვდებით, რომ საკმარისად „ზრდასრული“ გავხდით მის წასაკითხად, ხელახლა ვიღებთ ხელში. აქ კი ორი ვარიანტია: ან შეხვედრა შედგება, ან კიდევ ერთი ფიასკო გველის. კიდევ ერთხელ ვცდით? ალბათ, ადარ! თუმცა თომას მანის ბრალი სულაც არ არის, რომ მე ჯერ კიდევ ვერ მივაღწიე მისი „ჯადოსნური მთის“ მწვერვალს.

არის თუ არა რომანი, რომლის წაკითხვაც გვიჭირს, რთული? რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ უდიდეს რომანსა და სრულ მზადყოფნაში მყოფ მკითხველს შორის ქიმიური რეაქცია არ წარიმართა. დადგება დღე, როცა ალღოს ავუღებთ ბორხესის სტილს, რომელსაც აქამდე ვერ ვიგებდით, თუმცა მუზილი ბოლომდე უცხო დარჩება ჩვენთვის.

მაშ ასე, შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ ეს ჩვენი ბრალია, რომ გონება არ გვყოფნის, ან ყველაფერი ლიტერატურულ გემოვნებას მივაწეროთ (გემოვნებაზე კი, მოგეხსენებათ, არ დაობენ) და საკუთარი არჩევანი გავაკეთოთ.

შვილებს, ჯობს, ეს უკანასკნელი ვურჩიოთ.

მით უმეტეს, რომ ბავშვებმა ამისგან შეიძლება უდიდესი სიამოვნება მიიღონ: გადაიკითხონ წიგნი და მიხვდნენ, რატომ არ მოსწონთ იგი. კიდევ ერთი სიამოვნებაც ელით: შეუძლიათ მშვიდად შეხვდნენ პედანტი ლიტერატორის აღმფოთებას:

– კი, მაგრამ როგორ შეიძლება სტენდალი არ გიყვარდეთ?

შეიძლება.

4 უფლება - ხელახლა წავიკითხოთ

ხელახლა წავიკითხოთ ის, რაც პირველად არ მოგვეწონა, წავიკითხოთ გვერდების გამოტოვების გარეშე, შევხედოთ სხვა თვალთ, შევამოწმოთ შთაბეჭდილებები, დიახ... ჩვენ შეგვიძლია ყველა ამ უფლებით ვისარგებლოთ.

მაგრამ ხელახლა ძირითადად საკუთარი სიამოვნებისთვის ვკითხულობთ, რომ ძველი ნაცნობები გავიხსენოთ, ძველი ურთიერთობებით დავტკბეთ.

„კიდევ წამიკითხე, კიდევ“, - ვამბობდით ბავშვობაში. ახლაც, ზრდასრულ ასაკში, იმავე

მიზეზით ვკითხულობთ: დავტკბეთ უცვლელი განცდებით და თანაც ახალი შთაბეჭდილებები მივიღოთ.

5 უფლება - რაც გვინდა, ის წავიკითხოთ

რაც შეეხება „ლიტერატურულ გემოვნებას“, უნდა გითხრათ, რომ ბევრი ჩემი მოსწავლე დატანჯულა არქიკლასიკური თემის დაწერისას: „არსებობს თუ არა ცუდი და კარგი რომანები?“ თავიანთი გარეგნული სიხისტისა და უკომპრომისობის

მიუხედავად, ისინი გულკეთილი ადამიანები არიან, ამიტომ საკითხის ლიტერატურულ ასპექტში განხილვის ნაცვლად ისინი მხოლოდ პრობლემის ეთიკურ მხარეს ეხებიან და წერის თავისუფლებაზე საუბრობენ. მათი თემებიდან ძირითადად შემდეგი დასკვნა გამოგვაქვს: „არა, არა, რა თქმა უნდა, ნებისმიერს აქვს უფლება, რაც უნდა, ის დაწეროს და ყველა გემოვნების მკითხველი ერთნაირად პატივსაცემია, მართლა, ხუმრობის გარეშე!“ მისაბამი საქციელია...

თუმცა ნამდვილად არსებობს ცუდი და კარგი რომანები და ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ისინი, მოვიყვანოთ მტკიცებულებები.

მოკლედ ვიტყვი, არსებობს ე. წ. „ლიტერატურული ინდუსტრია“, რომელიც ქმნის ერთმანეთის მსგავსი ამბების დაუსრულებელ ციკლს, შტამპავს სტერეოტიპებს, აკეთებს ფულს ადამიანის ინსტინქტებსა და განცდებზე, ხელიდან არ უშვებს არც ერთ საჭირბოროტო და აქტუალურ თემას, რათა მასზე „ფსევდორომანი“ გამოაცხოს, მუდმივად „სწავლობს ბაზარს“, რათა „კონიუნქტურის“ მიხედვით განსაზღვროს, რომელი „პროდუქტი“ რომელ „სეგმენტზე“ იმუშავებს.

აი მოკლედ, რა არის ცუდი რომანი.

რატომ? იმიტომ, რომ ეს არ არის შემოქმედება, ეს მზა „ყალიბების“ მიხედვით შტამპავს; იმიტომ, რომ ეს გამარტივებაა (ანუ ტყუილი), ნამდვილი რომანი კი სიმართლის ხელოვნებაა (სიმართლე კი ყოველთვის რთულია); იმიტომ, რომ ავტომატურ აზროვნებას გვაჩვენებს და ამით ჩვენს ცნობისმოყვარეობას აძინებენ; იმიტომ, რომ ამ წიგნებში არც ავტორი ჩანს და არც ცხოვრება, რომელზეც ვითომდა მოგვითხრობენ.

ერთი სიტყვით, ცუდი რომანი შაბლონის მიხედვით შექმნილი ფართო მოხმარების საქონელია, რომელიც ცდილობს, ჩვენც შაბლონში მოგვაქციოს.

არ იფიქროთ, რომ ეს სისულელე ახალი მოგონილია, წიგნის წარმოების ხანის პროდუქტია. არა! სენსაციებზე ნადირობა, ზიზილ-პიპილები, ცარიელი ფრაზებით გამოწვეული ჟრუანტელი ტანში დღეს არ მოუგონიათ! ამისთვის ორი მაგალითიც საკმარისია: რაინდული რომანები და რომანტიზმის ხანა. თუმცა ზოგი ჭირი მარგებელია, ამ მდაბიო ლიტერატურით გამოწვეულმა პროტესტმა გვაჩუქა ორი მსოფლიო შედეგრი: „დონ კიხოტი“ და „მადამ ბოვარი“.

აკი მოგახსენებდით, არსებობს „კარგი“ და „ცუდი“ რომანები-მეთქი.

თუმცა, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელს უფრო ხშირად ვხვდებით ხოლმე.

გეფიცებით, როცა პირველად წავიკითხე „ცუდი“ რომანი, „ძან მაგარი“ მომეჩვენა. უბრალოდ გამიმართლა: ამის გამო არავის დაუცინია, თვალები არ აუტრიალებია და „რა უტვინოაო“, არ გაუფიქრია. უბრალოდ გზაზე „კარგი“ რომანები მიმომიბნიეს და ნებაზე მიმიშვეს, შემემლო, რაც მინდოდა, ის წამეკითხა.

აი ეს იყო ჭკვიანური გადაწყვეტილება.

ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ცუდსაც და კარგსაც ერთნაირად ვკითხულობთ. ისევე, როგორც ერთი ხელის მოსმით ვერ ველევით ბავშვობის წიგნებს. ყველაფერი ერთმანეთში ირევა. „ომი და მშვიდობიდან“ ისევ „მწვანე ბიბლიოთეკის“ წიგნებში ვიძირებით, „არლეკინის“ სერიიდან (კარგი ექიმებისა და კეთილშობილი მედდების ისტორიები) ბორის პასტერნაკზე და მის „დოქტორ ჟივაგოზე“ გადავდივართ (სხვათა შორის ისიც კარგი ექიმი იყო, ლარა კი ნამდვილად კეთილშობილი მედდას).

მერე დგება დღე, როცა პასტერნაკი გადაწონის, როცა გაუცნობიერებლად უკვე კარგი წიგნებისკენ ვიხრებით. უკვე ავტორს ვეძებთ, მწერლის ხელწერას, მხოლოდ

ამხანაგები აღარ გვაკმაყოფილებს, ცხოვრების თანამგზავრი გვჭირდება. მარტო ანეკდოტები აღარ გვყოფნის. დგება დღე, როცა წიგნისგან წამიერ სიამოვნებასა და ადრენალინზე მეტს ვითხოვთ.

მასწავლებლის ერთ-ერთი უდიდესი სიამოვნება იმის დანახვაა, როგორ ხურავს მისი მოსწავლე, რომელსაც ყველაფრის წაკითხვა შეეძლო, ბესტსელერების საწარმოს კარს და სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად მეგობარ ბალზაკთან მიდის.

6 უფლება ბოვარიზმისა(ტექსტუალური გზით გადამდები დაავადება)

ზოგადად, ბოვარიზმი მძაფრი შეგრძნებების მყისიერი და გადაუდებელი დაკმაყოფილებაა. ამ დროს ფანტაზია ღვივდება, ნერვები თრთის, გულს ბაგაბუგი გაუდის, ადრენალინი თავში ურტყამს, იწყება წიგნის გმირებთან საკუთარი თავის ზღვარსგადასული გაიგივება. ტვინიც არ აყოვნებს და სასწრაფოდ ოქროს კოშკების შენებას იწყებს.

ყველანი ოდესღაც ასე ვკითხულობდით. ეჰ, კარგი დრო იყო.

აი უფროსები კი შეშფოთებული იყვნენ და შემთხვევას არ უშვებდნენ, რომ რამე „ღირსეული წიგნი“ არ შემოეჩეჩებინათ:

- მოპასუნი მაინც სხვა არის, არა?

დამშვიდდით, ნუ ნერვიულობთ. თავადაც ნუ გახდებით ბოვარიზმის მსხვერპლი. ბოლოს და ბოლოს ემა ხომ მხოლოდ რომანის გმირი იყო, ანუ გუსტავის მიერ გარკვეულ მიზეზთა გამო შექმნილი პერსონაჟი, რომელიც ზუსტად ისეთი გამოვიდა, როგორც ფლობერმა ჩაიფიქრა.

ერთი სიტყვით, თუ ჩემი ქალიშვილი „არლეკინის“ სერიის წიგნებითაა გატაცებული, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მან ერთ დღეს დარიშხანით უნდა მოიწამლოს თავი.

მისთვის ხელიდან ამ საკითხავის გამოგლეჯა მასთან უთანხმოებას და საკუთარი ბავშვობის დავიწყებას ნიშნავს. თანაც ამით მას უარს ვეუბნებით უდიდეს სიამოვნებაზე: ხვალ თვითონ გამოიტანოს სააშკარაოზე ის სტერეოტიპები, რომლებიც დღეს ასე აღაფრთოვანებს.

ბევრად უფრო გონივრული იქნებოდა საკუთარ სიჭაბუკესთან შერიგება; ჩვენივე სიყმაწვილის სიძულვილი, უნდობლობა, უარყოფა ან თუნდაც დავიწყება სწორედ ყმაწვილურმა უმწიფრობამ იცის. პანიკას ნუ ტეხთ და ნუ გგონიათ, რომ გარდატეხის ასაკი სასიკვდილო დაავადებაა.

ამას ჯობია, ჩვენს პირველ წიგნებთან დაკავშირებული განცდები გავიხსენოთ და მათ, რარიგ სასაცილოც უნდა გვეჩვენებოდეს ისინი დღეს, პატარა საკურთხეველი ავუგოთ. ამ წიგნების როლი ჩვენს ცხოვრებაში ფასდაუდებელია: ისინი გულს გვიჩუყებენ იმაზე, რაც ადრე ვიყავით და გვაცინებენ იმაზე, რაც ადრე გულს გვიჩუყებდა. ამით ის ბიჭები და გოგონები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი არიან, ფრიად კმაყოფილი დარჩებიან, ჩვენ კი მათ მიმართ პატივისცემით და სათუთი გრძნობებით აღვივსებით.

აქვე უნდა ითქვას, რომ ბოვარიზმი, სხვა დაავადებების მსგავსად, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სენია. ჩვენ კი მას მხოლოდ სხვებში ვამჩნევთ. ხშირად აბუჩად ვიგდებთ ახალგაზრდების საყვარელ ლიტერატურას, თავად კი დიდი წვლილი შეგვაქვს ვინმე ახალგამომცხვარი ტელეგენური ავტორის ადზევებაში, რომელსაც მაშინვე ვასამარებთ, როგორც კი მასზე მოდა გადაივლის. ლიტერატურული ფავორიტების ასე წარამარა ჩეკაც სწორედ ჩვენი აღფრთოვანება-გაცამტვერების ტალღებით აიხსნება.

ჩვენ მაგრები ვართ, ვერავინ გაგვაცურებს. ამ მტკიცე რწმენით ვცხოვრობთ, ჩვენს მერე ისევ ჩვენნაირები მოდიან და ყველანი ერთნაირად დარწმუნებული ვართ, რომ მაღამ ბოვარისთან საერთო არაფერი გვაქვს.

ემაც, ალბათ, ასე ფიქრობდა.

7 უფლება - წავიკითხოთ, სადაც გვინდა

შალონ-სურ-მარნი, 1971 წელი, ზამთარი. საარტილერიო სკოლის ყაზარმა.

ყოველ დილით მეორე კლასის რიგითი ესა და ეს (ჩვენს ნაწილში ყველასთვის კარგად ცნობილი, სარეგისტრაციო ნომრით 14672/1) გამოთქვამს სურვილს, შეასრულოს ავადსახსენებელი, დამამცირებელი, გულისამრევი სამუშაო, რომელსაც ხშირად ღირსების შემლახველ სანქციადაც მიიჩნევენ: გახეხოს ტუალეტი.

ყოველ დილით.

კითხვაზე:

- ტუალეტს დღეს ვინ წმენდს?

მოღიმარი სახით (შინაგან ღიმილს ვგულისხმობ) ნაბიჯს წინ დგამს და პასუხობს:

- ესა და ეს.

მთელი ნაწილი ამ დროს შვებით ამოისუნთქავს ხოლმე, თვითონ კი ამაყად და საზეიმოდ იღებს იატაკის ჯოხს, რომელზეც ტილოა ჩამოკონწიალებული და ისე მიიწევს ტუალეტისკენ, გეგონება, ლეგიონის ალმით ხელში შეტევაზე მიდისო. იგი ერთადერთი მამაცი ჯარისკაცია, არავის არასდროს გამოუთქვამს სურვილი, მას მიბადოს. ჯარი ამ დროს ბევრად უფრო ღირსეული სამუშაოების შესრულებას იწყებს.

რამდენიმე საათი გადის, ის კი არ ჩანს. უკვე ყველას დაავიწყდა მისი არსებობა. მოგვიანებით კაპრალის წინაშე წარდგება, ქუსლებს ერთმანეთს ურტყამს და პატაკს აბარებს: „ტუალეტი დასუფთავებულია, ბატონო კაპრალი!“ კაპრალი ართმევს იატაკის ჯოხს და ტილოს და თან გაოცებული სახით უყურებს. მის თვალებში შეკითხვა იხატება, რომელსაც იგი არასდროს დასვამს (იგი ადამიანებს პატივს სცემს). რიგითი სალამს აძლევს, ტრიალდება და მწყობრს უბრუნდება. თავისი საიდუმლო მას თან მიაქვს.

ეს საიდუმლო საკმაოდ წონიანია და მისი სამხედრო ფორმის მარჯვენა ჯიბეშია მოთავსებული: ნიკოლაი გოგოლის 1900-გვერდიანი სრული გამოცემა, რომელიც „პლეადამ“ ერთ ტომში მოაქცია. თხუთმეტწუთიანი დასუფთავება გოგოლისთვის მიძღვნილ მთელ დილაში იცვლება... აგერ უკვე ორი თვეა, ყოველ დილით რიგითი ესა და ეს კომფორტულად ჯდება ჩარაზულ სამეფო დარბაზში და სამხედრო რეალობისგან მოწყვეტილი ძალიან მაღლა დაფრინავს. მთელი გოგოლი მის ხელშია! დაწყებული ნოსტალგიური „სალამოებით დიკანკის

მახლობელ ხუტორში“ დასრულებული სასაცილო „პეტერბურგული მოთხრობებით“, გულისშემძვრელი „ტარას ბულბათი“ და შავი იუმორით განმსჭვალული „მკვდარი სულებით“, ამას დაამატეთ დრამატურგია და გოგოლის, ამ საოცარი ტარტიუფის, პირადი მიმოწერაც.

იმიტომ, რომ გოგოლი ტარტიუფია, რომელსაც შეეძლო მოლიერი გამოეგონა. რიგითი ესა და ეს კი ამას ვერასდროს მიხვდებოდა, ტუალეტის ხეხვა სხვისთვის რომ დაეთმო.

ჯარში უყვართ სამხედრო გმირობებისთვის დაჯილდოება. მან კი მხოლოდ ეს ალექსანდრიული ორტაეპიანი ლექსი დაიმსახურა, რომელიც თუჯის ჩასარეცხი ავზის თავზეა დაჩხაპნილი და ფრანგული პოეზიის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს:

გამოგიტყდები, პედაგოგო, ტყუილს არ გეტყვი, რომ ტუალეტში წავიკითხე მთელი გოგოლი. (თავის მხრივ, მოხუცი „ვეფხვი“ კლემანსოც, ასევე ცნობილი ჯარისკაცი, ყოველთვის

მადლიერებით მოიხსენიებდა თავის მუდმივ ყაზობას, რომლის გარეშეც, მისი თქმით, მოკლებული იქნებოდა სენ-სიმონის „მოგონებების“ წაკითხვის სიამოვნებას).

8 უფლება - საიდანაც გვინდა, იქიდან დავიწყოთ კითხვა

მე იქიდან ვიწყებ კითხვას, საიდანაც მინდა. დარწმუნებული ვარ, თქვენც! მაშ რატომ ვუშლით იმავეს სხვებს?

ეს ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია თაროდან ნებისმიერი წიგნი ჩამოვიღოთ, ნებისმიერ გვერდზე გადავშალოთ და თუნდაც ერთი წუთით ჩავუღრმავდეთ, რადგან შეიძლება იმ ერთ წუთზე მეტი დრო არც გვქონდეს. ამ მხრივ, ზოგი წიგნი სხვებზე უფრო მოსახერხებელია, იმიტომ რომ მოკლე, დამოუკიდებელი მოთხრობებისგან შედგება: ალფონს ალეს ან ვუდი ალენის შემოქმედების სრული კრებული, კაფკას ან საკის მოთხრობები, ჟორჟ პეროს „კოლაჟი“, მოხუცი ლაროშფუკო, ასევე პოეტური კრებულების უმრავლესობა...

გარდა ამისა, ჩვენ შეგვიძლია გადავშალოთ პრუსტი, შექსპირი, რაიმონდ ჩანდლერის „მიმოწერა“ და წავიკითხოთ ისე, რომ იმედგაცრუებულები არ დავრჩებით.

თუ არც დრო გვაქვს და არც საშუალება, ერთი კვირით ვენეციაში გავემგზავროთ, რატომ არ უნდა ვიმოგზაუროთ იქ თუნდაც ხუთი წუთით?

9 უფლება - ხმამაღლა წავიკითხოთ

ვეკითხები:

– როცა პატარა იყავი, ვინ გიკითხავდა ხმამაღლა? მპასუხობს:

- არავინ. მამაჩემი სულ წასული იყო, დედა კი - დაკავებული. ვეკითხები:

- აბა ვინ შეგაყვარა ასე ძალიან ხმამაღლა კითხვა? მპასუხობს:

– სკოლამ.

გახარებული იმით, რომ ერთი ადამიანი მაინც აღიარებს სკოლის დამსახურებას, ვყვირი: - აი, ხომ ხედავ!

ის მეუბნება:

– არა, პირიქით. სკოლაში გვიკრძალავდნენ ხმამაღლა კითხვას. იმ დროს ჩუმიად კითხვა იყო მიღებული. ინფორმაცია თვალიდან პირდაპირ ტვინში უნდა გადასულიყო, სწრაფად, დანაკარგების გარეშე. ყოველი ათი ხაზის მერე იყო ტესტი იმის შესამოწმებლად, როგორ გაიგეს ბავშვებმა წაკითხული. იმ ეპოქის კულტი ანალიზი და კომენტარი იყო, პირველივე სტრიქონიდან. ბავშვების უმრავლესობას შიშისგან ენა ებმოდა, მაგრამ ამას კიდევ არა უშავდა. მე, თუ გაინტერესებთ, ყოველთვის სწორად ვპასუხობდი, მაგრამ სახლში აუცილებლად თავიდან ვიწყებდი ხმამაღლა კითხვას.

- რატომ?

- აღფრთოვანებული ვიყავი იმით, რომ ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვები ჩემ გარეშე იწყებდნენ არსებობას, დამოუკიდებელ ცხოვრებას. თანაც ვფიქრობდი, რომ წიგნების სიყვარული ზოგადად სიყვარულისგან მოდის. ეს თავად სიყვარულია. ჩავაწვენი ხოლმე თოჯინებს ჩემს ლოგინში და იქვე ხალიჩაზე ჩამომჯდარი წიგნებს ვუკითხავდი. რამდენჯერ ჩამძინებია ასე იატაკზე.

ვუსმენ მას, ვუსმენ და ასე მგონია, უიმედოდ მთვრალი დილან ტომასის ხმა მესმის, რომლის ტემბრიც გოთიკური ტაძრის კედლებში გაჟღერებას იმსახურებდა.

ვუსმენ მას და თვალწინ უკვე მოხუცებული დიკენსი მიდგება, ჩამომხმარი, ფერმკრთალი, სიკვდილის პირს მიწეული. იგი სცენაზე ადის, მისი უწიგნური აუდიტორია იმწამსვე შეშდება, ისეთი სიჩუმე ვარდება, რომ წიგნის გადაშლის ხმა ისმის... ოლივერ ტვისტი... ნენსის სიკვდილი... ის ნენსის სიკვდილს წაგვიკითხავს!

ვუსმენ და კაფკას ცრემლებამდე მისული სიცილი მესმის, როცა იგი „მეტამორფოზას“ მაქს ბროდს უკითხავს, რომელიც ნახევარს ვერ იგებს... და პატარა მერი შელის ვხედავ, რომელიც თავისი „ფრანკენშტაინის“ მოზრდილ პასაჟებს პერსის და მის შიშისგან გაქვავებულ მეგობრებს უკითხავს...

ვუსმენ და თითქოს მარტინ დიუ გარს ვხედავ, რომელიც ჟიდს თავის „ტიბოს ოჯახს“ უკითხავს, მაგრამ ჟიდი თითქოს არ უსმენს. ისინი მდინარის ნაპირზე სხედან, მარტინ დიუ გარი კითხულობს, ჟიდის მზერა კი სადღაც სხვაგანაა, მდინარეში მობანავე ორი პატარა ბიჭუნასკენაა მიპყრობილი... აი, სინათლით შემოსილი სრულყოფილება... მარტინ დიუ გარი ბრაზობს... არა, ის გადასარევად კითხულობს და ჟიდიც ყურადღებით უსმენს... ჟიდი ეუბნება, რა მოსწონს წაკითხულ გვერდებში და იმასაც ამატებს, სად რის შესწორება შეიძლებოდა...

და დოსტოევსკი, რომელიც არა მხოლოდ კითხულობდა, არამედ წერდა კიდევ ხმამაღლა... დოსტოევსკი, რასკოლნიკოვის (თუ დიმიტრი კარამაზოვის, არ მახსოვს) საბრალმდებლო სიტყვის ღრიალით კარნახის შემდეგ სუნთქვაშეკრული ეკითხება თავის მეუღლეს და სტენოგრაფს, ანა გრიგორიევნას: „როგორი იქნება, შენი აზრით, განაჩენი? ჰა?!“

ანა: დამნაშავეა!

და იგივე დოსტოევსკი, რომელიც ამჯერად დამცველის სიტყვას წარმოთქვამს და კიდევ ერთხელ კითხულობს: „ახლა? ახლა?“

ანა: უდანაშაულოა! დიახ.

უცნაურია, რომ ხმამაღლა კითხვის ტრადიცია გაქრა. ნეტავ რას იტყოდა ამაზე დოსტოევსკი? ფლობერი? ნუთუ აღარ არსებობს იმის ფუფუნება, რომ სიტყვები ჯერ გავახმოვანოთ და მერე გავიაზროთ? აღარაა სმენა? მუსიკა? ნერწყვი? სიტყვების გემოს ვეღარ ვიგებთ? ესე იგი, არაფერი აღარაა! ფლობერი არ იყო, ისე ხმამაღლა რომ უკითხავდა საკუთარ თავს „ბოვარის“, ლამის იყო ყურის დაფები გასკდომოდა? მასზე უკეთ ვინ იცოდა, რომ ტექსტის შინაარსი ჩვენამდე სიტყვების გაჟღერებით მოდის, რომლიდანაც ჩნდება შემდეგ აზრი. მას, ვინც მთელი ცხოვრება ებრძოდა მარცვლების უაზრო ხმოვანებას და რითმის ტირანიას, არ ესწავლებოდა, რომ აზრი უნდა ჟღერდეს! აზრი და მეტი არაფერი! რაო? მუნჯი ტექსტები სუფთა გონებისთვისო? აქეთ, რაბლე! აქეთ, ფლობერ! დოსტოევსკი! კაფკა! დიკენს! აზრის დიდო აპოლოგეტებო, სასწრაფოდ აქ გაჩნდით! სული შთაბერეთ ჩვენს წიგნებს! ხორცი შეასხით ჩვენს სიტყვებს! გააცოცხლეთ ჩვენი აზრები!

ისე, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩუმი კითხვა უფრო მოსახერხებელი და უსაფრთხოა, მაგალითად, დიკენსისნაირი სიკვდილი ნამდვილად არ გვემუქრება, რომელმაც ერთ-

ერთი საჯარო კითხვის დროს (რაც მისგან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვდა) განუტევა სული. ჩვენ და ტექსტი... და ყველა ეს სიტყვა თბილადაა მოკალათებული ჩვენი გონების საკუჭნაოში. თავს კომფორტულად გრძნობ, როცა შენთვის ჩუმად ქსოვ კომენტარებს. თანაც თუ წიგნს მხოლოდ გულში აკრიტიკებ, წიგნის კრიტიკისგანაც დაზღვეული ხარ... იმიტომ, რომ როცა საქმეში ხმა ერთვება, მაშინ წიგნი ბევრს ამბობს თავის მკითხველზე... ის ყველაფერს ამბობს.

ადამიანი, რომელიც ხმამაღლა კითხულობს, მთლიანად ავლენს საკუთარ თავს. თუ წაკითხულის შინაარსს ვერ იგებს, იგი წერა-კითხვის უცოდინარივით ბლუკუნს იწყებს; და ეს იმწუთასვე შესამჩნევი ხდება. თუ ვერ გრძნობს და არ განიცდის, რასაც კითხულობს, მაშინ მხოლოდ მკვდარი ასოების ნაკრებს წარმოთქვამს და არა სიტყვებს; და ესეც შეუმჩნეველი არ დარჩება. თუ მას კითხვით მხოლოდ საკუთარი თავის წარმოჩენა უნდა და არა ავტორის, მაშინ ეს უკვე საცირკო ნომერია; და არც ეს გამოგეპარებათ. მოკლედ, წიგნის ხმამაღლა კითხვა მთლიანად წარმოაჩენს ადამიანს.

და თუ ის ნამდვილი მკითხველია, რომელიც თავის ცოდნას ეყრდნობა და არა თვითკმაყოფილებითაა შეპყრობილი, თუ მისი კითხვა აუდიტორიის, ტექსტისა და ავტორისადმი თანაგრძნობითაა განმსჭვალული, თუ ის გვარწმუნებს, რომ ლიტერატურა აუცილებელია ჩვენი გონების ყველაზე ბნელი კუნჭულების გასანათებლად, მაშინ წიგნი ფართოდ აღებს თავის კარს და ის ადამიანები, რომლებიც აქამდე თავის თავს კითხვის სამყაროდან განდევნილად მიიჩნევდნენ, მასთან ერთად შეძლებენ წიგნის ჯადოსნურ ზღურბლზე გადაბიჯებას.

10 უფლება - არ ვილაპარაკოთ წაკითხულზე

ადამიანი სახლს იმიტომ აშენებს, რომ ცოცხალია, წიგნს კი იმიტომ წერს, რომ იცის - მოკვდავია. ის ცხოვრობს კოლექტივში, რადგან საზოგადოებრივი ცხოველია, მაგრამ კითხულობს იმიტომ, რომ მარტოსულია. წიგნი მის ცხოვრებაში ისეთ ადგილს იკავებს, რომელსაც სხვა ვერავინ და ვერაფერი დაიკავებს, თუმცა ამ სხვასაც ვერასდროს შეცვლის წიგნი. კითხვა არასდროს იძლევა ცხოვრების მზა რეცეპტს, თუმცა ურღვევ ბადეს აბამს ადამიანსა და ცხოვრებას შორის. ეს თხელი, იდუმალი ძაფებია, რომლებიც ცხოვრების ბედნიერებისა და მისი აბსურდულობის ურთიერთგამომრიცხავ ამბებზე ეგება. იმიტომ ჩვენთვის კითხვის საფუძველი ისევე უცნაურია, როგორც არსებობის. და არავის აქვს უფლება, ასეთ საკითხებზე ანგარიშის ჩაბარება მოგვთხოვოს.

უფროსები იშვიათად მაძალებდნენ რამე წიგნის წაკითხვას. არც იმას მეკითხებოდნენ, აბა რა გაიგეო? იმიტომ მათთან (ცოცხლებთან თუ აწ გარდაცვლილებთან) ყოველთვის სიამოვნებით ვმსჯელობდი წიგნებზე და სწორედ მათ ვუძღვნი ახლა ამ გვერდებს.